რატომ იფიცებიან მშრომელები საქართველოში?

2021-2023 წლების გაფიცვების მიმოხილვა

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

რატომ იფიცებიან მშრომელები საქართველოში?

2021-2023 წლების გაფიცვების მიმოხილვა

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
თბილისი, 2023

ანგარიში მომზადდა „ღია საზოგადოების ფონდის“ მხარდაჭერით - პროექტის ფარგლებში „შრომითი უფლებების დაცვის ხელშეწყობა და დასაქმების ხელშემწყობი პროგრამების შეფასება საქართველოში“.

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს ღია საზოგადოების ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მის შინაარსზე.

დოკუმენტზე პასუხისმგებელი პირი: სალომე შუბლაძე
ავტორი: ქეთი სართანია
რედაქტორი: ნინო ბექიშვილი
ყდის დიზაინი: როლანდ რაიკი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ქეთი სართანია, „რატომ იფიცებიან მშრომელები საქართველოში? 2021-2023 წლების გაფიცვების მიმოხილვა“, 2023.*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 032 2 23 37 06

https://socialjustice.org.ge/
info@socialjustice.org.ge
https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

1. შესავალი

საქართველოს ქალაქებსა და რეგიონებში, სხვადასხვა სფეროში დასაქმებულების გაფიცვა ყოველწლიურად უფრო და უფრო ინტენსიური და მასშტაბური ხდება. ბოლო სამი წლის (2021-2023) ტენდენცია აჩვენებს, რომ დასაქმებულთა გაფიცვის ძირითად მოთხოვნებს ხელფასების მომატება, შრომითი პირობების გაუმჯობესება და გარემოზე ეკოლოგიური ზიანის შემცირება წარმოადგენს. დასაქმებულთა გაფიცვა, უმეტესად, სამუშაოს შეწყვეტასა და სამანქანო გზების გადაკეტვაში ანდა დასაქმების ადგილის პარალიზებაში გამოიხატება. ამ გზით დასაქმებულები ცდილობენ დამსაქმებელი კომპანიების, უფლებადამცველების, სამოქალაქო საზოგადოების, პროფესიული კავშირების, მედიის, სახელმწიფო უწყებებისა და საზოგადოების ყურადღების მიპყრობას. შედეგად, იწყება მოლაპარაკებისა და მედიაციის პროცესი. გაფიცულები კომპანიებისგან იღებენ დაპირებებს, თუმცა მათი ნაწილი გაფიცვის დასრულების შემდეგაც შეუსრულებელი რჩება ან დროში იმდენად ჭიანურდება, რომ არაეფექტიანია და ზოგ შემთხვევაში, დასაქმებულები ხელახლა იგივე მოთხოვნებით იფიცებიან.

ანგარიშში წარმოდგენილი გაფიცვები შესაძლოა ორ ძირითად კატეგორიად დაჯგუფდეს. პირველი, ეს არის ტრადიციულ შრომაში ჩართულთა გაფიცვები, რაც მოიცავს მრეწველობის, მედიცინის, განათლებისა და სხვა სფეროებს. მეორე კი შეეხება ე.წ. პლატფორმულ შრომას,[1] რომელიც მოიცავს ტექნოლოგიების, ციფრული აპლიკაციების გამოყენებით არასტანდარტულ, არაფორმალურ შრომაში დასაქმებულთა გაფიცვებს. ამ ორი, განსხვავებული ტიპის შრომაში დასაქმებულებს მსგავსი საგაფიცვო მოთხოვნები აქვთ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ტექნოლოგიური განვითარება აუცილებლად შრომის პირობების გაუმჯობესებას არ გულისხმობს. მოცემული ანგარიში აჩვენებს, რომ პლატფორმულ შრომაში ჩართულთა გამოწვევები, ასევე მოიცავს, მათი, როგორც დასაქმებულის სტატუსის აღიარების სურვილს, რათა დასაქმებულებს შეეძლოთ ისარგებლონ შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა სარგებლით, როგორიც არის შვებულება, ბიულეტენი, დეკრეტი, ზეგანაკვეთური ანაზღაურება და სხვ.

ანგარიშში მოყვანილი ბოლო სამი წლის (2021-2023) მშრომელთა გაფიცვების დინამიკა ცხადყოფს, რომ დასაქმებულები ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუარესების, პანდემიის გავლენის და ინფლაციის შედეგად იძულებული ხდებიან, შრომის ანაზღაურებისა და პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით გაიფიცონ. გაფიცვებისა და მოლაპარაკებების პრაქტიკა კი ასახავს დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის დიალოგისა და ნდობის ნაკლებობას, ასევე შრომის კანონმდებლობის სუსტ აღსრულებასა და მონიტორინგს.

---

[1] პლატფორმული შრომა არის დასაქმების ფორმა, როცა ორგანიზაციები ან პირები იყენებენ ონლაინ პლატფორმას სხვა ორგანიზაციებთან ან პირებთან წვდომისთვის კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად ან ანაზღაურების სანაცვლოდ კონკრეტული სერვისების მიწოდებისთვის. Eurofound-მა შეიმუშავა ტერმინი „პლატფორმული შრომა “, რომელიც პირველად გამოყენებულია 2018 წელს. ევროპული სამრეწველო ურთიერთობების ლექსიკონი. https://www.eurofound.europa.eu/en/european-industrial-relations-dictionary/platform-work

საქართველოში დასაქმებულთა გაფიცვებს აქვს გარკვეული დადებითი შედეგებიც, როგორიცაა შრომის კანონმდებლობისა და დასაქმებულთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება, სოლიდარობის გაძლიერება, საზოგადოების ყურადღების მიპყრობა და მხარდაჭერის მოპოვება, მედიაციის პროცესის დაწყება, დამსაქმებელებთან გარკვეული დათმობების მიღწევა და ქმედითი პროფესიული კავშირების საჭიროების გამოკვეთა. თუმცა, გაფიცვებს ასევე აქვს გარკვეული ნეგატიური ეფექტი, როგორიცაა ეკონომიკური საქმიანობის შეფერხება, შრომის კანონმდებლობის აღსრულებაზე სუსტი მონიტორინგით იმედგაცრუება, დროში გაჭიანურებული მოლაპარაკებების პროცესი და საბოლოოდ, დასაქმებულთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და ანაზღაურების ზრდის ნელი ტემპი. შრომითი ანაზღაურებისა და პირობების გაუარესება დასაქმებულთა ფრუსტრაციას იწვევს და ახალგაზრდებში, შესაძლოა, მიგრაციული პროცესებიც წაახალისოს.

საქართველოში დასაქმებულთა გაფიცვები შეიძლება გადაიჭრას უფრო ეფექტიანად, თუ დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის დიალოგისა და მოლაპარაკების მეტი მექანიზმი და შესაძლებლობა იარსებებს, როგორიცაა კოლექტიური მოლაპარაკებების ხელშეკრულებები, საარბიტრაჟო პანელები ან სამმხრივი კომისიები. უფრო მეტიც, საჭიროა მეტი ჩართულობა და მხარდაჭერა სხვა აქტორებისგან, როგორიცაა უფლებადამცველები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, პროფესიული ასოციაციები, მედია საშუალებები, სახელმწიფო უწყებები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

მოცემული ანგარიშის მიზანია აჩვენოს 2021-2023 წლებში საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რეგიონში დასაქმებულთა გაფიცვების ძირითადი ტენდენციები – რა იწვევს დასაქმებულთა პროტესტს და როგორია გაფიცვების შედეგები? რამდენად ეფექტიანია შრომით და ადამიანის უფლებებზე პასუხისმგებელი უწყებებისა და გაერთიანებების ძალისხმევა? რა მექანიზმები არსებობს დასაქმებულთათვის საკუთარი შრომითი უფლებების დაცვისა და პრევენციისთვის და რომელია მათგან ყველაზე ეფექტიანი?

2. მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიში მიზნად ისახავს 2021-2023 წლებში საქართველოში გაფიცვის ძირითადი ტენდენციების შესწავლას. ამ მიზნის მისაღწევად შეიქმნა საკვლევი პერიოდის გაფიცვების მონაცემთა ბაზა, რომელიც შედგება ხუთი ძირითადი კომპონენტისგან: გაფიცულთა სამუშაო სფერო და მახასიათებლები; გაფიცვის პერიოდი და ხანგრძლივობა; გაფიცვის მიზეზი; მოთხოვნა და შედეგი.

მოცემულ ნაშრომში გამოყენებული გაფიცვის განმარტება აღებულია საქართველოს შრომის კოდექსიდან, რომლის მიხედვითაც „გაფიცვა არის დავის შემთხვევაში

დასაქმებულის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე.“[2]

ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები შეგროვდა სხვადასხვა ღია ონლაინ წყაროდან, როგორიცაა ონლაინ მედიის პუბლიკაციები, გაფიცულთა სოციალური მედიის პოსტები, სამთავრობო უწყებების ოფიციალური განცხადებები, არსებული და ხელმისაწვდომი ანგარიშები. წყაროები შეირჩა მათი შესაბამისობის, სანდოობისა და ხელმისაწვდომობის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ მედიაში გაფიცვების გაშუქებას ისეთი ხარვეზები ახლავს, როგორიცაა გაფიცვაში ჩართული მხარეების პოზიციების არასრული ასახვა, გაფიცვის საბოლოო შედეგის არგაშუქება და დამსაქმებლის მხრიდან გაფიცულებისთვის მიცემული პირობების შესრულების შესახებ ანალიტიკური სტატიების ნაკლებობა, მედია ერთადერთ წყაროდ რჩება, სადაც დასაქმებულთა პრობლემები, გაფიცვის თემები და მოთხოვნები ნაწილობრივ მაინც არის წარმოდგენილი.

მოცემული ანგარიშისთვის, სწორედ მედიაში გაშუქებული გაფიცვები აღვწერეთ და გავაანალიზეთ. ამისთვის, შემუშავდა გაფიცვების მონაცემთა ბაზა. თითოეული გაფიცვისთვის შემუშავდა სქემა, რომლის მიხედვითაც შეფასდა გაფიცვაზე სხვადასხვა აქტორის რეაქცია: დამსაქმებლის, სახელმწიფოს, პროფკავშირების, სახალხო დამცველის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის. შეფასება ეფუძნებოდა წყაროების თვისობრივ ანალიზს თემატური კოდირების მიდგომის გამოყენებით. თუმცა, მედიიდან შეგროვებული მონაცემები უმეტეს შემთხვევაში არასრულყოფილია და არ აღწერს, რეალურად შესრულდა თუ არა გაფიცვის შეწყვეტის შემდეგ დამსაქმებლის მხრიდან გაცემული პირობები.

მოცემული ანგარიში მოიცავს 2021-2023 წლებში, საქართველოში მიმდინარე 26 გაფიცვას. წარმოდგენილი გაფიცვების ბაზა არ წარმოადგენს მონაცემთა სრულ კომპლექტს, არამედ 2021-2023 წლებში მომხდარი ძირითადი გაფიცვების ნაკრებს. ანგარიში მიმოხილვაა და აჩვენებს საქართველოში 2021-2023 წლებში გაფიცვების დინამიკას.

3. 2021 წლის გაფიცვები

მედიაში საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიხედვით, 2021 წელს საქართველოში დასაქმებულთა თხუთმეტი გაფიცვა ფიქსირდება. მათი უმეტესობა სერვისის, მომსახურებისა და მრეწველობის სფეროში დასაქმებულთა პროტესტია.

2021 წელს დასაქმებულთა გაფიცვები სამუშაოს ანაზღაურების ზრდისა და შრომითი პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით იწყება, თუმცა, გაფიცვის პროცესში ისეთი საკითხები ემატება, როგორიც არის დასაქმებულთა შრომითი და კოლექტიური

[2] საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 64. 2010. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=25

ხელშეკრულებები, შრომითი კანონმდებლობით განსაზღვრული ბენეფიტებით სარგებლობა და გაფიცვაში მონაწილეობის გამო დასაქმებულთა დევნისა და დისკრიმინაციის გამორიცხვა.

2021 წლის გაფიცვები აჩვენებს, რომ დასაქმებულებისთვის სამუშაო პირობებით უკმაყოფილების დაფიქსირებისთვის გაფიცვა ერთადერთ ეფექტიან მექანიზმს წარმოადგენს, რადგან, ისინი მხოლოდ ამ გზით ახერხებენ საზოგადოების, უფლებადამცველი ორგანიზაციების, მედიისა და პროფკავშირების ყურადღების მიქცევას. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის გაფიცვების შესახებ მედიაში გაშუქებული ინფორმაციის მიხედვით შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა შედეგით დასრულდა კონკრეტული პროტესტი, გაფიცვის დინამიკა აჩვენებს, რომ დასაქმებულები გაფიცვის პროცესში მოთხოვნების ორგანიზებას ახერხებენ. ხოლო დამსაქმებლის სტრატეგია გაფიცული თანამშრომლებისთვის გრძელვადიანი, ხშირად ბუნდოვანი დაპირებების გაცემაა. ამ პროცესზე არათანმიმდევრული მედიაგაშუქების ფონზე, არ ფასდება, ასრულებს თუ არა კომპანია/დამსაქმებელი საკუთარი თანამშრომლებისთვის მიცემულ პირობას. ამასთან, კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების არასაკმარისი მონიტორინგი და შრომის კოდექსით გათვალისწინებული აღსრულების სუსტი მექანიზმები დასაქმებულებს უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს.

3.1. 2021 წლის ეკონომიკური მახასიათებლების მიმოხილვა

2021 წელი ჯერ კიდევ პანდემიური წელი იყო, როცა საქართველოსა და მსოფლიოში მობილობასა და ჯანდაცვასთან დაკავშირებული რეგულაციები ეტაპობრივად იხსნებოდა. COVID-19-ის პანდემიამ დიდი გავლენა მოახდინა გლობალურ ეკონომიკაზე, სხვადასხვა სექტორსა და რეგიონზე განსხვავებულად იმოქმედა. ერთ-ერთი ყველაზე დაზარალებული სფერო შრომის ბაზარი იყო, რადგან ბევრმა ადამიანმა დაკარგა სამსახური ან შეუმცირდა შემოსავალი მობილობის შეზღუდვის, სამუშაოს ონლაინ პლატფორმებზე გადასვლის, სოციალური დისტანციისა და ჯანმრთელობის რისკების გამო.[3]

საქართველო, სადაც ოფიციალური მონაცემების მიხედვით 3,7 მილიონი[4] ადამიანი ცხოვრობს, განვითარებადი ეკონომიკით ხასიათდება, რომელიც დიდწილად ეყრდნობა ტურიზმს, სოფლის მეურნეობას და ფულად გზავნილებს საზღვარგარეთიდან[5]. 2020 წელს საქართველო პანდემიის გამო მძიმე ეკონომიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. მთავრობამ

[3] მოსახლეობის ცოდნის, რისკების აღქმის, პრევენციული ქცევების და საჯარო ნდობის მონიტორინგი (კვლევა) კორონავირუსის პამდემიის ფონზე საქართველოში პირველი, მეორე და მესამე ტალღის კვლევების ანალიტიკური ანგარიში. მაისი, 2020. გვ.13. https://www.unicef.org/georgia/media/4741/file/COVID-19-Study-Analytical-Report-1-st-2nd-and-3rd-waves-Geo.pdf

[4] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოსახლეობა და დემოგრაფია. 2023. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia

[5] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ეკონომიკური ტენდენციების კვარტალური მიმოხილვა. 2023 წლის I კვარტალი. გვ.15. https://www.mof.ge/images/File/2023-Publikaciebi/05-05-2023/2023Q1_GEO.pdf

დააწესა მკაცრი ზომები, როგორიცაა კომენდანტის საათი, მოგზაურობის აკრძალვა და ბიზნესის დახურვა, რამაც გავლენა მოახდინა მრავალი ადამიანის საარსებო წყაროზე, განსაკუთრებით, არაფორმალურ სექტორში დასაქმებულებზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2021 წელს უმუშევრობის დონემ 20.6% შეადგინა[6], რაც იმას ნიშნავს, რომ სამუშაო ძალიდან ყოველი მეხუთე ადამიანი უმუშევარი იყო.

2021 წელს, ვაქცინაციის კამპანიის პროგრესის და პანდემიის მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ, საქართველომ თანდათან გააუქმა გარკვეული შეზღუდვები და ხელახლა გახსნა საზღვრები საერთაშორისო ვიზიტორებისთვის. თუმცა, ეკონომიკისა და შრომის ბაზრის გამოცოცხლება ნელი და არათანაბარი პროცესი იყო, რადგან მათ, ვინც პანდემიისას სამუშაო დაკარგა, ახალი სამსახური უნდა მოეძებნათ. ხოლო, უმუშევრობის ზრდისა თუ სამსახურის დაკარგვის რისკის გამო, სამუშაო პირობებისა და მისი ზედამხედველობის პროცესიც შეფერხდა[7]. ამასთან, პანდემიის დასრულების შემდეგ გაძვირებული საყოფაცხოვრებო ხარჯების გამო საჭირო გახდა დასაქმებულების შემოსავლების გადახედვა და მისი ადაპტირება ახალ ეკონომიკურ და სოციალურ რეალობასთან. სწორედ ამ მიზეზებით დაიწყო 2021 წელს დასაქმებულთა გაფიცვები და საპროტესტო შეკრებები, რომელთა მთავარი მოთხოვნა შრომის ანაზღაურების ზრდა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება იყო.

3.2. ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსი (GWP) - თანამშრომლების ნაწილის გაფიცვა

2021 წლის 25 იანვარს წყალმომარაგების კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსის" თანამშრომლების ნაწილი რამდენიმე მოთხოვნით გაიფიცა. მოთხოვნებს შორის იყო კომპანიასთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების გადახედვა, ხელფასების გაზრდა, ანაზღაურებადი შვებულებისა და ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის შექმნა. მოთხოვნების ნაწილი, როგორიცაა ანაზღაურებადი შვებულება, საქართველოს შრომის კოდექსით[8] გათვალისწინებული უფლებაა, თუმცა, დასაქმებულების თქმით, ისინი ვერ ახერხებდნენ ამ უფლებით სარგებლობას.[9]

გაფიცვის შემდეგ თანამშრომლებსა და კომპანიის ადმინისტრაციას შორის მოლაპარაკებები გაიმართა, თუმცა შეთანხმების მიღწევა ვერ ხდებოდა, რადგან კომპანია გაფიცულებს კონკრეტულ მოთხოვნებზე მკაფიო დაპირებების ნაცვლად სთავაზობდა „სტაჟირების სისტემას", რომლის მიხედვითაც ექვსი თვის განმავლობაში თანამშრომლებს

---

[6] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. უმუშევრობის დონე, 2021. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

[7] შრომითი ურთიერთობები და სოციალური დაცვა პანდემიის დროს. საქართველოს შესახებ ანგარიში. სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი EMC) 2020. გვ. 33. https://osgf.ge/wp-json/wi/validate/v1/file?wifile=wp-content/uploads/2020/12/Labor-Relations_geo_10_12_2020.pdf

[8] საქართველოს შრომის კოდექსი, 2010. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=25

[9] პერტაია ლუკა, „13 ჩვენგანს სამაგალითოდ სჯიან" – GWP-ის დასაქმებულების პროტესტი გრძელდება. 2021 წლის 28 იანვარი. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/news/514839/

ექნებოდათ არსებული ანაზღაურება, ხოლო „სტაჟირების“ ვადის გასვლის შემდეგ მათი შრომითი ანაზღაურება გაიზრდებოდა.
ამასთან, კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ გაფიცული პირები არღვევდნენ კომპანიასთან დადებულ კონტრაქტის პირობებს და ხელს უშლიდნენ კომპანიის მუშაობას[10]. მიუხედავად ამ განცხადებისა, ადმინისტრაცია კომპანიის უკმაყოფილო თანამშრომლებთან მოლაპარაკებისთვის მზაობას აცხადებდა, ხოლო გაფიცული თანამშრომლები სამართლებრივი გზით აპირებდნენ საკუთარი უფლებების დაკმაყოფილებისთვის კომპანიასთან დავას.[11]

კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსის“ გაფიცული თანამშრომლების ნაწილი განსხვავებულ პოზიციებზე დასაქმებული პირები, მათ შორის, სატრანსპორტო განყოფილების მძიმე სარემონტო ავტომობილების ოპერატორები იყვნენ. „სამოქალაქო საქართველოს“ ინფორმაციით[12], „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ადმინისტრაციამ გაფიცულებს მოკლე ტექსტური სატელეფონო შეტყობინებები გაუგზავნა, სადაც მათ გაფიცვის გამო კონტრაქტის დარღვევისა და გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტით დაემუქრა.

საბოლოდ, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსის“ ადმინისტრაციის განცხადების თანახმად, გაფიცულთა ნაწილი მოლაპარაკებაში ჩაერთო და გარკვეული შეთანხმების შემდეგ მუშაობის განახლებასაც აპირებდნენ, ხოლო პროფკავშირების წარმომადგენლის, აკაკი გვალიას მიერ მედიასთან გაკეთებული განმარტების მიხედვით, „გაფიცულების ნაწილი კომპანიის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებით კმაყოფილი დარჩა, ნაწილი კი – გაფიცვის გაგრძელებას გეგმავდა.“[13]

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსის“ თანამშრომლების გაფიცვამ აჩვენა, რომ ამ კონკრეტული გაფიცვის შედეგი ყველასთვის სასურველი ყოფილა, რადგან კომპანიის ადმინისტრაციამ არ დააკმაყოფილა დასაქმებულების მოთხოვნები და ზოგს სამსახურიდან გათავისუფლებითაც კი დაემუქრა. გაფიცვამ აჩვენა, რომ დასაქმებულებისთვის კომპანიასთან მოლაპარაკება არაეფექტიანი იყო, რის გამოც მათ გაფიცვას მიმართეს და სამართლებრივი გზით აპირებდნენ დავის მოგვარებას. თუმცა, პროცესმა ცხადყო, რომ გაფიცულებს შეექმნათ სამართლებრივი და სახელშეკრულებო დაბრკოლებები, ასევე წარმომადგენლობის ნაკლებობა, რამაც გამოიწვია ნაწილობრივი და გაურკვეველი შეთანხმება. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსის“ თანამშრომლების გაფიცვა იყო ერთ-ერთი მაგალითი იმისა, თუ რა გამოწვევებსა და სირთულეებს აწყდებიან დასაქმებულები საქართველოში, სადაც კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომითი

[10] მენაღარიშვილი ზურა, GWP-ს თანამშრომელთა ნაწილი გაიფიცა. 2021 წლის 26 იანვარი. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/news/514242/
[11] მენაღარიშვილი ზურა, GWP-ს გაფიცულ თანამშრომლებსა და კომპანიას შორის შეთანხმება ვერ შედგა. 2021 წლის 26 იანვარი. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/news/514418/
[12] „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ გაფიცული თანამშრომლებისთვის ხელფასის მომატებაზე უარს ამბობს. 2021 წლის 28 იანვარი. სამოქალაქო საქართველო. https://civil.ge/ka/archives/394154
[13] იქვე.

უფლებების აღსრულება პრობლემურია, ხოლო ამ პროცესზე ზედამხედველი სამსახურის მიერ კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგი სუსტია, რაც დასაქმებულებს უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს.

3.3. „გლოვოს“ კურიერების გაფიცვა

საკვების მიტანის სერვისის „გლოვოს“ კურიერები 2021 წელს ორჯერ გაიფიცნენ. პანდემიის დროს დაწესებული გადააგილების შეზღუდვის გამო, საკვების მიტანის სერვისზე დედაქალაქში მოთხოვნა და შესაბამისად, კურიერების სამუშაო დატვირთვაც გაიზარდა. თუმცა, არ შეცვლილა მათი სამუშაო პირობები და შრომის ანაზღაურება. 2021 წლის ორივე გაფიცვის მიზეზი კომპანიაში არსებული შრომის ანაზღაურების სატარიფო სისტემა იყო.

„გლოვოს[14]“ კურიერების პირველი გაფიცვა 2021 წლის 29 იანვარს საბურთალოზე, ცინცაძის ქუჩაზე, კომპანიის ოფისთან დაიწყო და მას 100-მდე კურიერი შეუერთდა. კურიერების აქცია სპონტანურად დაორგანიზდა და მათ მოთხოვნებს დროთა განმავლობაში, სამუშაო პირობებთან დაკავშირებით დაგროვებული უკმაყოფილებები წარმოადგენდა. კურიერების მოთხოვნებს შორის იყო ობიექტებთან (რესტორნებთან) შეკვეთის ლოდინის დროის შემცირება, ანაზღაურების ტარიფის გაზრდა და საბონუსე სისტემის შეცვლა.

კურიერების თქმით, ობიექტზე ლოდინის ხანგრძლივობა პირდაპირ კავშირში იყო მათ მიერ გამომუშავებულ თანხასთან – რაც უფრო მეტი დროის გატარება უწევდათ კურირებს შეკვეთის ასაღებად, მით ნაკლები შანსი იყო, რომ მეტი შეკვეთა შეესრულებინათ, რაც საბოლოდ, მათი შრომის ანაზღაურებაზე უარყოფითად აისახებოდა. ასევე, რესტორნის შეკვეთის ლოდინის დროის საკომპენსაციოდ მათ გზებზე სწრაფი გადაადგილება უწევდათ, რაც კურიერების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებს ზრდიდა. ბონუსების სისტემის მიხედვით, კურიერებს კვირაში 180 შეკვეთის შესრულება უწევდათ 350 ლარი ბონუსის მისაღებად. ძველ სისტემაში კი ბონუსის მისაღებად შესასრულებელი შეკვეთის რაოდენობა 130 იყო. ამასთან, კურიერების თქმით, აპლიკაცია კილომეტრებს ზუსტად არ თვლიდა და ტარიფს სწორად არ ადგენდა, რის გამოც მათი შემოსავალი მცირდებოდა.[15]

კურიერები კომპანიაში არსებულ სხვა პრობლემებზეც მიუთითებდნენ. ანაზღაურებასთან დაკავშირებული უკმაყოფილებები, ძირითადად, ბონუსების, „ჩაის,“[16] გაუქმებული შეკვეთების შემთხვევაში გაუმჭვირვალე ანაზღაურების სისტემას ეხებოდა. ასევე

---

[14] „გლოვო“ ესპანური კომპანიაა, რომელიც 2015 წელს დაარსდა. კომპანიის ცენტრალური ოფისი ბარსელონაში მდებარეობს, საქართველოში ის 2018 წელს გამოჩნდა.

[15] "გლოვოს" კურიერები სამუშაო პირობებს აპროტესტებენ. 2021 წლის 29 იანვარი. რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/31075860.html

[16] შესრულებული მომსახურებისთვის დამატებითი თანხის ოდენობა (მიმტანს, მტვირთველს და ა.შ.) ჩუქება.

პრობლემა იყო კომპანიის მხრიდან კურირების მიმართ დამოკიდებულება და კომუნიკაციის ფორმები.[17]

კომპანიამ კურიერების მხრიდან დაყენებულ მოთხოვნებზე რეაგირებისთვის ორი კვირა, 10 თებერვლამდე[18] ვადა ითხოვა, რამაც კურიერების უკმაყოფილება გამოიწვია[19]. 10 თებერვალს მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ გაფიცულ კურიერებსა და კომპანიას შორის შეთანხმება შედგა. ახალი წესებით კურიერების მიერ შესრულებული შეკვეთების ტარიფები შემდეგნაირად განისაზღვრა: საბაზისო შეკვეთის თანხა 2 ლარი დარჩა; შეკვეთის მიღების წერტილიდან მიტანის წერტილამდე ყოველ კილომეტრზე ანაზღაურება 20 თეთრიდან 40 თეთრამდე გაიზარდა; მოცდის დროის ანაზღაურება ყოველ წუთზე 2 თეთრი გახდა (5 წუთის შემდეგ); დაჯგუფებული შეკვეთის შემთხვევაში, შეკვეთის კომპენსაცია 1.5 ლარი გახდა[20].

გაფიცვის პერიოდში „გლოვოს“ კურიერებს განცხადებით გამოეხმაურა და სოლიდარობა გამოუცხადა „ღირსეული შრომის პლატფორმის“ წევრმა ექვსმა ორგანიზაციამ[21]. მათ სამართლიანი უწოდეს კურიერების გაფიცვას და მზაობა გამოთქვეს სამართლებრივი დახმარება აღმოეჩინათ გაფიცულებისთვის.

„გლოვოს“ კურიერების მეორე გაფიცვა 2021 წლის 16 მაისს დაიწყო. გაფიცვის წინაპირობას წარმოადგენდა კომპანიის მიერ დასაქმებულებისთვის შეუთანხმებლად სამუშაო პირობებში სამი მთავარ ცვლილება. ცვლილებები შეეხებოდა ანაზღაურების ბაზისურ სისტემას, ბონუსების სისტემასა და სამუშაო დროის ხანგრძლივობას.

---

[17] პერტაია ლუკა, რა პირობებით მუშაობენ და რას ითხოვენ გლოვოს კურიერები. 2021 წლის 29 იანვარი. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/news/515401/

[18] კომპანია „გლოვო" პარტნიორი კურიერების პროტესტის შესახებ განცხადებას ავრცელებს. 2021 წლის 29 იანვარი. რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/31076104.html

[19] მედიის მიერ დასაქმებულთა გაფიცვების გაშუქების შესახებ სრულყოფილი კვლევა ჯერ-ჯერობით არ არსებობს, თუმცა, *ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის* ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია *გლოვოს* კურირების 2021 წლის 29 იანვრის გაფიცვის გაშუქების შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ გლოვოს კურიერების აქცია 2021 წლის 29 იანვარს გააშუქა ტელეკომპანია „ფორმულამ“ როგორც დღის, ასევე საღამოს საინფორმაციო გამოშვებებში. ტელეკომპანია „მთავარს“ საღამოს 9-საათიან გამოშვებაში აქცია არ გაუშუქებია. „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ ამის შესახებ სიუჟეტი გადასცა 18:00-საათიანი გამოშვების ბოლოს, ხოლო 29 იანვრის 21-00-საათიანი საინფორმაციო გამოშვება არ იძებნება. ტელეკომპანია „იმედის“ 20:00-საათიან გამოშვებაში „გლოვოს“ კურიერების აქცია არ გაშუქებულა. „რუსთავი 2-ზე“ აქციის შესახებ სიუჟეტი გავიდა 18:00-საათიან საინფორმაციო გამოშვებაში, ხოლო 21:00-საათიან გამოშვებაში არ გაშუქებულა. ტელეკომპანია „პირველმა“ ეს აქცია გააშუქა დილის, შუადღის და საღამოს გამოშვებებში. სხვა აქციებს შორისაა: „Bolt Food-ის“ 50-მდე კურიერის გაფიცვა მარტში, აგრეთვე, გარემოვაჭრეების პროტესტი 22 აპრილს. ეს ორი აქცია სატელევიზიო მედიას არ გაუშუქებია. პოლიტიკური თანასწორობის ინდექსი საქართველოში, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. 2023. გვ.73. http://nodiscrimination.gyla.ge/files/2020/კვლევები/untitled%20folder/ნიუსლეთერი/პოლიტიკური%20თანასწორობის%20ინდექსი.pdf

[20] პერტაია ლუკა, „გლოვო“: კურიერების ანაზღაურების ტარიფი შეიცვალა. 2021 წლის 10 თებერვალი. https://netgazeti.ge/news/518161/

[21] ღირსეული შრომის პლატფორმა. ღირსეული შრომის პლატფორმა გლოვოს კურიერებს მოთხოვნებს მხარდაჭერას უცხადებს. 2021 წლის 5 თებერვალი. https://shroma.ge/news/glovo/

ანაზღაურების ბაზისურ სისტემაში ძველი წესით ხდებოდა კურიერის მიერ განვლილი შემდეგი მარშრუტის ანაზღაურება: შეკვეთის მიღებიდან ობიექტამდე და ობიექტიდან მომხმარებლამდე. ამ მარშრუტის ტარიფი იყო ბაზისურ 2 ლარს დამატებული 40 თეთრი ყოველ კილომეტრაჟზე. ახალი წესით კი მოხდებოდა მხოლოდ შეკვეთის ობიექტიდან მომხმარებლამდე მანძილის ანაზღაურება, თუმცა საბაზისო ანაზღაურება გახდებოდა 2.30 ლარი და 50 თეთრი ყოველ კილომეტრაჟზე.

ძველი წესით ბონუსურ სისტემაში პარტნიორი კურიერები იღებდნენ ყოველკვირეულ ბონუსს (ყოველკვირეულ სახელფასო დანამატს) იმ შემთხვევაში, თუ შეასრულებდნენ შეკვეთების ფიქსირებულ რაოდენობას.[22] ახალი წესით კი ყოველკვირეული ბონუსების ნაცვლად ის ყოველდღიურად, სხვადასხვა საათზე გადანაწილდებოდა. კომპანიის განმარტებით, ამ ახალი წესით კურიერებს ნებისმიერ დროს შეეძლებოდათ ბონუსის გამომუშავება და არ ექნებოდათ შეკვეთების კონკრეტული ლიმიტები დამატებითი ანაზღაურების მისაღებად.

მესამე ცვლილება სამუშაოს ხანგრძლივობის 12 საათიდან 10 საათამდე შემცირებას ითვალისწინებდა, რაც კურიერების ნაწილისთვის მისაღებიც კი იყო.[23] საბოლოო ჯამში, გაფიცული დასაქმებულები ვარაუდობდნენ, რომ ახალი ტარიფების შემთხვევაში შემოსავლის ზრდის გარანტია არ ჰქონდათ. მეტიც, ახალი სისტემის შემთხვევაში, მათი აზრით, შესაძლოა, შემოსავალი შემცირებოდათ კიდეც.

მაისში გამართულ საპროტესტო დემონსტრაციაზე მედიასთან გაკეთებულ განცხადებებში, კურიერები შრომითი უფლებების დარღვევის გარდა მიუთითებდნენ კომპანიის მხრიდან გაფიცვის უფლების შეზღუდვაზეც. გაფიცვის დღეებში კომპანიამ რამდენიმე კურიერთან შეტყობინება გააგზავნა, რომ მათი ანგარიშები „მომსახურების პირობების მე-11 მუხლის საფუძველზე“ დაიბლოკა. კურიერებმა კომპანიის ეს ნაბიჯი პროტესტში მონაწილეობის გამო მათ დასჯად აღიქვეს.[24] კომპანიის განმარტებით კი ანგარიშების დაბლოკვის საფუძველი კომპანიისა და მომხმარებლების დაზარალება იყო, და თუ კურიერები შეასრულებდნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მათი ანგარიშები ისევ აღდგებოდა.

17 მაისს ქალაქში საპროტესტო დემონსტრაციისა და მსვლელობის შემდეგ, კომპანიასა და გაფიცულ თანამშრომლებს შორის მოლაპარაკება გაიმართა. შედეგად, გაფიცულების ნაწილთან შეთანხმება შედგა, რომ დაბლოკილ კურიერებს ანგარიშებს გაუაქტიურებდნენ, ხოლო დანარჩენებთან კომპანიამ გააგრძელა მოლაპარაკებები. მეორე დღეს, 18 მაისს გამართულ დემონსტრაციაზე, კურიერების მოთხოვნებს დაბლოკილი თანამშრომლების

[22] კურიერების განმარტებით, ეს რაოდენობა 180 შეკვეთას შეადგენდა.
[23] პერტაია ლუკა, „გლოვოს“ კურიერების მორიგი გაფიცვა დასრულდა – რას მიაღწიეს გაფიცულებმა. 2021 წლის 18 მაისი. https://netgazeti.ge/news/542665/
[24] იქვე.

სამსახურში აღდგენა დაემატა, თუმცა ახალ პირობებთან დაკავშირებით აზრი გაფიცულებში გაიყო.

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია კურიერებს შორის არსებულმა განსხვავებამაც. „გლოვოში“ დასაქმებული კურიერების უმეტესობა არასრულ განაკვეთზე მუშაობს, მხოლოდ მცირე ნაწილი მუშაობს სრული დატვირთვით. შესაბამისად, არასრულ განაკვეთზე მომუშავე სტუდენტებსა და სხვა კურიერებისთვის ახალი სისტემა მომგებიანი აღმოჩნდა, ხოლო სრულ განაკვეთზე დასაქმებულებისთვის ახალი სატარიფო სისტემით მათი შემოსავალი დაახლოებით 15%-ით მცირდებოდა.

საბოლოოდ, გლოვოს კურიერების მეორე გაფიცვა 2021 წლის 18 მაისს შეთანხმებით დასრულდა და კურიერებმა მუშაობა განაახლეს.

2021 წლის ზამთრისა და გაზაფხულის გაფიცვამ აჩვენა, რომ კურიერებმა საკუთარი შრომითი უფლებების დასაცავად მოახერხეს ორგანიზება, მედიისა და საზოგადოების ყურადღების მიპყრობა, საკუთარი მოთხოვნების ჩამოყალიბება და კომპანიასთან მოლაპარაკებების წარმოება. მიუხედავად იმისა, რომ გაფიცულების მოთხოვნების შესახებ მკაფიო დაპირებები არც ერთხელ არ გაცემულა, ორივე გაფიცვა დასაქმებულებისა და კომპანიისთვის შრომითი ურთიერთობების შესახებ მოლაპარაკებების თვალსაზრისით დიდი გამოცდილებაა. გაფიცვამ ასევე აჩვენა, რომ კურიერებს, სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში, შრომით უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების, პროფკავშირებისა და იურისტებისგან შეუძლიათ სამართლებრივი კონსულტაციებისა და მხარდაჭერის მიღება, რაც გაფიცვისა და დამსაქმებელთან მოლაპარაკებების პროცესში მათთვის მნიშვნელოვან დახმარებას წარმოადგენს, თუმცა მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ეს არასაკმარისია.

3.4. ტყიბული, მეშახტეების გაფიცვა

2021 წლის 10-11 თებერვალს, ტყიბულში, მინდელის სახელობის შახტის ტრანსპორტისა და ზედაპირულ კომპლექსის უბნებზე დასაქმებული მეშახტეები გაიფიცნენ.[25] გაფიცული მეშახტეები 300 მეტრის სიღრმის შახტიდან პროტესტის ნიშნად არ ამოდიოდნენ, რითაც კომპანიის, მედიის, სახელმწიფოსა და საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ცდილობდნენ.[26]

იანვრის თვეში ძიძიგურის შახტის მეოთხე უბანზე ნახშირის მოპოვების გეგმა ვერ შესრულდა. მიუხედავად იმისა, რომ მშრომელები მთელი თვე მუშაობდნენ, მათ მხოლოდ

[25] 2009 წელს, ბრიტანელმა ფოტოგრაფმა მარქკ ფაუერმა მაშინდელი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის, ნიკა რურუას მოწვევით ტყიბულელი მეშახტეების ფოტოები გადაიღო რუბრიკისთვის "ინდუსტრია და ეკონომიკა". ფოტოები გამოქვეყნებულია წიგნში „ქართული გაზაფხული“. https://www.markpower.co.uk/Audio-Visual-Projects/Georgian-Spring

[26] უკვე 30 საათზე მეტია, მეშახტეების პროტესტი გრძელდება. 2021 წლის 11 თებერვალი. ფორმულა. https://formulanews.ge/News/45184

ნახევარი ხელფასი აიღეს – 70-მდე მეშახტემ დღიური ანაზღაურება 100 ლარის ნაცვლად 45 ლარი მიიღო.[27] საქართველოს მეტალურგთა, მეშახტეთა და ქიმიკოსთა პროფკავშირის ხელმძღვანელის, თამაზ დოლაბერიძის მედიასთან გაკეთებული განცხადების მიხედვით, გეგმის შეუსრულებლობის მიზეზი დასაქმებულები არ იყვნენ. მეშახტეები მთელი თვის განმავლობაში შახტში ხანძრის საშიშროებით გამოწვეულ სარემონტო სამუშაოებს ატარებდნენ და უბნის ხელმძღვანელის დავალებებს ასრულებდნენ,[28] რაც გეგმის არასრულად შესრულების მიზეზი გახდა.

ნახშირმომპოვებელმა კომპანიამ დაადასტურა, რომ მეშახტეების გაფიცვა იანვრის გეგმის შედეგების შეჯამებამ გამოიწვია. კომპანიის თანახმად, შახტის სხვა უბნებმა გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, მაგრამ მეოთხე უბნის შედეგები ანაზღაურებაზე აისახა და დამსაქმებელი კომპანიის თქმით, ეს მათ კონტრაქტში იყო ასახული. მეოთხე უბანმა კი გეგმის მხოლოდ 77.7% შეასრულა, რაც შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, მათ გამომუშავებულ ანაზღაურებაზე აისახა.[29]

საქართველოს მეტალურგთა, მეშახტეთა და ქიმიკოსთა პროფკავშირი მხარს უჭერდა მეშახტეთა მოთხოვნებს და იმ შემთხვევაში, თუ კომპანია გაფიცულ თანამშრომლებს შინაგანაწესის დარღვევის მიზეზით გაათავისუფლებდა, პროფკავშირები მათი უფლებების სამართლებრივი გზით დაცვას აპირებდნენ.

მარტის დასაწყისში ტყიბულში გაფიცულთა რაოდენობამ 200-ს მიაღწია და სამმა ობიექტმა გააჩერა მუშაობა. გაფიცულები ანაზღაურების ბონუსურ სისტემაზე ამბობდნენ უარს და ხელფასების ფიქსირებული ოდენობით მატებას მოითხოვდნენ. გაფიცულ მეშახტეთა თანახმად, კრიზისის ფონზე მათი ხელფასი მინიმალური იყო და იმ დრომდე არ აპირებდნენ მუშაობის გაგრძელებას, ვიდრე მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდებოდა. მეოთხე ნახშირმომპოვებელ უბნის თანამშრომლებისა და „საქნახშირის“ ადმინისტრაციის ერთობლივი ინიციატივით, სპეციალური კომისია შედგა, რომელსაც 10 დღის ვადაში უნდა შეესწავლა ის გარემოებები, რის გამოც მეოთხე უბნის თანამშრომლებმა ვერ შეასრულეს გეგმა.[30] ასევე, უნდა განეხილათ ხელფასების მატების მოთხოვნა.

ტყიბულის შახტი ქალაქში თითქმის ერთადერთი დიდი კომპანიაა, სადაც დაახლოებით 1 200 ადამიანია დასაქმებული,[31] რაც ქალაქის მოსახლეობის 13%-ს შეადგენს.[32] რაც იმას ნიშნავს, რომ თითქმის ნახევარი ქალაქი შახტში გამომუშავებულ ხელფასზე იყო

---

[27] ტყიბულში მეშახტეების ნაწილი პროტესტის ნიშნად შახტიდან არ ამოდის. 2021 წლის 11 თებერვალი. ფორმულა. https://formulanews.ge/News/45135

[28] მენაღარიშვილი ზურაბ, ტყიბულში მეშახტეების ნაწილი გაიფიცა და პროტესტის ნიშნად შახტიდან არ ამოდიან. 2021 წლის 11 თებერვალი. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/news/518282/

[29] იქვე.

[30] ტყიბულში მეშახტეების ნაწილი გაიფიცა. 2021 წლის 7 მარტი. ინტერპრესიუსი. https://www.interpressnews.ge/ka/article/663963-tqibulshi-meshaxteebis-nacili-gaipica/

[31] 2021 წლის მონაცემებით.

[32] კოკაია ლანა, ორ ცეცხლს შუა მოქცეული ტყიბულელი მეშახტეები, 2019 წლის 26 დეკემბერი. OC-Media. https://oc-media.org/or-tsetskhls-shua-moktseuli-tkibuleli-meshakhteebi/

დამოკიდებული. შახტში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების დაუცველობის, შრომის ანაზღაურების გაუარესების, სამუშაო ადგილზე გარდაცვალების შემთხვევების გამო საპროტესტო დემონსტრაციები უცვლელი მოთხოვნებით ბოლო ათწლეულია გარკვეული პერიოდულობით იმართება.[33] დასაქმებულები, მათი ოჯახის წევრები, შრომით უფლებებსა და გარემოს დაცვაზე მომუშავე ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია და დამოუკიდებელი თუ ცენტრალური პროფკავშირები ხშირად საუბრობენ შახტში დასაქმებულთა მძიმე შრომით პირობებზე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაზე,[34] ქალაქის ეკოლოგიურ კატასტროფასა და დაბალ, შრომისთვის შეუსაბამო ანაზღაურებაზე. 2018 წლის ივლისში, როდესაც შახტში მომხდარი აფეთქების შემდეგ ოთხი ადამიანი დაიღუპა, ოთხი კი მძიმედ დაშავდა, ტყიბულში ქვანახშირის მოპოვება შეაჩერეს. დასაქმებულთა ნაწილი პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში წავიდა, სადაც ასევე ქვანახშირს მოიპოვებენ. ნაწილი დარჩა და შახტის გახსნის შემდეგ, მუშაობა ისევ ადგილზე გააგრძელა.[35]

2021 წელს[36] ტყიბულელი მეშახტეები მეორედ 3 ივლისს გაიფიცნენ.[37] მეტალურგთა, მეშახტე-მაღაროელთა და ქიმიკოსთა პროფკავშირის ცნობით, გაფიცვა მოძრაობის უბნისა და ზედაპირული კომპლექსის 400-მდე თანამშრომელს მოიცავდა. 4 ივლისს გამართულ საპროტესტო დემონსტრაციაზე მათ დააფიქსირეს, რომ ისინი ხელფასის 300 ლარით გაზრდას ითხოვდნენ და ამბობდნენ, რომ „ბონუსის სისტემა, რასაც მათ „საქნახშირი“ სთავაზობს, არაეფექტიანია და ანაზღაურება 580-დან 640 ლარამდე მერყეობს.“[38]

კომპანია „საქნახშირის“ ხელმძღვანელის, მიხაილ სოცკის განცხადებით, ისინი გაფიცულების მოთხოვნის დაკმაყოფილებას და ხელფასების 300 ლარით გაზრდას არ აპირებდნენ, რადგან კომპანიაში ჰქონდათ პრემიებისა და ბონუსების სისტემა, რომელიც, მათი თქმით, უფრო მაღალი ანაზღაურების გამომუშავების საშუალებას აძლევდა მეშახტეებს, ვიდრე 300 ლარია. მეშახტეების თქმით, მათი ხელფასი, პოზიციების მიხედვით, 450-800 ლარს შეადგენდა. კომპანიის განცხადების მიხედვით კი, კომპანიაში შექმნილი საკონსულტაციო საბჭოს წევრებისთვის მიუღებელი იყო არა გაფიცულთა

---

[33] OC_Media, ტყიბულის შახტის გაფიცვები. https://oc-media.org/tag/tkibuli/

[34] კოკაია ლანა, „ყველას ბრონქიტი გვაქვს“ — ტყიბულელი მეშახტეების გაშავებული ფილტვები, 2021 წლის 6 აპრილი. OC-Media. https://oc-media.org/kvelas-bronkiti-gvakvs-tkibuleli-meshakhteebis-gashavebuli-piltvebi/?fbclid=IwAR0GMEdhr6H7sICAhPwUGDn8MUCzHbNwrPZAoxhNcf_n4OOjMNhZaNEbP9E

[35] კოკაია ლანა, ორ ცეცხლს შუა მოქცეული ტყიბულელი მეშახტეები, 2019 წლის 24 დეკემბერი. https://oc-media.org/or-tsetskhls-shua-moktseuli-tkibuleli-meshakhteebi/

[36] ტყიბულელი მეშატხეების გაფიცვაც გარკვეული პრიოდულობით იჩენს თავს. 2020 წლის მარტში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს 5 მეშახტე მოიწამლა. მეშახტეები მოწამვლას ძიძიგურისა და მინდელის სახელობის შახტების დამაკავშირებელ გვირაბში დაგროვილ მხუთავ აირებს უკავშირებდნენ. 2021 წლის 11 თებერვალი. On.ge https://on.ge/story/75508-ტყიბულში-მეშახტეები-პროტესტის-ნიშნად-შახტიდან-არ-ამოდიან

[37] ტყიბულში მეშახტეები მერიის შენობასთან საპარლამენტო აქციას მართავენ. 2021 წლის 7 ივლისი. ფორმულა. https://formulanews.ge/News/53180

[38] "400 მეტრის სიღრმეზე ვმუშაობ და 640 ლარს ვიღებ" - ტყიბულელი მეშახტეების გაფიცვა გრძელდება. 2021 წლის 4 ივლისი. ფორმულა. https://formulanews.ge/News/52974

მოთხოვნები, არამედ მათი გამოხატვის ფორმა და რომ ისინი მზად იყვნენ სადაო საკითხების მოლაპარაკების გზით გადასაწყვეტად.[39] მეტალურგთა, მეშახტე-მაღაროელთა და ქიმიკოსთა პროფკავშირის განცხადებით კი ტყიბულელმა მეშახტეებმა გაფიცვის გადაწყვეტილება წარუმატებელი მედიაციის შემდეგ მიიღეს.

საბოლოოდ, ტყიბულში მეშახტეების პროტესტი, თერთმეტდღიანი გაფიცვა 14 ივლისს შეწყდა, მეშახტეებსა და კომპანიას შორის ბონუსის სისტემაზე შეთანხმება შედგა.[40] თუმცა, როგორც უმეტესი გაფიცვების შემთხვევაში, მედია იშვიათად მიჰყვება პროცესს ბოლომდე. გაფიცვების შეთანხმებით ან დაპირებებით დასრულების შემდეგ, ძირითადად უცნობია შესრულდა თუ არა გაცემული დაპირებები. თუმცა, ტყიბულის შემთხვევაში, წელიწადში ორი გაფიცვა მიუთითებს იმ მდგომარეობაზე, რომ 2021 წლის ზამთარში გაცემული პირობები ან არასაკმარისად ან საერთოდ არ შესრულდა და დასაქმებულებს კიდევ ერთხელ, სულ რაღაც რამდენიმე თვეში მსგავსი მოთხოვნებით ხელახლა მოუწიათ გაფიცვა.[41] ტყიბულის მეშახტეების ნაწილის გაფიცვა ასევე აჩვენებს პროფესიული კავშირებისა და სხვა შრომით უფლებებზე მომუშავე სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სუსტ ბერკეტებს, გავლენა იქონიონ კომპანიის მიერ გაცემული პირობების შესრულებასა და მათ მონიტორინგზე.

3.5. შპს „ფუდლის“ (Bolt Food; Bolt) თანამშრომლების გაფიცვა

2021 წლის მარტში Bolt Food-ის კურიერების გაფიცვა წარმოადგენდა პროტესტს კომპანიის მხრიდან ბონუს სისტემაში ცვლილებების შეტანისა და ახალი ტარიფების მიმართ, რაც კურირების შეფასებით, მათი შემოსავლის შემცირებას გამოიწვევდა. კურიერები კომპანიის მიერ არა თანამშრომლებად, არამედ, პარტნიორებად იყვნენ მიჩნეულები და მათ შორის მომსახურების ხელშეკრულება იყო გაფორმებული. ასეთი ხელშეკრულება კურიერებს შრომითი კანონმდებლობით გათვალისწინებული ბენეფიტებით სარგებლობის უფლებას არ აძლევდა, ხოლო კომპანიას ათავისუფლებდა მთელი რიგი ვალდებულებებისგან. კურიერები გაფიცვისას გადახდის სისტემის გადახედვასა და ტარიფების გაზრდას ითხოვდნენ. გაფიცვას მხარი დაუჭირა ზოგიერთმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, მაგრამ კომპანიამ გაფიცული კურიერების ნაწილი აპლიკაციიდან კომპანიის ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლის მოტივით გათიშა, რაც კურიერებმა პროტესტში მათ მონაწილეობასთან დააკავშირეს.

---

[39] „საქნახშირი“ გაფიცული მეშახტეებისთვის ხელფასების 300 ლარით გაზრდას არ განიხილავს. 2021 წლის 3 ივლისი. On.ge https://on.ge/story/84739-მოთხოვნების-გამოხატვის-ფორმა-მიუღებელია-საქნახშირი-გაფიცულ-მეშახტეებზე

[40] ტყიბულში მეშახტეების გაფიცვა შეწყდა. 2021 წლის 14 ივლისი. On.ge https://on.ge/story/85499-ტყიბულში-მეშახტეების-გაფიცვა-შეწყდა

[41] შემოდგომაზე, 27 ნოემბერს, ტყიბულში ქვანახშირის კერძო მოპოვების კარიერში მიწის მასა ჩამოიშალა და ორი ადამიანი მოყვა. მათგან ერთ-ერთი გარდაიცვალა. ტყიბულის მერმა განაცხადა, რომ, ისინი ნახშირს უნებართვოდ, ღია კარიერული წესით მოიპოვებდნენ. 2021 წლის 27 ნოემბერი. On.ge https://on.ge/story/94557-ტყიბულში-მიწის-მასის-ქვეშ-მოყოლილი-მეორე-ადამიანი-გარდაცვლილი-იპოვეს

კურიერების გაფიცვა 2021 წლის 17 მარტს დაიწყო, როდესაც მათ შეწყვიტეს მუშაობა და კომპანიის ოფისის წინ აქცია გამართეს. კურიერები აცხადებდნენ, რომ ბონუსების ახალი სისტემა უსამართლო და არარეალური იყო, რადგან ბონუსის მისაღებად დღეში 20 შეკვეთის შესრულებას მოითხოვდა, რაც შეუძლებელი იყო სერვისზე არსებული დაბალი მოთხოვნისა და დიდი მანძილების (შესაბამისად, დიდი დროითი რესურსის) გამო. ისინი ასევე ჩიოდნენ, რომ სტანდარტული ტარიფი შეკვეთაზე 8 ლარიდან 4 ლარამდე შემცირდა და პიკის საათებში მხოლოდ 1,5 პროცენტით გაიზარდა.[42] გაფიცულები კომპანიისგან ბონუსების ძველი სისტემის აღდგენასა და ტარიფების გაზრდას მოითხოვდნენ.

2021 წლის 24 მარტს გაფიცულმა კურიერებმა განაცხადეს, რომ კომპანიამ ზოგიერთ მათგანს აპლიკაციაზე წვდომა შეუზღუდა. კურიერები ეჭვობდნენ, რომ კომპანია მიზნად ისახავდა გაფიცვის ლიდერებისა და აქტიური მონაწილეების დაშინებასა და გაჩუმებას. ისინი დაუკავშირდნენ კომპანიის სათავო ოფისს ესტონეთში, რათა გაერკვიათ ზოგიერთი თანამშრომლის აპლიკაციიდან დაბლოკვის მიზეზი.[43]

2021 წლის 23 და 24 მარტს ორმა ორგანიზაციამ, საქართველოს პროფკავშირების ახალგაზრდულმა მოძრაობამ (Youth GTUC-მა)[44] და „პლატფორმამ“ გაავრცელეს განცხადება, სადაც სოლიდარობა გამოუცხადეს გაფიცულ კურიერებს და განმარტეს მათი გაფიცვის მიზეზები და მოთხოვნები. ორგანიზაციებმა გააკრიტიკეს კომპანია კურიერების ექსპლუატაციის, დისკრიმინაციისა და მათი შრომითი უფლებების დარღვევისთვის. მათ ასევე მოუწოდეს საზოგადოებას, მხარდაჭერა გამოეცხადებინათ გაფიცულებისთვის და კურიერებს სამართლებრივ მხარდაჭერას დაჰპირდნენ.

2021 წლის 24 მარტს კომპანია Bolt Food-მა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა განცხადება,[45] სადაც უარყო კურიერების ბრალდებები. განცხადებაში ნათქვამია, რომ კურიერები იყვნენ არა თანამშრომლები, არამედ პარტნიორები, რომლებმაც გააფორმეს ხელშეკრულება კომპანიასთან და დათანხმდნენ მის პირობებს. კომპანიამ ასევე განაცხადა, რომ ზოგიერთ კურიერს შეეზღუდა აპლიკაციაზე წვდომა, რადგან ისინი ჩართულნი იყვნენ ორგანიზებულ აქტივობებში, რამაც ხელი შეუშალა მომსახურების მიწოდებას და სხვა კურიერების მუშაობას. ეს გულისხმობდა, რომ კურიერებს არ ჰქონდათ გაფიცვის უფლება, და რომ მათ უნდა დაეცვათ კომპანიის მიერ დაწესებული პირობები.

---

[42] მხარდაჭერა Bolt Food-ის კურიერებს, რომელთა პროტესტსაც კომპანია ხელს უშლის - ღირსეული შრომის პლატფორმა. 2021 წლის 26 მარტი. პუბლიკა. https://publika.ge/mkhardachera-bolt-food-is-kurierebs/

[43] მღებრიშვილი ვიქტორია, გაფიცვის შედეგი: Bolt Food-მა კურიერებს აპლიკაცია დაუბლოკა. Bm.ge, 2021 წლის 24 მარტი. ნეტგაზეთი. https://bm.ge/news/gaficvis-shedegi-bolt-food-ma-kurierebs-aplikacia-daubloka/78709

[44] პროფკავშირების ახალგაზრდული მოძრაობის - Youth GTUC განცხადება კომპანია Bolt Food-ის კურიერების გაფიცვასთან დაკავშირებით. 2021 წლის 23 მარტი. https://www.facebook.com/GtucYouth/posts/4359960177366607

[45] კომპანია Bolt Food-ის განცხადება გაფიცულ კურიერებთან დაკავშირებით. 2021 წლის 24 მარტი. https://bit.ly/3oBexTG

2021 წლის 26 მარტს პროფკავშირულმა ორგანიზაცია „პლატფორმამ“ გაფიცულთა სახელით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს. ისინი აცხადებდნენ, რომ კომპანიამ გაათავისუფლა პროტესტის ლიდერები განსხვავებული აზრის გამოთქმისთვის და კურიერებზე ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის მოხდენას ცდილობდა. საქართველოს სახალხო დამცველმა გამოსცა რეკომენდაცია შრომით ურთიერთობებში განსხვავებული მოსაზრებების საფუძველზე პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ.[46] რეკომენდაცია ამტკიცებდა, რომ კურიერები ექვემდებარებოდნენ სუბორდინაციის პრინციპს, რაც მიუთითებდა კომპანიასა და დასაქმებულებს შორის მათ შრომით ურთიერთობაზე. შესაბამისად, კურიერებს ჰქონდათ უფლება, ესარგებლათ შრომის კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით.

ამ პროცესს განცხადებით გამოეხმაურა „ღირსეული შრომის პლატფორმა“, სადაც აღწერილია ის პირობები და მოთხოვნები, რასაც გაფიცული კურიერები აპროტესტებდნენ. განცხადების თანახმად, თავდაპირველად შეკვეთებზე არსებული ფიქსირებული ტარიფი 8 ლარიდან 4 ლარამდე გაუნახევრდათ კურიერებს. კურიერთა ანაზღაურების ახალი ბონუსური სისტემა, რომელიც დღეში 20 შეკვეთის შესრულების შემთხვევაში დაერიცხებოდათ კურიერებს, არარეალისტური იყო. კურიერები მოითხოვდნენ ანაზღაურების სისტემის გამჭვირვალობასა და მის გაუმჯობესებას, მათ შორის ობიექტამდე მისასვლელი დროის სამუშაო პერიოდში გაანგარიშებას.[47]

Bolt Food-ის კურიერების გაფიცვა საქართველოში 2021 წლის მარტში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომელმაც ხაზი გაუსვა ციფრულ ეკონომიკაში დასაქმებულების გამოწვევებს. გაფიცვამ გამოავლინა კურიერების არასაიმედო და არასამართლიანი სამუშაო პირობები – კურიერებს უწევდათ ხანგრძლივი სამუშაოს შესრულება, სამუშაო პირობების გამო მაღალი რისკებისა და საფრთხის წინაშე იდგნენ და დაბალ, არასტაბილურ შემოსავალს იღებდნენ. გაფიცვამ გამოავლინა ძალაუფლების დისბალანსი და ინტერესთა კონფლიქტი კომპანიასა და კურიერებს შორის, რომლებსაც განსხვავებული შეხედულებები და მოლოდინები ჰქონდათ მათ შრომით ურთიერთობასა და უფლებებზე. გაფიცვამ ასევე აჩვენა კურიერების ორგანიზებისა და მობილიზების სირთულე, რადგან მათ მოუწიათ კომპანიისა და სამართლებრივი სისტემის მიერ დაწესებული ბარიერების დაძლევა. გაფიცვამ ასევე აჩვენა პროფკავშირების და სახალხო დამცველის როლი და გავლენა, რადგან, მათი პოზიციების, სამართლებრივი შეფასებისა და პროცესში

[46] საქართველოს სახალხო დამცველი, რეკომენდაცია შრომით ურთიერთობაში განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-201 და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. https://ombudsman.ge/res/docs/2021061423015589955.pdf

[47] „ღირსეული შრომის პლატფორმა" არაფორმალური ერთობაა, რომელიც დამოუკიდებელ პროფესიულ კავშირებს, ადამიანის უფლებების ორგანიზაციებსა და აქტივისტებს აერთიანებს. ღირსეული შრომის პლატფორმა სოლიდარობას უცხადებს ბოლტის კურიერების ბრძოლას შრომითი პირობების გაუმჯობესებისთვის. 2021 წლის 26 მარტი. https://shroma.ge/news/bolt-food/

მონაწილეობის გარეშე კომპანიის პარტნიორი კურიერები კიდევ უფრო უთანასწორო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ დამსაქმებელთან.

3.6. ჭიათურის გაფიცვა

2021 წლის 23 აპრილიდან ჭიათურაში მანგანუმის მოპოვებასთან დაკავშირებული კომპანიის 3000-მდე თანამშრომელი გაიფიცა. მათი მოთხოვნები შეეხებოდა ხელფასების 50%-იანი მომატებას, სამუშაო დროისა და პირობების გაუმჯობესებას და ქალაქის გარემოზე ზიანის შემცირებას.[48] დამსაქმებელი კომპანია „ჯორჯიან მანგანეზი“ (GM) გაფიცულებს ხელფასების 25%-იან ზრდას დაჰპირდა, რაც ხელფასის 250 ლარით მატებას ნიშნავდა, თუმცა პროტესტის მონაწილეებისა და გაფიცვაში ჩართული პროფკავშირებისთვის ეს შეთავაზება არადამაკმაყოფილებელი იყო.

აპრილის გაფიცვა ჭიათურის მანგანუმის მომპოვებელი კომპანიების თანამშრომლებისთვის პირველი არ ყოფილა. მანგანუმის მოპოვებას ჭიათურაში თითქმის 150-წლიანი ისტორია აქვს. მადნის მოპოვება ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის დროიდან, 1879 წლიდან დაიწყო და ამ პროცესს ქალაქის გაშენება მოჰყვა. მადნის მოპოვება გაგრძელდა 1918-1921 წლების საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დროსა და საბჭოთა ხელისუფლების პირობებშიც (1921-1991). დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ადგილობრივი რესურსი კერძო ინვესტორის ხელში გადავიდა[49] და დასაქმებულების გაფიცვები გარკვეული პერიოდულობით, თუმცა იდენტური მოთხოვნებით ახლდებოდა.[50]

გაფიცვის პარალელურად, დასაქმებულები და კომპანია, სახელმწიფოსა და პროფკავშირების მონაწილეობით მედიაციის პროცესში ჩაერთნენ. მიმდინარეობდა მედიაციის ორი პროცესი. პირველ მედიაციაში ჩართული იყო „ჯი ემ ტექნიკის“ სერვისის („ატეკის“) 400-მდე თანამშრომელი[51]. 25 აპრილს კომპანია „ჯორჯიან მანგანეზმა“ განაცხადა, რომ გაფიცული მაღაროელების „ჯი ემ ტექნიკა“ სერვისის (ატეკას)

---

[48] გვაძაბია მიხეილ, “გაფიცულია 3 000-ზე მეტი ადამიანი” — ჭიათურაში მუშები ხელფასის გაზრდას ითხოვენ. 2021 წლის 23 აპრილი. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/news/537665/

[49] ცინცაძე გიორგი, ექსტრაქტივისტული რეჟიმები და ჩამორთმევა დაგროვებით ჭიათურაში. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2021. https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/გიორგი_ცინცაძე_1620928108.pdf

[50] ბოლო წლების განმავლობაში საწარმოს ფლობს კომპანია „ჯორჯიან მანგანეზი“, რომელიც თავის მხრივ ამერიკაში დარეგისტრირებულ „ჯორჯიან ემერიქან ელოიზს“ ეკუთვნის. სასამართლოს 2017 წლის გადაწყვეტილებით, „მშობელი“ კომპანია და GM-ის მენეჯმენტი მმართველობას ფაქტობრივად ჩამოშორებულია და კომპანიას სახელმწიფო მმართველი ჰყავს დანიშნული. ეს გადაწყვეტილება სასამართლომ გარემოს დაცვის სამინისტროს საჩივრის შემდეგ მიიღო კომპანიის მიერ ჭიათურის „გარემოსთვის კატასტროფული ზიანის გამოსწორების მიზნით“. ჭიათურელების ნაწილი პროტესტისას მიუთითებდა, რომ „კატასტროფული ზიანის გამოსასწორებლად“ საკმარისი ნაბიჯები არ გადადგმულა.

[51] „ჯი ემ ტექნიკაში“ დასაქმებულები მძიმე ტექნიკის მძღოლები, მემანქანეები, ტრაქტორების გადამტვირთავები, შიდა რკინიგზის თანამშრომლები, მათი ზეინკლები, ელექტრიკოსები არიან, რომლებიც მძიმე ტექნიკის ფუნქციონირებაში მონაწილეობენ.

თანამშრომლები სამუშაო პროცესს 26 აპრილიდან დაუბრუნდებოდნენ, რადგან მათთან შეთანხმებას მიაღწიეს და გაფიცული თანამშრომლების ნაწილთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მაისიდან მათი კონტრაქტი გაზრდილ ანაზღაურებას ითვალისწინებდა.

„ატეკის“ თანამშრომლების გარდა, გაფიცულები იყვნენ უშუალოდ მაღაროებში დასაქმებული ადამიანები: გვირაბგამყვანები, გვირაბის ამფეთქებლები, მადნის გამამდიდრებელი ქარხნის თანამშრომლები, ყველა სამშნებლო და სარემონტო ობიექტის თანამშრომელი, სიგნალისტები და ყველა დანარჩენი ადამიანი, ვინც კომპანიის ოპერირებისთვისა იყო საჭირო. თბილისის სატრანსპორტო კომპანიის დამოუკიდებელმა პროფესიულმა კავშირმა „ერთობა 2013-მა“ ჭიათურაში გაფიცულ მუშებს სოლიდარობა გამოუცხადა.[52] ასევე, გაფიცულებს ჭიათურის მოსახლეობის ნაწილი და სკოლის მოსწავლეებიც შეუერთდნენ.

მსგავსი პროტესტი ჭიათურაში 2019 წელსაც გაიმართა, როცა მაღაროელებმა 18 მაისს შიმშილობა გამოაცხადეს და სამმა მოშიმშილემ პირი ამოიკერა. „ჯორჯიან მანგანეზში“ ე.წ ვახტურ რეჟიმზე მომუშავე დასაქმებული მაღაროელები მაშინაც ხელფასების 50%-იან ზრდას ითხოვდნენ – პირველ ეტაპზე 30%-ით, ხოლო კომპანიის რეორგანიზაციის შემდეგ კი +20%-ით. მათი მოთხოვნები იყო ასევე ჯანდაცვის სადაზღვევო პაკეტების გაუმჯობესება და გარემოზე ზიანის შემცირების მიზნით, მადნით დატვირთული საბარგო ავტომანქანების ქალაქში გადაადგილების აკრძალვა.[53]

პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილის, თამაზ დოლაბერიძის მიერ მედიასთან გაკეთებული განცხადების თანახმად, დასაქმებულებმა გაფიცვა კანონის სრული დაცვით დაიწყეს, სადაც შრომის სამინისტროს დანიშნული ჰყავდა მედიატორი და პროცესში პროფკავშირიც ოფიციალურად იყო ჩართული. „ჯორჯიან მანგანეზი“ 25 აპრილის განცხადებაში მიუთითებს, რომ ის ხელშეკრულება, რაც მასთან დაკავშირებულმა კომპანიებმა პირველი მაისიდან შესთავაზეს დასაქმებულებს, ითვალისწინებდა: მუშა-მოსამსახურეთა ყოველთვიური ანაზღაურების 250 ლარით მატებას და ყოველწლიურ სადღესასწაულო პრემიას 250 ლარის ოდენობით. GM-ის განცხადებით, მაისიდან ანაზღაურებას დაემატება ინდექსაცია, რაც ითვალისწინებდა სატარიფო განაკვეთის 5,2 პროცენტით მატებას. მოლაპარაკებების პროცესი აჩვენებდა, რომ კომპანია შრომის ანაზღაურების ზრდის გადავადებას ან მის თანდათანობით, მაგრამ მცირედ ზრდას ჰპირდებოდა გაფიცულ თანამშრომლებს.

[52] გვაძაბია მიხეილ (2), სოლიდარობას ვუცხადებთ ჭიათურაში გაფიცულებს — პროფკავშირი “ერთობა 2013”. 2021 წლის 23 აპრილი. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/news/537731/

[53] სოციალური სამართლიანობის ცენტრი. მაღაროელების გაფიცვა ჭიათურაში. 2019 წლის 27 მაისი. https://socialjustice.org.ge/ka/products/chiaturashi-magharoelebi-me-11-dghea-shimshiloben

ჭიათურელი მაღაროელები ათწლეულზე მეტია საკუთარი შრომითი და ეკოლოგიური უფლებების დასაცავად გაფიცვებს მიმართავენ.[54] ისინი ხშირად მიუთითებდნენ დამსაქმებლის მიერ ექსპლუატაციურ პრაქტიკაზე. კომპანია კი ამ ბრალდებას მუდმივად უარყოფდა. მაღაროელების შრომის პირობები არაერთი მწვავე დისკუსიის საგანი გამხდარა. მაგალითად, საერთაშორისო უფლებადაცვითმა ორგანიზაცია Human Rights Watch-მა 2019 წელს განაცხადა, რომ საქართველოში შახტებსა და მაღაროებში მომუშავეთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა არასაკმარისი სახელმწიფო რეგულაციების გამო საფრთხეშია.[55]

მძიმე შრომით პირობებსა და უფლებებზე გამოხატულ უკმაყოფილებასთან ერთად, ჭიათურაში მანგანუმის მოპოვებას უკავშირდება გარემოსთვის მიყენებული ზიანი. მკვლევრების შეფასებით, მდინარე ყვირილა უკვე ათწლეულებია ბინძურდება, სადაც მომპოვებელი საწარმოებიდან მანგანუმის შლამი ჩაედინება და მისი ეკოლოგიური კატასტროფა ჯერ-ჯერობით ლოკალურ ხასიათს ატარებს,[56] თუმცა ვრცელდება ქალაქზე[57]. გარემოზე ეკოლოგიური ზიანის გავრცელების გამოხატულებაა სოფელ შუქრუთის მოსახლეობის პრობლემები, რის გამოც მათ 2019 წელს გზა გადაკეტეს და მანგანუმის მაღაროების მუშაობა გააჩერეს კიდეც.[58]

გაფიცვის მოთხოვნების ნაწილობრივი დაკმაყოფილების პირობის მიუხედავად, ხელფასების საშუალოდ 25%-იანი მატების დაპირების მიღების შემდეგ ჭიათურაში

---

[54] ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო. ჭიათურაში შექმნილი კრიზისი დროულად გადასაჭრელია! 2019 წლის 27 მაისი. https://osgf.ge/chiaturashi-sheqmnili-krizisi-droulad-gadasachrelia/

[55] Human Rights Watch, „არც ერთი წელი სიკვდილის შემთხვევათა გარეშე“ საქართველოში წლების განმავლობაში შრომის ბაზრის დერეგულირება საფრთხეს უქმნის მაღაროელებს. 2019. https://www.hrw.org/sites/default/files/report_pdf/georgia0819ka_web.pdf

[56] ჯეგაშვილი თამარ, ჭიათურის მანგანუმის საბადოს გეოლოგია და შლამებით დაბინძურებული მდინარე ყვირილას წყლების გეოეკოლოგიური მონიტორინგი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი. 2016. გვ.31-35. http://conference.sens-2016.tsu.ge/uploads/577cd44334382საბოლოო_ანგარიშის_დაცვა.pdf

[57] 2022 წლის მარტში ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისის მოსახლეობაც აცხადებდა, რომ სოფელში მიწის დიდი მასა დაიძრა, რამაც ათამდე სახლი ჩაიყოლა. სოფლის გზებსა და ნაკვეთებში ნაპრალები გაჩნდა. მცხოვრებლები სოფელში შექმნილ ვითარებას, „ჯორჯიან მანგანეზის" საქმიანობას უკავშირებდნენ, ხოლო კომპანიის განმარტებით, სოფელ ითხვისის ტერიტორიაზე წლებია, „ჯორჯიან მანგანეზი“ მოპოვებით სამუშაოებს არ ახორციელებს. „პუბლიკა“, 2022 წლის 31 მარტი. პუბლიკა. https://publika.ge/135-2/

[58] პერტაია ლუკა, ხელფასის ₾250-ით გაზრდით დაპირების შემდეგ ჭიათურაში გაფიცვა დასრულდა, 2021 წლის 26 აპრილი. 2019 წლიდან გამწვავდა სოფელ შუქრუთის მოსახლეობის პრობლემები, რის გამოც მათ გზა გადაკეტეს და მანგანუმის მაღაროების მუშაობა გააჩერეს. მოსახლეობის თანახმად, სოფელში კომპანიის მიერ მანგანუმის მოპოვებითი სამუშაოების გააქტიურების შედეგად ძლიერ ზიანდებიან: სახლებს ბზარები უჩნდება, ეზოებში მიწა სკდება, დაზიანდა გზა და ეკლესია. „ჯორჯიან მანგანეზი“ პასუხად აცხადებდა, რომ ზიანი, რაზეც ჭიათურის სოფელ შუქრუთის მოსახლეობა მიუთითებს, კომპანიის საქმიანობას არ უკავშირდება, საბჭოთა პერიოდში წარმოებული სამუშაოებითაა გამოწვეული და ჯერ კიდევ იმ პერიოდშია კომპენსირებული. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/news/538110/

გაფიცული 3000-ზე მეტი დასაქმებული სამუშაოს დაუბრუნდა და 25 აპრილის საღამოდან ყველა გაჩერებულ ობიექტზე სამუშაოები აღდგა.[59]

ჭიათურის 2021 წლის გაზაფხულის გაფიცვამ აჩვენა, რომ ადგილობრივ კომპანიებსა და დასაქმებულებს კომპრომისული გამოსავლის მოძიების რესურსი გააჩნიათ, სადაც მნიშვნელოვანი როლი პროფესიულ კავშირებს, საზოგადოების მხარდაჭერასა და სახელმწიფოს მონაწილეობას აქვს. თუმცა, გაფიცვის მოთხოვნების ნაწილის გათვალისწინება და დაპირებები, პრობლემის სრულად აღმოფხვრის ნაცვლად, მათი გადავადება უფრო არის, ვიდრე პრობლემის რეალური მოგვარება. სახელმწიფოს აქვს პოტენციალი უფრო აქტიური როლი ითამაშოს გაფიცულებსა და კომპანიას შორის შუამავლობაში. მას შეუძლია გამოიყენოს არსებული ან შექმნას ახალი მექანიზმები შრომითი უფლებების მონიტორინგისა და აღსრულების მიზნით. თუმცა, გამოცდილება აჩვენებს, რომ სახელმწიფოს ჩართულობა მინიმალურია, მდგომარეობა კი უარესდება. ამ სურათში კი სახელმწიფო გულგრილი და სუსტი ჩანს, რომელსაც არ შეუძლია შრომით დავებზე პოზიტიური, გრძელვადიანი და ეფექტიანი გავლენის მოხდენა.

3.7. რუსთავის აზოტის თანამშრომლების გაფიცვა

2021 წლის 27 აპრილს შპს რუსთავის აზოტის თანამშრომლები შრომის ანაზღაურების მატების მოთხოვნით გაიფიცნენ. გაფიცულებს კომპანიის წარმომადგენელი ხელფასის 5%-იან ზრდას დაჰპირდა, რაც თანამშრომლებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. გაფიცვაში 2000-მდე თანამშრომელი მონაწილეობდა.[60]

გაფიცული თანამშრომლები ამბობდნენ, რომ საწარმოში ხელფასი 750 ლარს შეადგენდა, რაც, პროფკავშირის მიხედვით, მძიმე მრეწველობის დარგობრივ სექტორში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო.[61]

პროფკავშირების ახალგაზრდული მოძრაობა აცხადებს, რომ კომპანია წარმოებული პროდუქციის უდიდეს ნაწილს ექსპორტზე, უცხოურ ვალუტაში ყიდდა. საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირი მიიჩნევდა, რომ აზოტელთა მოთხოვნა ხელფასების მატებასთან დაკავშირებით სამართლიანი იყო და ისინი სრულ მხარდაჭერასა და სოლიდარობას უცხადებდნენ გაფიცულებს, ხოლო კომპანიას კი მოუწოდებდნენ, რომ ხელფასების ზრდის საკითხი სასწრაფოდ განეხილა და დადებითად გადაეწყვიტა.[62]

---

[59] იქვე.
[60] "რუსთავის აზოტის" თანამშრომლებმა გაფიცვა შეწყვიტეს. 2021 წლის 3 მაისი. ინტერპრესნიუსი. https://www.interpressnews.ge/ka/article/654335-rustavis-azotis-tanamshromlebma-gapicva-shecqvites/
[61] რუსთავის აზოტის თანამშრომლები ხელფასების გაზრდის მოთხოვნით გაიფიცნენ. 2021 წლის 27 აპრილი. https://on.ge/story/80853-რუსთავის-აზოტის-თანამშრომლები-ხელფასების-გაზრდის-მოთხოვნით-გაიფიცნენ
[62] იქვე.

გაფიცვის მე-5 დღეს კომპანიის ადმინისტრაციამ გაფიცულებს შეთავაზება გააცნო, რომლის მიხედვითაც, იმ დასაქმებულებს, რომელთა ხელფასიც არ აღემატებოდა დარიცხულ 1000 ლარს, ხელფასი გაეზრდებოდათ დარიცხული 250 ლარით, ხოლო იმ დასაქმებულებს, რომელთა დარიცხული ხელფასიც შეადგენდა 1500 ლარს, ხელფასი გაეზრდებოდათ დარიცხული 125 ლარით; ამასთან, გაფიცვის შეწყვეტისთანავე ყველა დასაქმებულს ჩაერიცხებოდა აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებული ფულადი საჩუქარი 50 ლარის ოდენობით; დამატებითი შეთავაზება იყო ასევე, რომ კომპანია დასაქმებულების ხელფასიდან არ ჩამოაჭრიდა გაფიცვის გამო გაცდენილი დღეების ანაზღაურებას.[63]

პროფკავშირების თქმით, გაფიცულთა მიერ კომპანიის ადმინისტრაციის შეთავაზების საპასუხოდ მომზადდა შემხვედრი წინადადება – გაფიცულთა აზრით დამსაქმებლის შემოთავაზებას უნდა დამატებოდა, რომ კომპანია არ განახორციელებდა ,,რუსთავის აზოტის“ თანამშრომელთა დევნასა და იძულებას 2021 წლის 27 აპრილს დაწყებული გაფიცვის ლიდერობის ან მასში მონაწილეობის გამო და კოლექტიური ხელშეკრულების ფარგლებში გაგრძელდებოდა დასაქმებულებს, მათ წარმომადგენლებსა და კომპანიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებები შრომის ანაზღაურების ყოველწლიური ინდექსაციის[64] შესახებ. ასევე, კომპანია გადახედავდა ხელშეკრულებას იმ დასაქმებულების შრომის ანაზღაურების მატების მიზნით, რომელსაც ადმინისტრაციის 2021 წლის 1-ლი მაისის შეთავაზების მიხედვით ხელფასი ეზრდებოდათ 125 ლარით. თანამშრომლები ასევე ითხოვდნენ შრომის პირობების გაუმჯობესებასა და ისეთი სოციალური ბენეფიტებით სარგებლობის უფლებას, როგორიც არის სამედიცინო დაზღვევა.[65]

კომპანიის ადმინისტრაციამ გაფიცულთა წინადადება ლოგიკურად მიიჩნია, თუმცა ამ განცხადების გასაფორმებლად დრო 4 მაისამდე განსაზღვრა, მანამდე კი საწარმოს ასამუშავებლად მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ განაცხადა.

გაფიცვის პროცესში, რუსთავის აზოტის თანამშრომლებმა წარმომადგენლობის შესახებ მინდობილობა მიანიჭეს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებისა და დარგობრივი პროფკავშირის წარმომადგენლებს, რომლებსაც კოლექტიური მოლაპარაკებების დროს დასაქმებულთა ინტერესები უნდა დაეცვათ. ამასთან, 500-მდე აზოტელმა გამოთქვა წერილობითი სურვილი პროფკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

საბოლოოდ, „რუსთავის აზოტმა“ მუშაობა განაახლა, მას შემდეგ, რაც საწარმოს თანამშრომლებმა ერთკვირიანი გაფიცვა შეწყვიტეს. გაფიცვის პერიოდში საწარმოს

---

[63] ყურაშვილი ირაკლი, რუსთავის აზოტის თანამშრომლები გაფიცვას განაგრძობენ. 2021 წლის 1-ლი მაისი. აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი. https://ajaratv.ge/article/75905

[64] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სამომხმარებლო პროდუქტებზე ფასების მატების მაჩვენებლების (წლიური საშუალო ინფლაცია) შესაბამისად.

[65] ბოგვერაძე მარიამ, 2021 წლის 4 მაისი. https://netgazeti.ge/news/539858/

მენეჯმენტთან მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, ქვემო ქართლის გუბერნატორი, გაერთიანებული პროფკავშირების ლიდერები და მათი იურისტები.[66]

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის შეთავაზება თანამშრომლების ნაწილისთვის მისაღები იყო, ნაწილისთვის კი არ იყო დამაკმაყოფილებელი, ისინი მაინც დასთანხმდნენ შეთავაზებას, თუმცა მეტი გარანტიისთვის მათ მოითხოვეს საწარმოს მხრიდან შეთავაზების დოკუმენტირება.[67]

საქართველოში შპს „რუსთავის აზოტის" თანამშრომლებმა მნიშვნელოვანი კოლექტიური გაფიცვა ჩაატარეს 2021 წლის აპრილში, როცა გაიფიცნენ ხელფასისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით. გაფიცვამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა დასაქმებულების მოთხოვნები, მაგრამ ზოგიერთი მათგანი დაუკმაყოფილებელი დარჩა. გაფიცვამ გამოავლინა კომპანიის მცდელობები სხვადასხვა ტაქტიკის გამოყენებით დაეთრგუნა საკუთარი შრომითი უფლებების დასაცავად გაფიცული თანამშრომლები. საბოლოოდ, „რუსთავის აზოტის" გაფიცულმა თანამშრომლებმა მუშაობა განაახლეს, თუმცა ეს მათი მოთხოვნების ნაწილობრივი დაკმაყოფილების დაპირებით გახდა შესაძლებელი.

3.8. ოზურგეთი პურის ქარხნის მუშების გაფიცვა

ოზურგეთის ფქვილის ქარხნის მუშების გაფიცვა 2021 წლის 3 მაისს დაიწყო. გაფიცულებს თავდაპირველად ორი მოთხოვნა ჰქონდათ: შრომითი ანაზღაურების 150 ლარით გაზრდა და შრომითი პირობების გაუმჯობესება. მოთხოვნებს მოგვიანებით კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების გაფორმებაც დაემატა. 38 დღიანი გაფიცვა 10 ივნისს დასრულდა და დასაქმებულებმა მოთხოვნების სრული დაკმაყოფილების პირობა მიიღეს.[68]

გაფიცვის პროცესში მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ქარხნის წარმომადგენლებსა და უკმაყოფილო თანამშრომლებს შორის. 11 მაისს გაფიცულებსა და კომპანიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა, სადაც მხარეებმა ერთმანეთს საკუთარი მოთხოვნები და პირობები გააცნეს.

კომპანიასა და გაფიცულებს შორის მოლაპარაკებების მიმდინარეობისას რამდენიმე მხარდამჭერი სოლიდარობის აქცია გაიმართა. პროფკავშირებმა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქში – თბილისში, ჭიათურაში, ზესტაფონსა და ბათუმში დასაქმებულებმა

---

[66] 2021 წლის 3 მაისი, რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/31235599.html

[67] რუსთავის აზოტის თანამშრომლებმა გაფიცვა შეწყვიტეს. 2021 წლის 2 მაისი. ფორმულა. https://formulanews.ge/News/49801

[68] აბსარიძე თეა, ოზურგეთში ფქვილის გადამამუშავებელი საწარმოს „გურია ექსპრესის" თანამშრომლების 36-დღიანი გაფიცვა დასრულდა. 2021 წლის 10 ივნისი. საზოგადოებრივი მაუწყებელი. https://1tv.ge/news/ozurgetshi-fqvilis-gadamamushavebeli-sawarmos-guria-eqspresis-tanamshromlebis-36-dghiani-gaficva-dasrulda/

მსვლელობაში მონაწილეობით მხარდაჭერა გამოუცხადეს ოზურგეთში გაფიცულებს.[69] აქციას სოლიდარობა გამოუცხადა ლაბორმა, აგრო მეურნეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის პროფკავშირმაც. საზოგადოებრივი მხარდაჭერის ფონზე, კომპანიასთან მოლაპარაკებები უშედეგოდ მიმდინარეობდა, პროცესი სასამართლომდეც უნდა მისულიყო, რადგან მხარეები შეთანხმებას ვერ აღწევდნენ.[70] მშრომელთა მოთხოვნების უგულებელყოფის გამო გაფიცულებმა გადაწყვიტეს კომპანიის შესასვლელი ჭიშკრისთვის სიმბოლურად ბოქლომი დაედოთ, მსვლელობა-დემონსტრაცია გურიის გუბერნატორის ოფისთან გაეგრძელებინათ და სახელმწიფოსთვის მოეთხოვათ კერძო კომპანიის მიერ დარღვეული უფლებების დაცვა. პროტესტის მიმდინარეობისას ოზურგეთში გაფიცულებს ბორჯომის მინერალური წყლების ქარხნის მუშებმა სოლიდარობის ნიშნად თითქმის ერთი თვის ხელფასის ოდენობის თანხა გაუგზავნეს,[71] ხოლო სოციალურ ქსელში მოქალაქეთა ნაწილმა გაფიცულებისთვის სოლიდარობის ნიშნად ფულის შეგროვება დაიწყო.[72] კომპანია აცხადებდა, რომ „ქვეყანაში შექმნილი ვითარებისა და გაყიდვების შემცირების გამო, ხელფასების მატება შეუძლებელი იყო.“[73]

საბოლოოდ, ოზურგეთში ფქვილის ქარხნის მუშების გაფიცვა 38-ე დღეს, საზოგადოების ფართო ჯგუფების სოლიდარობის, მხარდაჭერისა და მობილიზების ფონზე გაფიცულთა მოთხოვნების სრული დაკმაყოფილების პირობით დასრულდა. პირობები მოიცავდა ფიქსირებული 650 ლარიანი ხელფასის თანდათანობით, სამი თვის განმავლობაში 50 ლარით გაზრდას; კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების გაფორმებასა და ქარხნის ტერიტორიაზე შრომითი პირობების გაუმჯობესებას, როგორიც არის სამუშაო ადგილზე გასახდელის, საშხაპისა და სამზარეულოს მოწყობა.[74]

საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და სოციალურ ქსელში საზოგადოების ჯგუფების მობილიზების შედეგად მშრომელების გაფიცვა მასშტაბურ სახეს იღებდა. ფქვილის ქარხნის მუშების თვეზე მეტხნიან გაფიცვას შედეგად მათი მოთხოვნების სრული, თუმცა, ეტაპობრივი დაკმაყოფილების პირობა მოჰყვა. ამ შემთხვევამ აჩვენა, რომ გაფიცულების პრინციპულობა, მედეგობა და თანმიმდევრული ნაბიჯები შედეგიანი აღმოჩნდა არა მხოლოდ შრომითი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით, არამედ მშრომელებმა მოახერხეს, რომ კომპანიამ მათი მოთხოვნების სამართლიანობა აღიარა და მოგვარებას დაჰპირდა კიდეც. ეს შემთხვევაც შეიძლება დასაქმებულთა უფლებებისთვის ბრძოლისა და გაფიცვის ეფექტიანობის წარმატებულ მაგალითად ჩაითვალოს.

---

[69] მენაღარიშვილი ზურა, გაფიცვა ოზურგეთში — პროფკავშირი ქარხნის ექსპროპრიაციას ითხოვს. 2021 წლის 4 ივნისი. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/news/546288/

[70] პერატია ლუკა, ოზუგეთში გაფიცული მუშების მხარდასაჭერად მსვლელობა გაიმართა. 2021 წლის 5 ივნისი. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/news/546444/

[71] მენაღარიშვილი ზურა, ოზურგეთის ფქვილის ქარხნის გაფიცვა დასრულდა – მუშების მოთხოვნები დაკმაყოფილდება. 2021 წლის 10 ივნისი. https://netgazeti.ge/news/547565/

[72] მენაღარიშვილი ზურა, ოზურგეთში ფქვილის საწარმოს თანამშრომლები მე-4 დღეა გაფიცულები არიან. 2021 წლის 7 მაისი. https://netgazeti.ge/news/540484/

[73] იქვე.

[74] მენაღარიშვილი ზურა, “კომპანიამ ჩვენი სხვა მუშებით ჩანაცვლება სცადა” – გაფიცვის 22-ე დღე ოზურგეთში. 2021 წლის 25 მაისი. https://netgazeti.ge/news/543919/

3.9. რიკოთის მაგისტრალის თანამშრომლების გაფიცვა

2021 წლის 7 მაისს ხარაგაულში, რიკოთის საუღელტეხილო გზის ხევი-უბისას მონაკვეთის[75] მშენებლობაზე 200-მდე დასაქმებული გაიფიცა. დასაქმებულები ხელფასების 30%-ით მატებასა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს ითხოვდნენ.

როგორც გაფიცულები აცხადებდნენ, მათი დღიური ანაზღაურება 28 ლარი იყო, რაც ინფლაციისა და სამომხმარებლო პროდუქტებზე ფასის ზრდის გამო, აღარ ჰყოფნიდათ. გაფიცულების თქმით, მათი დღიური ანაზღაურება რაიონებიდან მშენებლობამდე მისასვლელად და კვებისთვისაც კი არასაკმარისი იყო. დასაქმებულები, სხვა მოთხოვნებთან ერთად, კომპანიის მხრიდან მგზავრობის უზრუნველყოფასაც ითხოვდნენ.

რიკოთის საუღელტეხილო გზის ხევი-უბისას მონაკვეთის მშენებლობას ჩინეთის ჰუნანის პროვინციის კომპანია – „Hunan Road and Bridge Construction Group“ ახორციელებდა. კომპანიის ადგილობრივი წარმომადგენლის, გიზო კუტალაძის მიერ მედიასთან გაკეთებული განცხადების თანახმად, კომპანიაში გაფიცულთა მოთხოვნებს განიხილავდნენ, თუმცა მათ სურდათ მოლაპარაკებების წარმოება არა ყველა გაფიცულთან, არამედ მათ მიერ არჩეულ 10-15 ადამიანისგან შემდგარ წარმომადგენლობით ჯგუფთან. ასევე, კომპანიისთვის ერთკვირიან ვადას ითხოვდნენ, რათა განეხილათ გაფიცული მუშების მოთხოვნები და შესაბამისი გადაწყვეტილება მიეღოთ.[76]

რკინიგზელთა პროფესიული კავშირის თანახმად,[77] დამსაქმებელი (ჩინური კომპანია) ეფექტიან და კეთილსინდისიერ მოლაპარაკებებს ვერ უზრუნველყოფდა.
მედიასთან გაკეთებული კომენტარის მიხედვით, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განაცხადა, რომ გაფიცულების მოთხოვნების ნაწილობრივ დაკმაყოფილების მიზნით კონტრაქტორ კომპანიებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ.[78]. თუმცა, აცხადებდნენ, რომ დასაქმებულებსა და დამსაქმებელს შორის პირდაპირი ჩარევის უფლება არ ჰქონდათ.

---

[75] ხევი-უბისას 12.2-კილომეტრიან მონაკვეთზე ოთხზოლიანი გზა, 35 ახალი ხიდი და 18 გვირაბი უნდა აშენდეს. „Hunan Road and Bridge Construction Group“-თან ხელშეკრულება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 2018 წელს გააფორმა.

[76] რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობაზე მუშები გაიფიცნენ. 2021 წლის 6 მაისი. Reginfo.ge. https://reginfo.ge/people/item/22144-rikotis-saugeltexilo-gzis-msheneblobaze-mushebi-gaipiznen

[77] რკინიგზელთა პროფესიული კავშირის განცხადება სოციალურ ქსელში ხარაგაულში გზის მონაკვეთის მშენებლობაზე გაფიცულ მუშებთან დაკავშირებით. 2021 წლის 7 მაისი. https://x.facebook.com/rkinigzisprofkavshiri/photos/a.770350616326918/4513470788681530/?type=3&source=57

[78] რიკოთის მაგისტრალის მშენებლობა პარალიზებულია — გაფიცვის მეორე დღე ხარაგაულში. 2021 წლის 7 მაისი. On.ge https://on.ge/story/81420-რიკოთის-მაგისტრალის-მშენებლობა-პარალიზებულია-გაფიცვის-მეორე-დღე-ხარაგაულში

რიკოთზე მიმდინარე მშენებლობაზე 2020 წლის ოქტომბერშიც გაიფიცნენ თანამშრომლები. "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფის" ქართული წარმომადგენლობის განცხადების მიხედვით, ამ გაფიცვას მოლაპარაკებები მოჰყვა და გაფიცულებთან „მოთხოვნათა უმრავლესობაზე მიღწეული იქნა შეთანხმება“, დანარჩენი მოთხოვნებზე კი კომპანიამ პირობა დადო, რომ „შესაძლებლობების ფარგლებში“ ექნებოდა რეაგირება.[79]

რიკოთის მშენებლობის გაფიცვა აჩვენებს, რომ ადგილზე დასაქმებულებს სამუშაოების შესრულებასთან ერთად, საკუთარი შრომითი პირობებისა და უსაფრთხო გარემოსთვისაც უწევდათ კომპანიასთან მოლაპარაკებების წარმოება, რომლის შედეგიც მათ მოთხოვნებზე დაპირების მიღება იყო. მიუხედავად იმისა, რომ მედიაში არსებულ წყაროებში არ ჩანს, შეასრულა თუ არა კომპანიამ დაპირებები, კერძოდ, გაეზარდათ თუ არა გაფიცულ თანამშრომლებს ხელფასი და გაუმჯობესდა თუ არა მათი სამუშაო გარემო, პოსტპანდემიურ პირობებში მიმდინარე გაფიცვა აჩვენებს, რომ დასაქმებულებს გაფიცვის გარდა, თითქმის არ გააჩნიათ რეალური ბერკეტი დაიცვან საკუთარი შრომითი უფლებები.

3.10. ბორჯომის N1 და N2 ჩამომსხმელი ქარხნების გაფიცვა

2021 წლის 18 მაისს ბორჯომის N1 და N2 ჩამომსხმელი ქარხნების თანამშრომლები გაიფიცნენ. გაფიცულების მოთხოვნები ხელფასის მომატებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებასთან ერთად, კომპანიის მიერ დასაქმებულების პროფკავშირული ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვას შეეხებოდა.

დასაქმებულები აცხადებდნენ, რომ მათი შრომითი ანაზღაურება ერთი წლის განმავლობაში 200-250 ლარით იკლებდა, ხოლო არასაკმარისი კადრების რაოდენობის გამო ისინი ვერ ახერხებდნენ შესვენებით სარგებლობას და დატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, ზეგანაკვეთური საათები სრულად არ ანაზღაურდებოდა.[80]

პროფკავშირების ახალგაზრდულ მოძრაობის თქმით, გაფიცვას წინ უძღოდა 21 დღიანი მედიაციისა და კომპანიასთან მოლაპარაკებების რამდენიმეთვიანი უშედეგო პროცესი. ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნების უკმაყოფილო თანამშრომლების გაფიცვის ორგანიზატორი ლაბორი – აგრარული მეურნეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის პროფესიული კავშირი იყო, რომელიც გაფიცულებს დავისა და მოთხოვნების ორგანიზებაში ეხმარებოდა. თუმცა, ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნების თანამშრომლების გაფიცვას, კომპანია პროფკავშირების მხრიდან მიზანმიმართულ საბოტაჟის მცდელობას უწოდებდა. კომპანიის მტკიცებით:

---

[79] რიკოთზე მომუშავე ჩინური სამშენებლო კომპანიის თანამშრომლები გაიფიცნენ – განცხადება. 2020 წლის 12 ოქტომბერი. Bm.ge https://bm.ge/news/rikotze-momushave-chinuri-samsheneblo-kompaniis-tanamshromlebi-gaificnen--gancxadeba/65887

[80] ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნების მუშები გაიფიცნენ. 2021 წლის 18 მაისი. On.ge https://on.ge/story/82039-ბორჯომის-ჩამომსხმელი-ქარხნების-მუშები-გაიფიცნენ

„IDS ბორჯომი საქართველო“, როგორც პასუხისმგებლიანი დამსაქმებელი, ზედმიწევნით იცავს საკუთარ სოციალურ ვალდებულებებს. ჩვენი თანამშრომლების ანაზღაურება 30-40%-ით მეტია დღეს, შრომის ბაზარზე არსებულ საშუალო სტატისტიკურ მაჩვენებელზე. გარდა ამისა, კომპანიაში არსებობს ბონუსების, ფულადი დახმარებების, შვილების სწავლების დაფინანსების პროგრამები, ჯანმრთელობის დაზღვევა, კვება და სხვა სახის შეღავათები."[81]

განცხადებიდან ჩანს, რომ კომპანია ხელმძღვანელობდა საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული საშუალო სტატისტიკური ხელფასების მაჩვენებლითა და პანდემიის შემდეგ გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის[82] ფონზე, კომპანიაში არსებულ სახელფასო პოლიტიკას დადებითად აფასებდა. თუმცა, რეალურ შრომით ბაზარზე არსებული მდგომარეობა საგანგაშო იყო – ამას 2021 წელს გაფიცვების ინტენსივობა და სხვადასხვა დარგში მსგავსი მოთხოვნების არსებობა ადასტურებს.

19 მაისს ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის მაჟორიტარი დეპუტატი ანტონ ობოლაშვილი „IDS ბორჯომის“ წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ დეპუტატმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ შეხვედრა იყო კონსტრუქციული და საწარმო მზად იყო გაფიცული მუშების მხრიდან წამოყენებული თითოეული საკითხის განხილვისთვის.[83]

საბოლოოდ, ბორჯომის N1 და N2 ჩამომსხმელი ქარხნების თანამშრომლების გაფიცვა 26 მაისს დასრულდა. საქართველოს პროფკავშირების ცნობით, რვადღიანი სრულმასშტაბიანი გაფიცვის შემდეგ დასაქმებულებს, პროფკავშირებსა და ადმინისტრაციას შორის შეთანხმება შედგა იმ პირობით, რომ დასაქმებულთა მოთხოვნების უმეტესი ნაწილი დაკმაყოფილდებოდა, ხელფასები გაიზრდებოდა და შრომითი პირობები გაუმჯობესდებოდა. ამ პროცესს თან ახლდა კომპანია „IDS ბორჯომის“ ადმინისტრაციისა და დირექტორის ცვლილება. შეთანხმებას წინ უძღოდა მოლაპარაკებათა რაუნდი პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილს, წარმომადგენელ გიორგი დიასამიძეს, სს "ბორჯომის" დირექტორ მერაბ ახმეტელსა და ქარხნის პროფკავშირული კომიტეტის წევრებს შორის.”[84]

ბორჯომის N1 და N2 ჩამომსხმელი ქარხნების თანამშრომლების გაფიცვის შემთხვევაშიც მოლაპარაკებები მოთხოვნების ნაწილის შესრულების დაპირებით დასრულდა. ეს გაფიცვა

---

[81] ბორჯომის ჩამომსხმელ ქარხნებში გაფიცვას კომპანია პროფკავშირების მართულ მიზანმიმართულ საბოტაჟის მცდელობას უწოდებს. 2021 წლის 18 მაისი. On.ge https://on.ge/story/82091-ბორჯომი

[82] 2020 წელს ინფლაციის ოფიციალური მაჩვენებელი 6.5% იყო.

[83] ბორჯომის ქარხნის გაფიცული მუშების მხარდასაჭერად მსვლელობა იმართება. 2021 წლის 20 მაისი. Publika.ge https://publika.ge/borjomis-qarkhnis-gaficuli-mushebis-mkhardasacherad-msvleloba-imarteba/

[84] ბორჯომის ქარხანაში დასაქმებულებმა გაფიცვა შეწყვიტეს. 2021 წლის 26 მაისი. Interpressnews.ge https://www.interpressnews.ge/ka/article/657888-borjomis-karxanashi-dasakmebulebma-gapicva-shecqvites/

თვალსაჩინო შედეგია იმისა, რომ მრავალმხრივი მოლაპარაკებები: პროფკავშირების, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, კომპანიისა და დასაქმებულების მოლაპარაკებების პროცესში ერთობლივი მონაწილეობა დავის ეფექტიანი გადაწყვეტის საშუალებას იძლევა.

3.11. ნაბეღლავის მძღოლების გაფიცვა

2021 წლის 20 მაისს თბილისსა და ქუთაისში კომპანია „ნაბეღლავის“ სადისტრიბუციო კომპანია „ენგადის“ საწყობის მძღოლები გაიფიცნენ.[85] გაფიცვა ჯერ თბილისში, 80-მდე დასაქმებულის მიერ დაიწყო კომპანიის საწყობთან, სადაც მათ საკუთარი მოთხოვნები გააცნეს კომპანიის წარმომადგენლებს და მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე სამუშაოს შესრულებაზე უარი განაცხადეს. გაფიცულები ხელფასების ზრდასა და პირობების გაუმჯობესებას ითხოვდნენ, რადგან ამბობდნენ, რომ ვერ ახერხებენ შრომის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ბენეფიტებით სარგებლობას, როგორიც არის შვებულება, ზეგანაკვეთური ანაზღაურება და სხვ.

21 მაისს „ნაბეღლავის“ გაფიცული თანამშრომლების ნაწილს ქუთაისის საწყობის ფილიალში დასაქმებულებიც იგივე მოთხოვნებით შეუერთდნენ. თბილისში გაფიცულები ამბობდნენ, რომ მათი ხელზე ასაღები შრომის ანაზღაურება 637 ლარს შეადგენდა, რასაც მცირედი ბონუსები ემატებოდა. დანამატები არასტაბილური იყო და დაახლოებით, 200-300 ლარს შეადგენდა, ყოველთვიური ხელფასი ჯამურად 850 ლარს აღწევდა. გაფიცულები ითხოვდნენ, რომ მათი ხელზე ასაღები ხელფასი 1000 ლარამდე გაზრდილიყო და ბონუსების სისტემაც უფრო მკაფიო და ორგანიზებული გამხდარიყო. 2021 წელს, ოფიციალური საშუალო ხელფასი საქართველოში კი 1300 ლარს შეადგენდა,[86] რაც იმას ნიშნავს, რომ დასაქმებულების ხელფასი მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოში მიღებულ საშუალო ხელფასზე ნაკლები იქნებოდა.

თავდაპირველად, კომპანიის გაფიცულ თანამშრომლებს ლოგისტიკის სამსახურის უფროსმა შესთავაზა ხელფასის 900 ლარამდე, ხოლო ბონუსის 400-ლარამდე გაზრდა. გაფიცულ თანამშრომლებს სურდათ ეს შეთავაზება კომპანიის მენეჯმენტს დაედასტურებინა, რომ უფრო მყარი გარანტიები ჰქონოდათ და წინა გამოცდილების მსგავსად, არ მოტყუებულიყვნენ.[87] კომპანიის ხელმძღვანელი, ვახტანგ მეგრელიშვილი ამბობდა, რომ ისინი აპირებდნენ დასაქმებულთა ხელფასების 15-20%-ით მომატებას, თუმცა დასაქმებულებმა ხელფასების კიდევ უფრო გაზრდა მოითხოვეს.[88] კომპანიის

---

[85] პროფკავშირების თანახმად, "ნაბეღლავის" ქარხნის მძღოლები გაიფიცნენ. 2021 წლის 20 მაისი. რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/31264491.html

[86] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021 წლის საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, ლარი. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi

[87] თბილისში გაფიცული ერთ-ერთი თანამშრომლის თქმით, ხელფასის მომატების წინა მოთხოვნაზე კომპანიამ მათ მე-13 ხელფასი 12 თვეზე გადაუნაწილა, რაც, მათი თქმით რეალური მატება არ ყოფილა.

[88] ანაზღაურება არ არის იმდენი, რაც შრომა გვიწევს — ნაბეღლავის თანამშრომლებიც გაიფიცნენ, 2021 წლის 20 მაისი. On.ge https://on.ge/story/82291-ანაზღაურება-არ-არის-იმდენი-რაც-შრომა-გვიწევს-ნაბეღლავის-თანამშრომლებიც-გაიფიცნენ

მენეჯმენტს მხრიდან დასაქმებულების მიმართ ბუნდოვანი დაპირებები და კომუნიკაციის ხარვეზები მათ შორის არსებულ უნდობლობაზე მიუთითებს.

ხელფასების ზრდის გარდა, დასაქმებულების მოთხოვნა იყო შრომითი პირობებით გათვალისწინებული ბენეფიტებით სარგებლობა. ერთ-ერთი ასეთი ბენეფიტია შვებულება, რომლითაც ზოგიერთ დასაქმებულს წლების განმავლობაში არ ესარგებლა. ამასთან, საწყობის გაფიცული თანამშრომლების თქმით, ერთი ადამიანი ასრულებდა რამდენიმე კადრის საქმეს. ამ გზით კომპანია ხარჯებს ზოგავდა, ხოლო დასაქმებულის შრომის დატვირთვა იზრდებოდა, რასაც შედეგად დასაქმებულის გაუარესებული ჯანმრთელობისა და ეკონომიკური მდგომარეობა მოჰყვებოდა. ერთ-ერთ ინტერვიუში გაფიცული თანამშრომელი ამბობს:

> *„მე რომ მუშაობა დავიწყე, 80 თეთრი ღირდა ნაბეღლავის ერთი ბოთლი. ახლა ღირს ლარი და ოცი. სხვა პროდუქტებზე არაფერს ვიტყვი. ყველაფერი იმატებს ჩვენი ხელფასის გარდა."*[89]

შვებულების გარდა, დასაქმებულები ითხოვდნენ სამუშაო დღის ხანგრძლივობის განსაზღვრასა და ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებას. დასაქმებულების კონტრაქტის მიხედვით მათი სამუშაო კვირა 48 საათისგან შედგებოდა. კადრების სიმცირისა და დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო მათ ზეგანაკვეთურად უწევდათ მუშაობა – დილის 9 საათზე დაწყებული სამუშაო დღე მაშინ მთავრდებოდა, როცა საქმე დასრულდებოდა, რასაც შედეგად, ანაზღაურების ზრდა არ მოჰყვებოდა.

შრომით პირობებთან დაკავშირებით კიდევ ერთი მოთხოვნა სამუშაო ტექნიკას უკავშირდებოდა. გაფიცულების თქმით, სატვირთო მანქანების ტვირთამწეობა რეალურად გადასაზიდი ტვირთის მასას რამდენიმე ტონით აღემატებოდა, რაც სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების რისკებს ზრდიდა და დამატებით ყურადღებას საჭიროებდა.

გაფიცულებს საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების (GTUC-ის) წარმომადგენლები 21 მაისიდან მშრომელების ინტერესების დასაცავად შეუერთდნენ, თუმცა, კომპანია უარს აცხადებდა პროფკავშირების ჩართულობით დასაქმებულებთან მოლაპარაკებებზე.[90] ამ პროცესში ჯანდაცვის სამინისტრო 27 მაისიდან ჩაერთო და მედიატორიც გამოყო[91]. საბოლოოდ, მოლაპარაკებები მორიგებით დასრულდა - პროფკავშირებმა და დასაქმებულებმა კომპანიისგან პირობა მიიღეს, რომ მათი მოთხოვნები

---

[89] პერტაია ლუკა, „ეს არის მონური შრომა" – თბილისსა და ქუთაისში „ნაბეღლავის" მძღოლები გაიფიცნენ. 2021 წლის 21 მაისი. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/news/543317/

[90] იქვე.

[91] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რკინიგზელთა ახალი პროფკავშირისა და შპს „ენგადას" შორის კოლექტიურ შრომით დავაზე მედიატორის დანიშვნასთან დაკავშირებით. N01/7578, 2021 წლის 27 მაისი. https://www.facebook.com/gtuc.ge/photos/pcb.10158549527783073/10158549526878073/

დაკმაყოფილდებოდა, საპასუხოდ კი ორკვირიანი გაფიცვის შემდეგ, 3 ივნისს გაფიცული თანამშრომლები სამუშაოს განაახლებდნენ.[92]

„ნაბეღლავის“ საწყობის თანამშრომლების გაფიცვამ აჩვენა, რომ პროფკავშირებისა და შრომის სამინისტროს მონაწილეობა დასაქმებულებსა და კომპანიის დავაში ეფექტიანი აღმოჩნდა კონკრეტული შეთანხმების მისაღწევად.

3.12. პეპსის დისტრიბუტორების გაფიცვა

2021 წლის 10 ივნისს, საქართველოში „პეპსის“ ოფიციალური დისტრიბუტორისა და წარმომადგენლის კომპანია „იბერია რეფრეშმენტის“[93] სადისტრიბუციო ქსელის თანამშრომლები ხელფასის მატების მოთხოვნით გაიფიცნენ.[94] მუშაობა შეწყვიტეს კომპანიაში დასაქმებულმა ექსპედიტორებმა, ექსპედიტორთა დამხმარეებმა და მტვირთავებმა, ჯამში 100-მდე თანამშრომელმა. კომპანიასა და გაფიცულებს შორის შრომითი დავა 5 ივნისს დაიწყო, რომელშიც პროფკავშირების ახალგაზრდული მოძრაობაც იყო ჩართული და სამართლებრივ დახმარებას უწევდა გაფიცულ თანამშრომლებს. კომპანიასთან უშედეგო მოლაპარკებების შემდეგ უკმაყოფილო დასაქმებულებმა გაფიცვას მიმართეს.

თანამშრომლების გაფიცვის დღესვე კომპანიის მხრიდან მოლაპარაკებები განახლდა. გაფიცულთა მოთხოვნები შრომის ანაზღაურების გაზრდის გარდა, შეეხებოდა შრომითი და კოლექტიური ხელშეკრულებებისა გაფორმებას, ჯანმრთელობის დაზღვევასა და გაფიცვაში მონაწილეობის გამო დასაქმებულთა მიმართ დევნის ან დასჯის მექანიზმების არგამოყენებას. საბოლოოდ, „იბერია რეფრეშმენტის“ გაფიცულმა თანამშრომლებმა რვა მოთხოვნა წამოაყენეს: 1.ექსპედიტორთა და ექსპედიტორთა დამხმარე მძღოლის ვიზიტის ანაზღაურება განისაზღვროს 50 თეთრით (25 თეთრად გაწერით); 2. მტვირთავის ფიქსირებული ხელფასის გარდა, ბონუსური სისტემის შემოღება; 3. კომპანიამ აიღოს ვალდებულება, გააფორმოს ყველა თანამშრომელთან შრომითი ხელშეკრულება; 4. გააფორმოს კოლექტიური ხელშეკრულება; 5. უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაზღვევა; 6. უზრუნველყოს ანაზღაურებადი ბიულეტენი; 7. არ გამოიყენოს სანქცია გაფიცვაში მონაწილე პირების მიმართ; 8. ორი თვის შემდეგ გადაიხედოს მოთხოვნები გაუმჯობესების მიზნით.[95]

---

[92] პერტაია ლუკა, „ნაბეღლავის“ მძღოლებმა ხელფასის მატების დაპირების შემდეგ გაფიცვა შეწყვიტეს. 2021 წლის 2 ივისი. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/news/545739/

[93] „იბერია რეფრეშმენტი“ სააქციო საზოგადოებაა, რომელიც 2001 წლიდან არის საქართველოში რეგისტრირებული.

[94] პერტაია ლუკა, „პეპსის“ დისტრიბუციაში დასაქმებულები გაიფიცნენ. 2021 წლის 10 ივნისი. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/news/547598/

[95] „პეპსის“ დისტრიბუციაში დასაქმებულებსა და კომპანიას შორის შეთანხმება შედგა. 2021 წლის 10 ივნისი. პუბლიკა. https://publika.ge/pepsis-distribuciashi-dasaqmebulebsa-da-kompanias-shoris-shetankhmeba-shedga/

გაფიცვის მოთხოვნებიდან ჩანს, რომ სადისტრიბუციო კომპანიის გაფიცული თანამშრომლები შრომის ანაზღაურებასთან ერთად ითხოვდნენ სამუშაო პირობების გაუმჯობესებას. თუმცა, სხვა მოთხოვნები აჩვენებს, რომ დასაქმებულებისთვის გაფიცვა საკუთარი შრომითი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი იყო. ამასთან, „იბერია რეფრეშმენტის“ უკმაყოფილო თანამშრომლები აცნობიერებდნენ გაფიცვის მნიშვნელობას და მათი ერთ-ერთი მოთხოვნა პროტესტში მონაწილეების სანქციებისგან დაცვა იყო.

საბოლოოდ, 2021 წლის 10 ივნისს გაფიცულ თანამშრომლებსა და კომპანიას შორის შეთანხმება დოკუმენტზე ხელმოწერით შედგა,[96] თუმცა ღია წყაროებიდან რთულია იმის დადგენა, თუ რა პირობები შეასრულა კომპანიამ და რა დაპირებებზე დაითანხმა თანამშრომლები. მიუხედავად ამისა, კომპანია „იბერია რეფრეშმენტის“ სადისტრიბუციო ქსელის თანამშრომლების რამდენიმედღიანმა გაფიცვამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შრომითი უფლებების შესახებ დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლებაში.

3.13. „ყვითელი მიკროავტობუსის“ მძღოლების გაფიცვა

2021 წლის 18 ივნისს „ახმეტელის მეტროს“ მიმდებარე ტერიტორიაზე „ყვითელი მიკროავტობუსების“ მძღოლებმა აქცია გამართეს. ისინი ხელფასების ცვლილებას აპროტესტებენ და მის ძველ ნიშნულზე დაბრუნებას ითხოვენ. გაფიცულების ამბობდნენ, რომ ქალაქში „ლურჯი მიკროავტობუსების“ გამოჩენას „ყვითელი ავტობუსების“ მძღოლების ხელფასების შემცირება მოჰყვა.[97] გაფიცულები ითხოვდნენ ახალი, „ლურჯი მიკროავტობუსების“ მძღოლების მსგავს პირობებს.

2021 წლის სექტემბერში, დედაქალაქში Ford-ის მარკის მიკროავტობუსების პირველი ნაკადი – 300 ერთეული შემოვიდა,[98] რომელსაც არსებული, მოძველებული და ხშირად, გაუმართავი „ყვითელი მიკროავტობუსები“ უნდა ჩაენაცვლებინა. სატრანსპორტო რეფორმას გაფიცვა მოჰყვა. „ყვითელი მიკროავტობუსის“ მძღოლები ამბობდნენ, რომ მათ ავტომობილები საბოლოო შესყიდვის პირობით ჰყავდათ და ითხოვდნენ მიკროავტობუსების კუთვნილებაში გადაცემას.[99]

---

[96] „პეპსის“ დისტრიბუციაში დასაქმებულებსა და კომპანიას შორის შეთანხმება შედგა. 2021 წლის 10 ივნისი. პუბლიკა. https://publika.ge/pepsis-distribuciashi-dasaqmebulebsa-da-kompanias-shoris-shetankhmeba-shedga/

[97] "ვითხოვთ თანაბარ შრომის პირობებს" - ყვითელი მიკროავტობუსის მძღოლებმა აქცია გამართეს. ფორმულა. 2021 წლის 18 ივნისი. ფორმულა. https://formulanews.ge/News/%22ვითხოვთ_თანაბარ_შრომის_პირობებს%22_-_ყვითელი_მიკროავტობუსის_მძღოლებმა_აქცია_გამართეს/52189

[98] დედაქალაქის მგზავრებს დამატებით ახალი მიკროავტობუსები და 8-მეტრიანი ავტობუსები მოემსახურება. 2021 წლის 21 სექტემბერი. Bpn.ge. https://www.bpn.ge/article/86063-dedakalakis-mgzavrebs-damatebit-axali-mikroavtobusebi-da-8-metriani-avtobusebi-moemsaxureba/

[99] თბილისში ყვითელი მიკროავტობუსის მძღოლები გაიფიცნენ. 2021 წლის 18 ივნისი. Jamnews.ge https://jam-news.net/ge/tbilisshi-yviteli-mikroavtobusis-mdzgholebi-gaificnen/

პროტესტს მხარდაჭერა გამოუცხადა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტია „სტრატეგია აღმაშენებელმა“, ხოლო კომპანია „თბილისის მიკროავტობუსში“ მძღოლების გაფიცვასთან დაკავშირებით საჯარო კომენტარი არ გაკეთებულა.[100]

“ყვითელი მიკროავტობუსების “მძღოლები 2013 წლის იანვარშიც გაიფიცნენ. მაშინ ისინი მიკროავტობუსის კომპანიისგან ყოველდღიურად შესასრულებელი გეგმის შემცირებას, ტექნიკური მომსახურების გადასახადის დაწევას და 2011 წელს ჩატარებული ტენდერის გაუქმებას მოითხოვდნენ, რასაც მგზავრობის გადასახადის გაზრდა მოჰყვა.[101]

ეს ორი გაფიცვა აჩვენებს, რომ დედაქალაქის მუნიციპალიტეტისა და სატრანსპორტო სამსახურის მიერ ჩატარებული რეფორმები, „ყვითელი მიკროავტობუსის“ მძღოლების ინფორმირებისა და მათი ინტერესების გათვალისწინების გარეშე განხორციელდა. 2023 წლისთვის, დედაქალაქში აღარ მოძრაობს „ყვითელი მიკროავტობუსები“, ისინი სრულად ახალმა, „ლურჯმა მიკროავტობუსებმა“ ჩაანაცვლა სრულიად განსხვავებული სამუშაო პირობებით.

3.14. დაშბაშის კანიონის კეთილმოწყობაზე დასაქმებულებს გაფიცვა

2021 წლის 29 ივლისს წალკაში, დაშბაშის კანიონის კეთილმოწყობაზე დასაქმებულები კუთვნილი ანაზღაურების მოთხოვნით გაიფიცნენ. გაფიცულებმა სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის “კასს ლენდის” ადმინისტრაციულ შენობამდე მიმავალი საავტომობილო გზა გადაკეტეს და ხელმძღვანელებს ადგილზე მისვლის საშუალებას არ აძლევდნენ.[102]

“კასს ლენდის” წარმომადგენელმა მედიასთან გაკეთებულ კომენტარში განაცხადა, რომ ერთ-ერთ კონტრაქტორ კომპანიას ჰქონდა თავისი თანამშრომლების დავალიანება, რომელიც მოგვიანებით აანაზღაურა, ხოლო თავად „კასს ლენდს“ სრულად აქვს ანაზღაურებული ყველა ნაკისრი ფულადი ვალდებულება მათი კონტრაქტორების მიმართ. კომპანიის წარმომადგენლის თქმით, მათ და სხვა კონტრაქტორ კომპანიებს მიმდინარე სამუშაოების გაგრძელებაში ხელი შეეშალათ, რამაც გამოიწვია კომპანიის დაზარალება.

---

[100] „მძღოლების აქცია“, 2021 წლის 18 ივნისი. საზოგადოებრივი მაუწყებელი. https://1tv.ge/video/mdzgholebis-aqcia-2/

[101] მიკროავტობუსების გაფიცვამ დედაქალაქში პრობლემები შექმნა. 2013 წლის 30 იანვარი. https://netgazeti.ge/news/19084/

[102] დაშბაშის კანიონის კეთილმოწყობაზე დასაქმებულები გაიფიცნენ. 2021 წლის 29 ივლისი. On.ge https://on.ge/story/86382-დაშბაშის-კანიონის-კეთილმოწყობაზე-დასაქმებულები-გაიფიცნენ

საბოლოოდ, დაშბაშის კანიონის კეთილმოწყობის სამუშაოებზე დასაქმებულები სამუშაო ადგილებს დაუბრუნდნენ. გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც კუთვნილი ანაზღაურება ჩაურიცხეს.[103]

ეს გაფიცვაც აჩვენებს, რომ კომპანია (დამსაქმებელი) და სხვა ინტერეს ჯგუფები დასაქმებულების მოთხოვნებსა და უკმაყოფილებას მას შემდეგ ითვალისწინებენ, რაც დასაქმებულები რადიკალურ ფორმას – გაფიცვას მიმართავენ. დასაქმებულს, დამსაქმებელს, სახელმწიფოსა და პროფკავშირებს შორის შრომით პირობებსა და უფლებებზე ასეთი ფორმით მოლაპარაკებების გავრცელებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ შრომითი დავების მოსაგვარებელი სხვა მექანიზმები არაეფექტიანია და საჭიროა მათი აღსრულების მექანიზმების გაუმჯობესება.

3.15. თბილსერვის ჯგუფის თანამშრომლების გაფიცვა

2023 წლის 6 აგვისტოს თბილისის დასუფთავების სამსახურის „თბილსერვის ჯგუფის“ თანამშრომლები გაიფიცნენ – მემანქანეებმა და ნაგვის გამტანებმა უარი განაცხადეს ქალაქის დასუფთავებაზე. მათ კომპანიის მიმართ ორი მთავარი მოთხოვნა ჰქონდათ: ძველი სამუშაო რეჟიმის დაბრუნება და ხელფასის 50%-იანი მატება. გაფიცულები კომპანიის სათაო ოფისთან, ბელიაშვილის ქუჩაზე შეიკრიბნენ და ადგილზე, დედაქალაქის მერის, კახი კალაძის მისვლასაც ითხოვდნენ.[104]

კომპანია „თბილსერვის ჯგუფი“ 2007 წელს დაარსდა და მისი ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობა ქალაქის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების მართვის მომსახურება. კომპანიას სახელმწიფო, კერძოდ, თბილისის მუნიციპალიტეტის მერია 100%-იანი წილით ფლობს.[105] რაც იმას ნიშნავს, რომ გაფიცულები სახელმწიფოსგან ითხოვდნენ შრომითი პირობების დაცვას, მის გაუმჯობესებასა და ხელფასების ზრდას.

დასუფთავების სამსახურის თანამშრომლების გაფიცვა აგვისტოს თვეში შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან ახალი განრიგით ამ პერიოდში უნდა შეცვლილიყო თანამშრომელთა სამუშაო გრაფიკი. ახალი გრაფიკით დასაქმებულებს დილის 10:00 საათიდან საღამოს 18:00 საათამდე უნდა ემუშავათ. თუმცა, მაღალი ტემპერატურის გამო, ქუჩებისა და საჯარო სივრცეების დასუფთავება, ქალაქიდან ნარჩენებისა და ნაგვის გატანა მუშაობას ართულებდა და დასაქმებულთა ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნიდა. ძველი გრაფიკი კი ორ ცვლაზე იყო გადანაწილებული: დილის 06:00 საათიდან დღის 13:00 საათამდე ან საღამოს 18:00 საათიდან 00:00 საათამდე.[106] კომპანიის მიერ გრაფიკის შეცვლის ერთ-ერთი

---

[103] დაშბაშის კანიონზე მომუშავე პირებმა გაფიცვა შეწყვიტეს. 2021 წლის 27 ივლისი. ტვ პირველი. https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/sazogadoeba/7587-dashbashis-kanionze-momushave-pirebma-gapitsva-shetskvites

[104] პერტაია ლუკა, რას ითხოვენ დასუფთავების სამსახურის გაფიცული მუშები – რეპორტაჟი. 2021 წლის აგვისტო. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/news/558183/

[105] შპს თბილსერვის ჯგუფი, კომპანიის შესახებ. https://www.tbsg.ge/ka/cven-sesaxeb/about-us

[106] ზოგ შემთხვევაში ეს დრო მოიცავდა საღამოს 20:00 საათიდან დილის 08:00 საათამდე შუალედს.

არგუმენტი იყო საცობებისგან თავის არიდება, თუმცა დილის 10:00-დან საღამოს 18:00 საათამდე დასუფთავების სამსახურის მანქანებით ქალაქის გადატვირთვა უფრო მეტ საცობს გამოიწვევდა, ვიდრე ეს ძველი გრაფიკით შეიძლებოდა ყოფილიყო. თუმცა, გაფიცულები მიუთითებდნენ მეორე გარემოებაზეც, რომ კომპანიის მიერ სამუშაო საათების ცვლილებას დასაქმებულთა სამუშაო დროის ზრდა მოყვებოდა.

გაფიცული თანამშრომლების განმარტების თანახმად, ქალაქის ერთი რაიონის დასუფთავების ბრიგადა სამი ადამიანისგან შედგება: მძღოლი და ორი მუშა. ერთ რაიონში დასუფთავებასა და ნაგვის გატანას ბრიგადა დაახლოებით ხუთ საათს ანდომებდა, ხოლო ახალი გრაფიკითა და შეცვლილი სამუშაო პირობებით მათ ორი უბანი შვიდ საათში უნდა დაესუფთავებინათ. მაშასადამე, გაიზარდა შრომის დატვირთვა და სამუშაო დრო, ხოლო ახალი გრაფიკი აუარესებდა მათი შრომის პირობებს. საბოლოოდ, გაფიცულების მოთხოვნა სამუშაო გრაფიკის ცვლილების შესახებ 6 აგვისტოს დაკმაყოფილდა. თბილისის მერია აცხადებდა, რომ გაფიცულებმა ეს გადაწყვეტილება "თბილსერვისის" ხელმძღვანელთან და მერიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ მიიღეს.[107]

ხელფასებთან დაკავშირებული მოთხოვნა კი პრობლემური აღმოჩნდა. დასაქმებულები ამბობდნენ, რომ ნაგვის ურნების დამცლელი მუშების ყოველთვიური ანაზღაურება 760 ლარს შეადგენდა, ხოლო სატვირთო ავტომობილების მძღოლების – 860 ლარს. 2021 წლისთვის ოფიციალური მონაცემების თანახმად საშუალო თვიური ხელფასი საქართველოში 1304.5 ლარი იყო,[108] რაც დაახლოებით ორჯერ ნაკლებია, ვიდრე დასუფთავების სამსახურის გაფიცული თანამშრომლების ყოველთვიური ანაზღაურება. 2021 წელს წლიურმა ინფლაციამ 13.9% შეადგინა და ფასების მატება ყველაზე მეტად სურსათზე აისახა.[109]

გაფიცულებმა პროტესტზე ხელფასების ზრდისა და ძველ სამუშაო გრაფიკზე დაბრუნების გარდა, სხვა მოთხოვნებიც ჩამოაყალიბეს, მათ შორის ხელშეუხებლობა, რაც პროტესტში თავისუფლად მონაწილეობას გულისხმობდა. ასევე, მოთხოვნებს შორის იყო სამუშაო ფორმის შეცვლა, უფასო დაზღვევა, ტრანსპორტის განახლება და კუთვნილი შვებულებით სრულად სარგებლობა.[110] კომპანია „თბილსერვის ჯგუფის" გაფიცული თანამშრომლების მოთხოვნების უმეტესობა საქართველოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთათვის შრომის კოდექსით გათვალისწინებული ბენეფიტებია. კიდევ ერთი საგულისხმო გარემოებაა, რომ დამსაქმებელი სახელმწიფო უწყება იყო.

---

[107] აფრიამაშვილი სოფო, მერია: "თბილსერვისის" თანამშრომლების ნაწილმა გაფიცვა შეწყვიტა. 2021 წლის 6 აგვისტო. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/news/558244/

[108] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021 წლის საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, ლარში. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi

[109] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. წლიური ინფლაცია, 2021. https://www.geostat.ge/media/42539/ინფლაცია-საქართველოში---დეკემბერი-2021.pdf

[110] პერტაია ლუკა, რას ითხოვენ დასუფთავების სამსახურის გაფიცული მუშები – რეპორტაჟი. 2021 წლის აგვისტო. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/news/558183/

2021 წლის 6 აგვისტოს გაფიცულებსა და კომპანიას შორის მოლაპარაკებების შედეგად პროტესტი შეწყდა და თანამშრომლები სამუშაო გარემოს დაუბრუნდნენ. თუმცა, დედაქალაქის ვიცე-მერის, ირაკლი ხმალაძის განცხადების თანახმად, გაფიცულები შეცდომაში იქნენ შეყვანილი და მათთან რამდენიმე შეხვედრის შემდეგ შეთანხმება შესაძლებელი გახდა. ვიცე-მერის შეფასებით, 2021 წლის შემოდგომაზე დაგეგმილი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის არჩევნების გამო „თბილსერვისის“ თანამშრომლების გაფიცვა, შესაძლოა, ოპოზიციურ პარტიებს უკავშირდებოდა და პირადად ქალაქის მერის, კახა კალაძის წინააღმდეგ ყოფილიყო მიმართული.[111]

თბილისის მერიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში კი გაფიცვის დასრულება შემდეგნაირად შეფასდა: „მოთხოვნათა დიდი ნაწილი უკვე შესრულებულია, კერძოდ, უნიფორმების და სპეცტექნიკის განახლების მიმართულებით გადადგმულია ნაბიჯები. ასევე, გასული წლის დეკემბრიდან მოხდა „თბილსერვის ჯგუფის“ თანამშრომელთა ხელფასების 20%-იანი ზრდა.“[112] თუმცა განცხადებაში არაფერი თქმულა 2021 წლისთვის ხელფასების მატებასთან დაკავშირებით. ამდენად, დედაქალაქის მუნიციპალიტეტის განცხადება ბუნდოვანი იყო და საზოგადოებას რეალურ ინფორმაციას არ აწვდიდა.

კომპანია „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სამსახურის თანამშრომლების ნაწილის რამდენიმედღიანმა გაფიცვამ აჩვენა, რომ მათი მოთხოვნები შრომითი ანაზღაურების ზრდისა და შრომითი პირობების გაუმჯობესების გარდა, მოიცავდა უკმაყოფილების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობის, სამუშაო კონტრაქტებზე წვდომის, კუთვნილი შვებულებით სარგებლობისა და შრომისთვის აუცილებელი ხელსაწყოებისა და ტექნიკის განახლების მოთხოვნას. მიუხედავად მკაფიო საგაფიცვო მოთხოვნებსა, დედაქალაქის მერიის მხრიდან ცალკეულ მოთხოვნებზე კონკრეტული პასუხები საჯაროდ არ გაცემულა. თუმცა, დასუფთავების სამსახურის თანამშრომლების ნაწილის გაფიცვამ და ზაფხულში, ქალაქიდან ნაგვის გატანაზე დროებით უარის თქმამ აჩვენა გაფიცულების შრომის მნიშვნელობა დედაქალაქის სანიტარიისა და მისი სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის. ამასთან, გაფიცულებმა მიიღეს საგაფიცვო მოთხოვნების ჩამოყალიბების, შრომითი უფლებების დასაცავად მოლაპარაკებებში მონაწილეობისა და გადაწყვეტილებების მიღების გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ გაფიცვა მოთხოვნების სრული და მყისიერი შესრულებით არ დასრულებულა, ქალაქის სანიტრებმა დამსაქმებელსა და საზოგადოებას აჩვენეს საკუთარი შრომის რეალური მნიშვნელობა. ასევე გამოვლინდა ის გამოწვევები და ხარვეზები, რაც სახელმწიფოს, როგორც დამსაქმებელს გააჩნია შრომის სტანდარტებსა და რეგულაციების შესრულებაში.

---

[111] თბილისის ვიცე-მერის, ირაკლი ხმალაძის განცხადება. 2021 წლის 8 აგვისტო. https://tbsg.ge/ka/media-centri/siaxle/403-tbilservisis-tanamsromelta-gaficva-piradad-kaxa-kalazis-winaarmdeg-garedan-martuli-procesia

[112] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განცხადება. 2021 წლის 6 აგვისტო. https://tbilisi.gov.ge/news/11832?fbclid=IwAR0tU78lvQA2NIeTaXVjKKgohg3Gphqv9bqIUoaGU0d7NPiaIz_RJ0a1Qmw

4. 2022 წლის გაფიცვები

2022 წელს საქართველოში დასაქმებულთა ხუთი გაფიცვა ფიქსირდება. მათი უმეტესობა წარმოადგენს სერვისის, მომსახურებისა და მრეწველობის სფეროში დასაქმებულთა პროტესტს.

4.1. 2022 წლის ეკონომიკური მახასიათებლების მიმოხილვა

2022 წელი გლობალურად და საქართველოს ეკონომიკისთვის კრიზისის წელი იყო, ვინაიდან 2019-2020 წლის გლობალური პანდემიის დასრულების მიუხედავად, ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები დასაქმებულებისთვის მძიმე პრობლემად რჩებოდა. რასაც დაემატა 2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომის დაწყების შედეგად საქართველოში მიგრანტების ნაკადის მოულოდნელი და სწრაფი შემოსვლა, და შედეგად, ადგილობრივ სამომხმარებლო პროდუქციასა და კერძო საკუთრებაზე ფასების ზრდა.

2022 წელს საქართველოში ოფიციალური მონაცემებით საშუალო ხელფასი 1543 ლარს შეადგენდა,[113] უმუშევრობა – 17.3%-ს[114] (267 ათასი ადამიანი), ხოლო საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა 652 096 ადამიანი იყო.[115] მოცემული მონაცემები აჩვენებს, რომ 2022 წლისთვის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, გლობალური გამოწვევების ფონზე, მწვავე იყო, რაც კავშირშია დასაქმებულთა შრომის უფლებებთან, ანაზღაურებასა და ეკონომიკურ გამოწვევებთან. შედეგად, 2022 წელს სხვადასხვა სფეროში დასაქმებულების გაფიცვები შრომითი ანაზღაურებისა და პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით გაიმართა.

4.2. სოციალური აგენტების გაფიცვა

2022 წლის 17 იანვარს სოციალური მომსახურების სააგენტოს 400-მდე თანამშრომელი, ძირითადად, სოციალური მუშაკები გაიფიცნენ. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მომუშავე სოციალურმა აგენტებმა ონლაინ გამართულ შეხვედრაზე განაცხადეს, რომ გაფიცვის გადაწყვეტილება მიიღეს.

---

[113] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2022 წელი. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi

[114] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. დასაქმება და უმუშევრობა, 2022 წლის მონაცემები. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

[115] სსიპ, სოციალური მომსახურების სააგენტო. ხოლო საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა 2022 წელის მონაცემები. https://ssa.moh.gov.ge/statistik.php?lang=1&id=20221207000222585529955 1&v=0

გაფიცვის მიზეზს წარმოადგენდა ღირსეული ანაზღაურების მოთხოვნა. მათი განცხადებით არსებული ანაზღაურება 200-300 ლარს შეადგენდა. სოციალური აგენტების უკმაყოფილების მიზეზი იყო ასევე დროებითი, ერთთვიანი ხელშეკრულებები, რომელსაც მათთან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აფორმებდა. მოკლევადიანი ხელშეკრულებები დასაქმებულებს შრომის კანონმდებლობით სრულად სარგებლობის უფლებას უზღუდავდა, ხოლო დამსაქმებელს პასუხისმგებლობებისგან ათავისუფლებდა.

გაფიცულ სოცაგენტებთან შეხვედრის შემდეგ სამინისტროში განაცხადეს, რომ სოციალური აგენტების 250-ლარიანი ხელფასი 400 ლარი გახდებოდა, ხოლო უფროსი სოციალური აგენტის – 550 ლარის ნაცვლად 700 ლარი. ამასთან, სოციალური აგენტები, თითო ოჯახთან გასაუბრებისას ძველი ტარიფით 6 ლარს იღებდნენ, ახალი ცვლილებით კი ის 10 ლარამდე უნდა გაზრდილიყო.[116]

სამინისტროს მიერ სოციალური აგენტებისთვის გაცემული დაპირება არსებული ეკონომიკური ვითარების ფონზე მიუღებელი იყო. გარდა ამისა, სოციალური აგენტები ამბობდნენ, რომ სოციალურად დაუცველ მოსახლეობამდე მისვლა საკუთარი ხარჯით უწევდათ, რაც დამატებითი მძიმე ტვირთი იყო მათთვის, განსაკუთრებით კი რეგიონებში, სადაც ტრანსპორტირების პრობლემა მწვავედ დგას.

2022 წლის 20 იანვარს გაფიცულმა სოციალურმა მუშაკებმა პროტესტი განაახლეს და მთავრობის ადმინისტრაციასთან შეიკრიბნენ, სადაც პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა მოითხოვეს. გაფიცულების მოთხოვნები იყო: ხელფასების გაორმაგება, შრომის პირობების გაუმჯობესება, მათ შორის, ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება.[117] გაფიცვის მე-5 დღეს მათ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე შეხვდა.

საბოლოოდ, სოციალური მომსახურების სააგენტო თანამშრომლებმა გაფიცვა 2022 წლის 22 იანვარს შეწყვიტეს. სოლიდარობის ქსელის განცხადებით,[118] გაფიცვა მოლაპარაკებით დასრულდა. გაფიცულებმა მიიღეს დაპირებები, რომ სოციალური აგენტების არსებული ხელფასები 40%-60%-ით გაიზრდებოდა. გარდა ანაზღაურების ზრდისა, სოცაგენტებს შეეძლებოდათ ესარგებლათ დეკრეტული შვებულებით და ასევე, გაფიცულებს აუნაზღაურდებოდათ გაფიცული სამუშაო დრო. ამასთან, სოციალურმა აგენტებმა და უფროსმა სოციალურმა აგენტებმა მიიღეს დაპირება, რომ ისინი უზრუნველყოფილი იქნებოდნენ ტრანსპორტით და გაუქმდებოდა ერთთვიანი ხელშეკრულებები. სანაცვლოდ

---

[116] კუპრეიშვილი თაზო, სოციალური აგენტები გაიფიცნენ. 2022 წლის 17 იანვარი. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/life/586727/

[117] სოციალური აგენტების გაფიცვა. 2022 წლის 20 იანვარი. აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი. https://www.adjaratv.ge/article/89858

[118] პროფკავშირ სოლიდარობის ქსელის განცხადება სოციალურ ქსელში სოციალური აგენტების გაფიცვასთან დაკავშირებით. 2022 წლის 22 იანვარი. https://www.facebook.com/tbilisisolidarity/photos/a.433325146876098/1874595096082422/?type=3&ref=embed_post

კი, ყველა დასაქმებულთან დაიდებოდა ერთწლიანი ხელშეკრულება, რაც დასაქმებულებს მისცემდა საშუალებას ესარგებლათ შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული ბენეფიტებით. დაპირებებს შორის იყო ასევე სპეციალური საკომუნიკაციო პლატფორმის შექმნა, რომლითაც დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის კომუნიკაცია უნდა გაუმჯობესებულიყო.[119] გაზრდილი თანამდებობრივი სარგო სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებულ 998 პირს უნდა შეხებოდა.[120]

სოციალური აგენტების 2022 წლის იანვრის გაფიცვის მოთხოვნები ახალი არ ყოფილა, რადგან ისინი 2020 წლის ივნისშიც გაიფიცნენ. 2020 წლის გაფიცვის მოთხოვნები იდენტური იყო და მაშინაც, დასაქმებულთა ანაზღაურებისა და შრომითი პირობების გაუმჯობესებას შეეხებოდა. ამის შესახებ 2020 წელს წერდნენ „ფონდი – ღია საზოგადოება საქართველო“[121] და „სოციალური სამართლიანობის ცენტრი.“[122] ისინი მოუწოდებდნენ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს აღედგინათ კომუნიკაცია სოციალურ აგენტებთან და, სოციალური აგენტების წარმომადგენლებისა და პროფკავშირების კოლექტიური დავის პროცესში უშუალო ჩართულობით, უზრუნველეყოთ მოლაპარაკებების გაგრძელება და სოციალური აგენტებისთვის ღირსეული შრომითი პირობების შექმნა.

სოციალური აგენტების 2022 წლის გაფიცვამ აჩვენა, რომ შრომის კანონმდებლობის დაცვისა და მისი აღსრულების მონიტორინგის ხარვეზები დგება იმ შემთხვევაშიც, თუკი დამსაქმებელი სახელმწიფო უწყებაა, ამ შემთხვევაში კი ის სახელმწიფო უწყება, რომელიც უშუალოდ არის პასუხისმგებელი ქვეყანაში შრომითი უფლებების დაცვაზე. ამასთან, გაფიცვამ აჩვენა, რომ დასაქმებულებსა და დამსაქმებელს შორის არსებული კომუნიკაციის ხარვეზები, შესაძლოა, გაფიცვის დამატებითი წინაპირობა გახდეს. სოციალური აგენტების გაფიცვამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ დასაქმებულებისთვის გაფიცვა ერთადერთი გამოსავალია საკუთარი შრომითი უფლებების დასაცავად.

4.3. ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნების დასაქმებულების გაფიცვა

2022 წლის 21 მაისს „ბორჯომის“ ჩამომსხმელი ქარხნების დასაქმებულებმა დილის 6 საათიდან სრულმასშტაბიანი და უვადო გაფიცვა დაიწყეს.[123] გაფიცულთა მოთხოვნებს წარმოადგენდა სამსახურიდან გათავისუფლებული 50 თანამშრომლის აღდგენა და ძველი

---

[119] სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებმა გაფიცვა შეწყვიტეს — რაზე შეთანხმდნენ. 2022 წლის 22 იანვარი. On.ge. https://on.ge/story/97446

[120] სოციალურმა აგენტებმა გაფიცვა შეწყვიტეს - მიღწეულია შეთანხმება. 2022 წლის 22 ინავარი. რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/31666170.html

[121] ფონდი ღია საზოგადოება საქართველო (OSGF), 2020 წლის 29 ივნისი. https://osgf.ge/socialuri-agentebis-gaficvis-shesakheb/

[122] სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი EMC) 2020 წლის 29 ივნისი. https://socialjustice.org.ge/ka/products/emc-sotsialuri-agentebis-gafitsvas-ekhmaureba

[123] "ბორჯომის" ქარხნების თანამშრომლები გაიფიცნენ. 2022 წლის 31 მაისი. რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/31876670.html

პირობებით თანამშრომლებთან კონტრაქტის დადება. ამ პროცესს წინ უძღოდა წლის 29 აპრილს კომპანია „IDS ბორჯომი – საქართველოს“ განცხადება, რომ მინერალური წყალი „ბორჯომის“ ჩამომსხმელი ორივე ქარხნის წარმოებას „დროებით“ აჩერებდა უკრაინაში „საომარი მოქმედებების გამო.[124]

გაფიცვის დროისთვის არსებული საჯარო ინფორმაციით, „IDS ბორჯომი – საქართველოში“ დაახლოებით 1500 ადამიანი მუშაობდა, რომელთა უმეტესობა ბორჯომიდან ან მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან იყვნენ. ქალაქისა და რეგიონის მაცხოვრებლების დიდი რაოდენობის ერთ კომპანიაში დასაქმება, ხოლო მისი მოულოდნელი და გაურკვეველი ვადით დახურვა სოციალური და ეკონომიკური კრიზისის რისკებს უქმნიდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს.

„IDS ბორჯომი – საქართველოს“ მენეჯმენტმა 49 თანამშრომელი გაათავისუფლა, რასაც ხელშეკრულების ცვლილებაზე დასაქმებულთა უარით ხსნიდა. თავის მხრივ, ხელშეკრულების ცვლილების მოტივი ინვესტორის საერთაშორისო სანქცირება[125] გახდა. შესაბამისად, კომპანიის განცხადებით, მათ აღარ ჰქონდათ დასაქმებულთა მოცდენილი საათების სრულად ანაზღაურების შესაძლებლობა, რის გამოც კომპანია დასაქმებულებს მხოლოდ მოცდენილი საათების 50%-ის ანაზღაურებას სთავაზობდა, და ასევე, უცვლელი რჩებოდა ნამუშევარი საათების ანაზღაურების წესი. ახალი წესები ყველა თანამშრომლისთვის მისაღები არ აღმოჩნდა, რის გამოც, კომპანიის განმარტებით, მათ თანამშრომლების ნაწილის სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღება მოუწიათ[126]. კომპანიის თანახმად, „პროდუქციის რეალიზაციის ძირითად ბაზრებზე შექმნილ რთულ ვითარებას დაემატა საბანკო ანგარიშებზე შეზღუდული წვდომა, რამაც კომპანიას ჩაუკეტა სავალუტო შემოსავლების მიღებისა და კრედიტორებთან ანგარიშსწორების შესაძლებლობა“. მოგვიანებით, 19 მაისს, კომპანია IDS BORJOMI International-მა მისი მაკონტროლებელი კომპანიის მიერ საქართველოს მთავრობისთვის აქციების უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე ოფიციალური შეთავაზების წარდგენა დააანონსა.[127]

გაფიცულებსა და კომპანიას შორის მოლაპარაკებებში აგრარული მეურნეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის პროფკავშირი, ლაბორი ჩაერთო, რომლის განცხადებით, გაფიცულებმა ექვსი მოთხოვნა წარმოადგინეს:

---

[124] პერტაია ლუკა, რა ელის სანქციების ფონზე „ბორჯომს“ და რა არის გამოსავალი. 2022 წლის 2 მაისი. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/business/608308/

[125] „ბორჯომის“ ძირითადი მფლობელი სანქცირებული რუსი ოლიგარქის, მიხაილ ფრიდმანის „ალფა ჯგუფია“, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომის დროს რუსეთის მიმართ ჩამოყალიბებულ საერთაშორისო სანქციებში მოყვა.

[126] პერტაია ლუკა, „ბორჯომის“ 49 თანამშრომელი გაათავისუფლეს. 2022 წლის 5 მაისი. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/news/608915/

[127]პერტაია ლუკა, ბორჯომის ქარხნის თანამშრომლები გაიფიცნენ – პროფკავშირი. 2022 წლის 31 მაისი. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/news/613225/

1. უკანონოდ გათავისუფლებული 50 ადამიანის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენა;
2. ხელფასების დარიცხვა;
3. ძველ შრომით პირობებზე დაბრუნება;
4. უვადო ხელშეკრულებები ყველა დასაქმებულისთვის და ხელფასების 25%-ით ზრდა;
5. შანტაჟის, მუქარისა და იძულების ფაქტების აღმოფხვრა, მასში მონაწილე ადმინისტრაციის ცალკეული პირების სამსახურიდან გათავისუფლებასა და პასუხისგებაში მიცემა;
6. კოლექტიური შეთანხმების გაფორმება.

5 მაისს, აგრარული მეურნეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის პროფკავშირმა ლაბორმა ჯანდაცვის სამინისტროში შეიტანა განცხადება მედიაციის დაწყების მოთხოვნის მიზნით. თუ სამინისტროს მიერ გამოყოფილი მედიატორის მიერ მოლაპარაკებების წარმოებიდან 21 დღის ვადაში თუ ვერ მოხდებოდა შეთანხმება, დასაქმებულები კანონიერად უნდა გაფიცულიყვნენ.

მინერალური წყლების კომპანია „ბორჯომის“ ქარხნის თანამშრომლებმა დაწყებული გაფიცვა 21 ივნისს შეწყვიტეს, მას შემდეგ, რაც კომპანიის ხელმძღვანელობასთან მთავრობის შუამავლობით წარმართული ხელახალი მედიაციის პროცესი შეთანხმებით დასრულდა.

გაფიცვის შეწყვეტის შესახებ ცნობას წინ უსწრებდა „IDS Borjomi International-ის“ მიერ საქართველოს მთავრობისთვის აქციების ნაწილის უსასყიდლოდ გადაცემა. საჯარო ინფორმაციის თანახმად, გარიგების შედეგად, რუსმა ოლიგარქმა მიხაილ ფრიდმანმა, რომელიც საერთაშორისო სანქციების სამიზნე აღმოჩნდა, კომპანიაში წილების საკონტროლო პაკეტი დაკარგა. „IDS Borjomi საქართველოს“ დირექტორმა, მერაბ ახმეტელმა განაცხადა, რომ ბოლო დროს, აქციონერთა სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, „კომპანიას უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცა, რომ გაეზიარებინა დასაქმებულების პოზიცია.“[128]

სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებულმა, ბესიკ ამირანაშვილმა, რომელიც მედიაციის პროცესში იყო ჩართული, აღნიშნა, რომ „აბსოლუტურად ყველა საკითხზე შეჯერდა, როგორც ქარხნის ადმინისტრაცია, ასევე თანამშრომლები“. პროფესიული კავშირის „ლაბორის“ წარმომადგენელმა, გიორგი დიასამიძემ, რომელიც მედიაციის პროცესში „ბორჯომის“ 400-მდე გაფიცული თანამშრომლის ინტერესებს წარმოადგენდა, განაცხადა, რომ დამსაქმებლებმა „დათმეს ბევრი“ და დათმობები იყო დასაქმებულების მხრიდანაც. ინტერნეტგამოცემა „ნეტგაზეთი“ დიასამიძის სიტყვებზე დაყრდნობით წერს,

[128] „ბორჯომის“ თანამშრომლებმა გაფიცვა დაასრულეს. 2022 წლის 22 ივნისი. სამოქალაქო საქართველო. https://civil.ge/ka/archives/497450

რომ „ბორჯომიდან“ გათავისუფლებულ 49-ვე თანამშრომელს დაბრუნება შესთავაზეს, თუმცა მათ, „ვისაც აღარ სურდა მუშაობა, მიიღეს 6-თვიანი კომპენსაციები.“[129]

„ბორჯომის“ ჩამომსხმელი ქარხნების დასაქმებულების გაფიცვამ აჩვენა შრომით პირობებთან დაკავშირებული დავების სირთულე და მოლაპარაკებებში სახელმწიფოს, პროფკავშირებისა და კომპანიის მონაწილეობის აუცილებლობა, რადგან დასაქმებულებს არ გააჩნდათ საკმარისი ბერკეტი შრომითი კანონმდებლობის რეალური აღსრულებისათვის. ასეთი შედეგი კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ დასაქმებულები უთანასწორო პირობებში იმყოფებიან დამსაქმებლებთან. ხოლო, სახელმწიფოს მონაწილეობისა და შრომით კანონმდებლობაში არსებული მონიტორინგის მექანიზმების რეალური აღსრულების გარეშე დასაქმებულები ვერ ახერხებენ საკუთარი უფლებების სათანადო რეალიზებას.

4.4. სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლების გაფიცვა

სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლები 2022 წელს ორჯერ, გაზაფხულსა და შემოდგომაზე გაიფიცნენ. ვინაიდან, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ექიმების სრული გაფიცვა სავალალო შედეგების მომტანი შეიძლება იყოს, სასწრაფოში დასაქმებული დაახლოებით 1500 ექიმიდან, საპროტესტო გაფიცვას ის თანამშრომლები ესწრებოდნენ, ვისაც იმ კონკრეტულ დღეს მორიგეობა არ უწევდა. შესაბამისად, სასწრაფო დახმარების ექიმების პროტესტის მიუხედავად, მათი მუშაობა არ შეფერხებულა.

2022 წლის 27 მაისს სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლებმა საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრთან გამაფრთხილებელი აქცია გამართეს. ექიმები ხელფასების მატებასა და ღირსეულ სამუშაო პირობებს ითხოვდნენ. პროფკავშირების ინფორმაციით, წევრმა ორგანიზაციამ პროფკავშირების გაერთიანებას იურიდიული და სხვა არსებული რესურსით დახმარების თხოვნით მიმართა.[130] მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის პრეზიდენტის, ირაკლი ამირანაშვილის თქმით, სასწრაფო დახმარების თანამშრომლებს კომუნიკაცია ადმინისტრაციასთან ჰქონდათ, თუმცა, შედეგს ვერ მიაღწიეს.

პროტესტის მონაწილეების მთავარი მოთხოვნა არსებული ხელფასების მომატება იყო. გაფიცულების ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებების შემდეგ ხელმძღვანელობამ საკითხის განსახილველად ერთკვირიანი ვადა ითხოვეს.

სასწრაფოს თანამშრომლებს პანდემიის დროს საგანგებო რეჟიმში მუშაობის გამო ხელფასზე 50%-იანი დანამატი ჰქონდათ, თუმცა პანდემიის დასრულებულად

---

[129] იქვე.

[130] საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება. პროფკავშირებმა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლებმა აქცია გამართეს 2022 წლის 27 მაისი. https://gtuc.ge/saswrafo-samedicino-daxmareba-aqcia/

გამოცხადების შემდეგ ეს დანამატი აღარ ერიცხებოდათ.[131] თანამშრომლები ბოლო დანამატის ჩარიცხვასა და ხელფასების მომატების მოთხოვნით შეიკრიბნენ. შედეგად, მათ მხოლოდ სამუშაო საათების შემცირებასთან დაკავშირებული ცვლილების შესახებ ინფორმაცია მიიღეს.

2022 წლისთვის სასწრაფო დახმარების მუშაკის სამუშაო საათებიდან გამომდინარე მაქსიმალური ხელფასი 1 300 ლარი იყო, თბილისის სასწრაფო დახმარების სამსახურში კი, დაახლოებით, 1500 ადამიანი იყო დასაქმებული. იქიდან გამომდინარე, რომ სასწრაფოს თანამშრომლებს გაფიცვის უფლება არ აქვთ, მათი სრული შემადგენლობა ვერ დაესწრებოდა საპროტესტო შეკრებას და მხოლოდ ის 300-მდე დასაქმებული შეუერთდებოდა პროტესტს, ვისაც მორიგეობა არ უწევდა.[132]

1-ლ ივნისს მედიცინის პროფკავშირმა სოციალურ ქსელში განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლებს აპრილის თვის სახელფასო დანამატი 100%-ით ჩაერიცხათ და 12 საათიანი საპილოტე მოდელის დანერგვა გაუქმებულად გამოცხადდა. აქციის მონაწილეების მოთხოვნებიდან ხელფასების 100%-იანი მატება იყო დარჩენილი.[133]

7 ივნისს, სასწრაფო დახმარების თანამშრომლებმა აქციის გამართვამდე ჯანდაცვის სამინისტროსგან შეხვედრაზე თანხმობა მიიღეს. ჯანდაცვის სამინისტროსა და სასწრაფო დახმარების თანამშრომლებს შორის გამართულ შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ ზეგანაკვეთურ სამუშაოსა და დასვენების დღეებში მორიგეობის შემთხვევაში ექიმები მიიღებენ დანამატს და მათი სამუშაო გრაფიკი კვლავ 24-საათიანი იქნებოდა. თუმცა, შეთანხმება არ შეხებია ხელფასების 100%-იან ზრდის მოთხოვნას.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენლის, ირაკლი პეტრიაშვილის თქმით, ხელფასების 100%-იანი მატების მოთხოვნა სამინისტრომ უარყო და მათ თანამშრომლების 12-საათიან გრაფიკზე გადასვლა მოითხოვეს, რასაც პროფკავშირების მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა. ხელფასების მატებასთან დაკავშირებით კი პროფკავშირებს სასწრაფო დახმარების თანამშრომლებთან ერთად უნდა შეედგინათ სქემა, რომელსაც მოგვიანებით ჯანდაცვის სამინისტროში განიხილავდნენ.[134]

---

[131] გადაწყვეტილება ჯანდაცვის სამინისტრომ იმით ახსნა, რომ ეპიდვითარების გაუმჯობესების შემდეგ გამოძახებების რაოდენობა შემცირდა. მაგრამ ექიმები საპირისპიროს ამტკიცებდნენ.

[132] ვიქტორია მღებრიშვილი, სასწრაფო დახმარების თანამშრომლები ხელფასების გაზრდის მოთხოვნით, აქციას გამართავენ. 2022 წლის 27 მაისი. Bm.ge. https://bm.ge/news/saswrafo-daxmarebis-tanamshromlebi-xelfasebis-gazrdis-motxovnit-aqcias-gamartaven-/109695

[133] მედიცინის პროფკავშირის განცხადება. 2022 წლის 1-ლი ივნისი. https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=736897807748483&id=100042848102560

[134] ღუდუშაური ანანო, ჯანდაცვის სამინისტრო და სასწრაფო დახმარების ექიმები რიგ საკითხებზე შეთანხმდნენ, თუმცა მათ შორის ხელფასების 100%-ით გაზრდა არ არის. 2022 წლის 7 ივნისი. ევრონიუსი საქართველო. https://euronewsgeorgia.com/2022/06/07/jandatsvis-saministro-da-sastrafo-dakhmarebis-ekiebi-rig-sakitkhebze-shetakhmdnen/

4 ნოემბერს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ადმინისტრაციის შენობის მიმდებარედ სასწრაფოს ექიმებმა, ექთნებმა და მძღოლებმა მორიგი საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი შრომის ღირსეულ ანაზღაურებასა და პირობებს მოითხოვენ.
პროტესტის მონაწილეების თქმით, სამინისტროსგან დაპირება ჰქონდათ, რომ მათი ხელფასი მომავალი, 2023 წლიდან 10%-ით გაიზრდებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თუ არსებული ანაზღაურების წესის მიხედვით 8 საათიან სამუშაო დღეში ანაზღაურება 50 ლარს შეადგენდა, 10%-იანი მატების შემდეგ, ანაზღაურება დაახლოებით დღეში 55 ლარი იქნებოდა. ანაზღაურების უმნიშვნელო ზრდა დასაქმებულებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის გაფიცული თანამშრომლების მედიაციის პროცესმა უშედეგოდ ჩაიარა, მოთხოვნები კი უცვლელი დარჩა. მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში დასაქმებულები უფრო რადიკალური ზომების მიღებას აპირებდნენ.[135]

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის თანამშრომლების გაფიცვის ერთ-ერთი მოთხოვნა განსაკუთრებით საინტერესო და პარადოქსული იყო. გაფიცულები ითხოვდნენ, რომ 8 საათის ნაცვლად, მათ შეუნარჩუნდებოდათ 24 საათიანი მორიგეობის შესაძლებლობა. ამ მოთხოვნის მოტივს ანაზღაურების მიღება წარმოადგენდა, რადგან 8 საათიანი მორიგეობის შემთხვევაში, დასაქმებულები უფრო ნაკლებ ანაზღაურებას აიღებდნენ, ვიდრე 24 საათიანი მორიგეობის შემთხვევაში. ასეთი მიდგომა ასახავს დასაქმებულთა სასოწარკვეთას – მიეღოთ ღირსეული შემოსავალი, თუნდაც საკუთარი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხარჯზე. ეს შემთხვევა აჩვენებს, რომ სახელმწიფოს მიერ სასწრაფოს ექიმების შრომითი პირობებისა და ანაზღაურების პრობლემის უგულებელყოფა სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოების კეთილდღეობას, რადგან სასწრაფო დახმარების ექიმების ჯანმრთელობის მდგომარეობა და შრომითი პირობები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გადაუდებელი დახმარების შემთხვევაში მოქალაქეებისთვის ადეკვატური დახმარების გაწევისთვის.

4.5. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სორტული საამქროს თანამშრომლების ნაწილის გაფიცვა

2022 წლის 3 ივლისს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სორტული საამქროს 100-ზე მეტი თანამშრომელი გაიფიცა. გაფიცულები 30 პროცენტით ხელფასის მომატებას და მე-13 ხელფასს ითხოვდნენ. ისინი ქარხნის ადმინისტრაციულ შენობასთან შეიკრიბნენ და საამქროს ამუშავებას მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე არ აპირებდნენ. აქციის მონაწილეებს სოლიდარობა გამოუცხადეს პროფკავშირებმა. ადმინისტრაციის მიერ

[135] „ვითხოვთ ღირსეულ ხელფასს“ - სასწრაფოს თანამშრომლები მორიგ აქციას მართავენ. 2022 წლის 4 ნოემბერი. პუბლიკა. https://publika.ge/vitkhovt-ghirseul-khelfass-saswrafos-tanamshromlebi-morig-aqcias-martaven/

გავრცელებულ განცხადებაში კი ნათქვამი იყო, რომ გაფიცულებთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება და საწარმო მზად იყო დასაქმებულთა ხელფასი ეტაპობრივად გაეზარდა.[136]

გაფიცვის მეხუთე დღეს, აქციის მონაწილეები საწარმოს ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებულ პირობებს დათანხმდნენ. მოლაპარაკებების შედეგად, რომელშიც საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება აქტიურად იყო ჩართული, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გაფიცვაში მონაწილე დასაქმებულებზე არ განხორციელდებოდა დევნა, ზეწოლა; გაცდენილი დღეები ანაზღაურდებოდა დამსაქმებლის მიერ; ხელფასების მატება მოხდებოდა შემდეგი გრაფიკით: ხელფასი 100 ლარით გაეზრდებოდათ 1-ლი ივლისიდან; 100 ლარით 2023 წლის 1-ლი იანვრიდან; 50 ლარით 2023 წლის 1-ლი მარტიდან; აღდგებოდა საპრემიო სისტემა და მისი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად პროცესში ჩაერთვებოდა პროფკავშირი (გაფიცვის მონაწილეთა წარმომადგენლობა); მოწესრიგდებოდა თანრიგების სისტემა; პროფკავშირთან (გაფიცვის მონაწილეთა წარმომადგენლობა) გაფორმდებოდა კოლექტიური ხელშეკრულება.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ინფორმაციით, არსებულ საკითხებთან დაკავშირებით წერილობითი შეთანხმება 11 ივლისს შედგებოდა. სორტულ საამქროში დასაქმებულების ინტერესებს მოლაპარაკებების პროცესში პროფკავშირების გაერთიანება და მეტალურგთა, მეშახტე-მაღაროელთა და ქიმიკოსთა პროფკავშირები იცავდნენ.[137]

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სორტული საამქროს თანამშრომლების გაფიცვა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შრომით ურთიერთობებში გაფიცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია დამსაქმებელზე გავლენის მოსახდენად, თუმცა, დასაქმებულების ინტერესების დასაცავად პროფესიული კავშირების (ან სხვა ორგანიზაციების) როლი, ხშირად გადამწყვეტია, მოლაპარაკებების პროცესის საწარმოებლად და კონკრეტული შეთანხმებების მისაღწევად. თუმცა, რეალურად შესრულდება თუ არა შეთანხმებისას დადებული პირობები, ამ პროცესის მონიტორინგი თითქმის არ არსებობს.

5. 2023 წლის გაფიცვები

2023 წელს საქართველოში დასაქმებულთა ათი გაფიცვა ფიქსირდება. მათი უმეტესობა წარმოადგენს სერვისის, მომსახურებისა და მრეწველობის სფეროში დასაქმებულთა პროტესტს.

---

[136] მეტალურგიული ქარხნის თანამშრომლების მოთხოვნა . 2022 წლის 5 ივლისი. საზოგადოებრივი მაუწყებელი. https://1tv.ge/video/metalurgiuli-qarkhnis-tanamshromlebis-motkhovna/

[137] რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშებმა გაფიცვა შეწყვიტეს. 2022 წლის 8 ივლისი. Interpressnews.ge. https://www.interpressnews.ge/ka/article/718680-rustavis-metalurgiuli-karxnis-mushebma-gapicva-shecqvites/

სერვისისა და მომსახურების სფეროში გაფიცვების დიდი წილი მოდის ე.წ. გიგ ეკონომიკაზე,[138] რომელიც გულისხმობს ინტერნეტისა და ტექნოლოგიების მოხმარების ზრდასთან ერთად ციფრული პლატფორმების (აპლიკაციების) მეშვეობით სერვისის მიწოდებას[139] (პლატფორმული შრომა). ამ ტიპის საქმიანობას ძირითადად ინტერნეტპლატფორმებზე ეწევიან კურიერები, ტაქსის მძღოლები და მოკლევადიანი, ერთჯერადი ან დროებითი სერვისის მიმწოდებლები. ამასთან, სერვისისა და მომსახურების სფეროს დასაქმება, საქართველოში, უმეტესად ურბანულ სივრცეში, დიდ ქალაქებში იყრის თავს. მრეწველობის სფეროში კი საქართველოს პატარა, ინდუსტრიულ ქალაქებსა და რეგიონებში მაცხოვრებლები მუშაობენ და დასაქმების ტიპით ის ტრადიციულ შრომას განეკუთვნება.

პლატფორმულ შრომაში ჩართულები, უმეტესად, მომსახურების ხელშეკრულებით სარგებლობენ, ხოლო მრეწველობის დარგში დასაქმებულები შრომითი ხელშეკრულებით. განსხვავებით მრეწველობის სფეროში დასაქმებულთაგან, პლატფორმული სამუშაო არ გულისხმობს შრომის უფლებების სრული ბენეფიტებით (შვებულება, დეკრეტი, ზეგანაკვეთური ანაზღაურება, ბიულეტენი და სხვა.) სარგებლობას. თუმცა, გაფიცვების ტენდენცია აჩვენებს, რომ შრომის ამ ორ განსხვავებულ ურთიერთობაში მონაწილეებს მსგავსი და ხშირად, იდენტური პრობლემები აქვთ.

5.1. 2023 წლის ეკონომიკური ტენდენციების მიმოხილვა

შრომისა თუ მომსახურების განსხვავებული სამართლებრივი ხელშეკრულებებით მოსარგებლეთა პრობლემების დიდი ნაწილი ეკონომიკური და სოციალური ხასიათისაა, რაც თავის მხრივ, ქვეყნის ზოგად ეკონომიკურ და სოციალურ ტენდენციებს ეხმიანება და გამოძახილს არსებულ შრომის პოლიტიკაში პოვებს.

2023 წლის მეორე კვარტლის ოფიციალური მონაცემებით საქართველოში უმუშევრობა 16.7%-ს შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ შრომისუნარიან მოსახლეობაში, თითქმის ყოველი მეექვსე უმუშევარია. ამასთან, უმუშევრობის დონე მაღალია ახალგაზრდებში,[140] რაც

---

[138] გიგ ეკონომიკა ეხება მუშაობის წესს, რომლის დროსაც ორგანიზაციის დროებითი პოზიციები ივსება დამოუკიდებელ მუშაკებთან კონტრაქტის გაფორმებით. გვ.1. Janadari, N., & Preena, G. R. (2020). Chapter 01. In N. Janadari & G. R. Preena (Eds.), Contemporary developments in human resource management (pp. 01-14). Department of Human Resource Management, University of Kelaniya.

[139] ბეგაძე მარიამ, პლატფორმის (გიგ) ეკონომიკის რეგულირება საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა. 2021. https://shroma.ge/wp-content/uploads/2021/06/Gig-report-FINAL.pdf

[140] შუბლაძე, სიჭინავა, ხოშტარია. ახალგაზრდობის კვლევა. დამოუკიდებელი საქართველოს თაობა: იმედებსა და გაურკვევლობას შორის. ახალგაზრდები სირთულეებს უმთავრესად ეკონომიკურ პრობლემებში ხედავენ. გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი (42%) ყველაზე მთავარ პრობლემად უმუშევრობას მიიჩნევს, 30% - მზარდ ფასებს, 9% - განათლებას და 7% - შიდა პოლიტიკურ დაძაბულობას. 2023, გვ.32. https://southcaucasus.fes.de/fileadmin/Publications/2023/FES-Georgia-Web-GEO-2023-07-20__1_.pdf?fbclid=IwAR2uWz9K1V-WBVbLNQ95Ngdma1HybdG0mwblHOBhS6XDiFg186T_PsgxSWo

არაფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებას წაახალისებს.[141] ეს მაჩვენებელი წინა წლის მონაცემთან შედარებით 1.3%-ით შემცირებულია,[142] თუმცა ამ მონაცემის ცვლილება შესაძლოა, მზარდ ემიგრაციას უკავშირდებოდეს. საზოგადოებრივი აზრის კვლევებში, ბოლო წლებში, ახალგაზრდებში გაზრდილი ემიგრაციის მიზეზებად უმუშევრობა და სამომავლო პერსპექტივის არარსებობა სახელდება[143], ხოლო ემიგრაციის მზარდი ნაკადი, თავის მხრივ, შესაძლოა, ამცირებდეს კიდეც უმუშევრების მაჩვენებელს. ამდენად, უმუშევრობის ოფიციალური სტატისტიკის ცვლილების მიზეზი შეიძლება არა დასაქმებისა და შრომითი პირობების გაუმჯობესების კონკრეტული პოლიტიკა, არამედ, შრომითი მიგრაცია იყოს.

საქართველოს ეკონომიკის კიდევ ერთი გამოწვევა, უმუშევრობის გარდა, არის ინფლაცია. 2023 თებერვლის მონაცემებით წლიურმა ინფლაციამ საქართველოში 8.1% შეადგინა, ფასები განსაკუთრებით სურსათზე გაიზარდა.[144] საშუალო ხელფასი კი ოფიციალური მონაცემების თანახმად 1804.5 ლარს შეადგენს,[145] თუმცა, ოფიციალური ყოველთვიური ხელფასის მაჩვენებელი ვერ ეწევა სწრაფად მზარდ საყოფაცხოვრებო ხარჯებს. ფასების ზრდას თან ერთვის 2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ საქართველოში რუსი მიგრანტების ნაკადის მატება და კერძო საკუთრების შესყიდვასა თუ ქირაზე ფასების ზრდა.

ამასთან, 2023 წელი პოსტპანდემიური პერიოდია, როდესაც საზოგადოებრივი შეზღუდვები დასაქმებულებს ყოველგვარი სოციალური დაცვის მექანიზმების გარეშე შეეხოთ, განსაკუთრებით კი არაფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებულები დაზარალდნენ.[146] სამსახურის დაკარგვასთან და შემოსავლის შემცირებასთან ერთად, გაუარესდა შრომის პირობები და შესუსტდა შრომითი უფლებების დაცვის მექანიზმების ეფექტიანობა.

---

[141] არაფორმალური და არასტანდარტული შრომა საქართველოში გამოწვევები და სარეფორმო ხედვა. სოციალური სამართლიანობის ცენტრი 2021. გვ.10. https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/Shroma_170x240_GEO_WEB_1642771763.pdf

[142] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში, 2023 წლის მეორე კვარტლის მონაცემები. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

[143] შუბლაძე, სიჭინავა, ხოშტარია. ახალგაზრდობის კვლევა. დამოუკიდებელი საქართველოს თაობა: იმედებსა და გაურკვევლობას შორის. 2023. გვ.103. https://southcaucasus.fes.de/fileadmin/Publications/2023/FES-Georgia-Web-GEO-2023-07-20__1_.pdf?fbclid=IwAR2uWz9K1V-WBVbLNQ95Ngdma1HybdG0mwblHOBhS6XDiFg186T_PsgxSWo

[144] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 02.03.2023 ინფლაცია საქართველოში, 2023 წლის თებერვალი. https://www.geostat.ge/media/51771/ინფლაცია-საქართველოში%2C-2023-წლის-თებერვალი.pdf

[145] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი. 2023 წლის მეორე კვარტლის მონაცემები. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi

[146] ლანჩავა, ქებურია, ცინცაძე. შრომითი ურთიერთობები და სოციალური დაცვა პანდემიის დროს. საქართველოს შესახებ ანგარიში ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) 2020. გვ.51. https://osgf.ge/wp-json/wi/validate/v1/file?wifile=wp-content/uploads/2020/12/Labor-Relations_geo_10_12_2020.pdf

არსებული ეკონომიკური კონტექსტი გავლენას ახდენს საქართველოში დასაქმებულების შემოსავლების მსყიდველუნარიანობის შემცირებაზე, რასაც არ მოჰყვება შესაბამისი ცვლილებები, როგორიც არის დასაქმებულთა ანაზღაურების ზრდა და სოციალური დაცვის მექანიზმების გაუმჯობესება, მინიმალური ხელფასის პოლიტიკა და სხვ. შესაბამისად, მოულოდნელი არ არის, რომ 2023 წელს დასაქმებულთა გაფიცვების მოთხოვნების უმეტესობა შრომის ანაზღაურების ზრდას, შრომის პირობების გაუმჯობესებას, გარემოსა და დასაქმებულთა უფლებების დაცვას შეეხება.

5.2. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ექიმებისა და მძღოლების გაფიცვა

2023 წლის 11 იანვარს, თბილისში, გადაუდებელი დახმარების ცენტრის შენობასთან სასწრაფო დახმარების ექიმებისა და მძღოლების მორიგი აქცია გაიმართა. ისინი მედიცინისა და ტრანსპორტის პროფკავშირის მხარდაჭერით, ხელფასის მომატებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას წინა წლიდან, 2022 წლის მაისიდან ითხოვდნენ. თუმცა, მათი მოთხოვნები ჯანდაცვის სამინისტროსთან არაერთი შეხვედრის მიუხედავად, არ დაკმაყოფილებულა. გაფიცულების ნაწილი მიიჩნევდა, რომ 2023 წელს, მათი მე-13 ხელფასის 100%-დან 70%-მდე შემცირება წინა წელს გამართულმა პროტესტმა გამოიწვია, რასაც პროტესტის მონაწილეები დასჯად აფასებდნენ.[147] მათივე ინფორმაციით, პირველი იანვრის შემდეგ გაუქმდა პერსონალისა და სასწრაფოს მანქანების დაზღვევაც.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომელთა ხელფასი მათი 24-საათიანი მორიგეობის რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება. ძველი წესის თანახმად, მათ თვეში მხოლოდ 7-ჯერ ან 8-ჯერ შეეძლოთ მორიგეობა. თითო მორიგეობაში უფროსი ექიმისთვის 175 ლარი იყო გამოყოფილი. უმცროსი ექიმისთვის უფრო ნაკლები. მიღებული ხელფასიდან მათ თავად უწევდათ ჯანმრთელობის დაზღვევის საფასურის გადასახადის გადახდა.[148]

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც სასწრაფო დახმარების ექიმები და მძღოლები 11 იანვარს, საგანგებო სიტუაციების სამსახურის ოფისთან შეიკრიბნენ, ის არის, რომ მათი თქმით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანები სათანადო დეზინფექციას აღარ გადიოდნენ და ამის გაკეთება მათ თავად უწევდათ.

11 იანვარს გამართულ საპროტესტო აქციას მალევე გამოეხმაურა საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი. მათი განცხადების თანახმად,[149]

---

[147] „სამარცხვინოდ გვსჯიან და გვაკნინებენ“ - სასწრაფო დახმარების ექიმები ისევ ქუჩაში გამოდიან. 2023 წლის 11 იანვარი. რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/32218931.html

[148] 2021 წელს სასწრაფოს თანამშრომლების სამედიცინო დაზღვევას სახელმწიფო 19 ლარით აფინანსებდა.

[149] საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის განცხადება, 2023 წლის 11 იანვარი.

გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომელთა სამუშაო პირობები გაუარესდა, არ შეესაბამებოდა სიმართლეს. ცენტრის განცხადების მიხედვით, 2022 წელს დაწესდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალისთვის უქმე დღეებში ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება და ის 125 %-იანი ტარიფით განისაზღვრა. ასევე, შეიცვალა და გაიზარდა ზეგანაკვეთური სამუშაო დროის ანაზღაურება და ის სახელფასო საათობრივი ანაზღაურების 12 %-ით განისაზღვრა; ცენტრის ადმინისტრაციის განცხადებითვე, 2022 წელს თანამშრომლებს სამჯერ დაერიცხათ სახელფასო დანამატი. ხელფასების ზრდასთან დაკავშირებით კი, მათი განცხადებით, 2023 წლის დასაწყისიდან, ისევე როგორც სხვა საჯარო მოხელეთა, ასევე ცენტრის თანამშრომელთა ხელფასები 10 %-ით გაიზარდა. თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ კი ცენტრის განცხადებაში ნათქვამია, რომ 2023 წლიდან არათუ გაუქმდება მათი ჯანმრთელობის დაზღვევა, არამედ პირიქით, ისინი ისარგებლებენ ჯანმრთელობის დაზღვევის გაუმჯობესებული პაკეტით. მათივე განმარტებით, 2023 წლის პირველი იანვრიდან, დაზღვეულია ცენტრის ავტოპარკში არსებული ყველა ავტომობილი, ხოლო ავტომობილების დასუფთავების სამუშაო ყოველდღიურ რეჟიმში ინტენსიურად მიმდინარეობს.

17 იანვარს საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ სასწრაფოს ექიმებს თითოეულ მორიგეობაზე ათპროცენტიანი ზრდით 250 ლარი აქვთ დღეში. მისივე განცხადებით, დასაქმებულებმა გასული წლის განმავლობაში სამჯერ მიიღეს ეგრეთ წოდებული პრემია. მინისტრის განცხადებით, „სულ მცირე, საშუალოდ ორჯერ არის გაუმჯობესებული პირობები.“[150]

ღირსეული შრომის პლატფორმის წევრი ორგანიზაციები სოლიდარობას უცხადებდნენ სასწრაფოს ექიმების პროტესტს და ქვეყანაში არსებულ ინფლაციის მაღალი მაჩვენებელსა და გაძვირებულ საცხოვრებელი პირობებზე მიუთითებდნენ. პლატფორმის თანახმად, სასწრაფოს ექიმებისა და მძღოლების ხელფასი, რომელიც მძიმე და სისტემატური მორიგეობების შედეგად, 1300 ლარს აღწევდა, არაადეკვატური იყო დასაქმებულთა პირველადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. 2022 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე სასწრაფოს ექიმების პროტესტს, სადაც ისინი ღირსეულ ანაზღაურებასა და ხელფასის ზრდას ითხოვდნენ, სახელმწიფოს მხრიდან ადექვატური რეაგირება არ მოჰყოლია, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა პროტესტი.[151]

---

https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid04jVa1TYYAS1dhQxqM3gbMNdDEWj2SDJ7NGsigfR8UmoSXAoP3J2KDEYwGjc7KAZel&id=320585341440456

[150] რა ანაზღაურებას იღებენ სასწრაფოს ექიმები - ჯანდაცვის მინისტრის განმარტება. 2023 წლის 16 იანვარი. კომერსანტი. https://old.commersant.ge/ge/post/ra-anazgaurebas-igeben-saswrafos-eqimebi-djandacvis-ministris-ganmarteba

[151] ღირსეული შრომის პლატფორმა სასწრაფოს ექიმების პროტესტს სოლიდარობას უცხადებს. 2023 წლის 20 იანვარი. https://socialjustice.org.ge/ka/products/ghirseuli-shromis-platforma-sastsrafos-ekimebis-protests-solidarobas-utskhadebs

2023 წლის 30 ივნისს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმები მეორედ გაიფიცნენ. პროტესტის მიზეზი თანამშრომლების ნაწილის სამსახურიდან გათავისუფლება იყო,[152] რასაც გაფიცულები საჯარო პროტესტში მონაწილეობას უკავშირებდნენ.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმები და მძღოლები პროფკავშირებთან ერთად საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგებსაც აპროტესტებდნენ. ორ წელიწადში ერთხელ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურში მომუშავე თანამშრომლებს კვალიფიკაციის ასამაღლებლად სავალდებულო ტრენინგი და ტესტირება უწევთ, ხოლო ჩაბარების შემთხვევაში იღებენ სერთიფიკატს, რომელიც მოქმედებს ორი წლის განმავლობაში. 2023 წლის ოქტომბრის ბოლოს გადაუდებელი დახმარების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწავლო ცენტრმა შეცვალა გამოცდების სისტემა და ექიმების უმეტესობის გამოცდების ჩაბარება გაუჭირდა. ექიმებს გამოცდის ჩაბარების სამი შანსი აქვთ, თუმცა მეორე და მესამე მცდელობისთვის მათ თავად უნდა გადაიხადონ ტრენინგის გადასახადი. სასწრაფოს ექიმები მიიჩნევდნენ, რომ გამოცდებზე ჩაჭრა მიზანმიმართულად ხდებოდა და ამ ფაქტს ხელფასების მატების მოთხოვნით გამართულ აქციებს უკავშირებდნენ.[153]

სასწრაფო დახმარების ექიმების პერიოდული გაფიცვა ჯანდაცვის სისტემაში არსებულ მძიმე სამუშაო პირობებზე მიუთითებს. თუმცა, მათი გაფიცვა განსაკუთრებული შემთხვევაა, რადგან ჯანდაცვის სამინისტრო, რომელსაც გაფიცული თანამშრომლების მოთხოვნები უნდა დაეცვა, ერთდროულად იყო დამსაქმებელიც და მათი შრომითი უფლებების დამცველი სახელმწიფო უწყება. ეს ნიშნავს, რომ ჯანდაცვის სამინისტროს ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი, რომლის ასარიდებლად შრომითი კანონმდებლობის აღსრულების არსებული მექანიზმების საგანგებო მონიტორინგის საჭიროება გამოვლინდა.

5.3. Wolt-ის კურიერების გაფიცვა

2023 წლის თებერვალში, თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილმა კომპანია Wolt-ის კურიერებმა აპლიკაცია გათიშეს და გაფიცვა გამოაცხადეს. ისინი ღირსეული სამუშაო პირობების არქონას აპროტესტებდნენ, მის გაუმჯობესებასა და შრომის ანაზღაურების ზრდას მოითხოვდნენ. კურიერები აცხადებდნენ, რომ კომპანია მათ გამომუშავებულ თანხაზე ნაკლებს უხდიდა[154]. თუმცა, პროტესტმა აჩვენა, რომ კომპანიასა დასაქმებულებს შორის კიდევ რამდენიმე სადავო საკითხი არსებობდა.

---

[152] სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმები პროტესტის რეჟიმზე გადადიან. 2023 წლის 30 ივნისი. ფორმულა. https://formulanews.ge/all_videos/სასწრაფო-სამედიცინო-დახმარების-ექიმები-პროტესტის-რეჟიმზე-გადადიან/93423

[153] სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმების პროტესტი. 2023 წლის 30 ივნისი. საზოგადოებრივი მაუწყებელი. https://1tv.ge/video/saswrafo-samedicino-dakhmarebis-eqimebis-protesti/

[154] ვოლტის კურიერები რესპუბლიკის მოედანზე აქციას ამრთავენ. 2023 წლის 5 თებერვალი. On.ge https://on.ge/story/114983-ვოლტის-კურიერები-რესპუბლიკის-მოედანზე-აქციას-მართავენ

ტექნოლოგიური კომპანია „ვოლტი“ ჰელსინკიში დაარსდა და ის საქართველოში 2018 წლიდან, უკვე ხუთი წელია ფუნქციონირებს. მის საქმიანობას ადგილობრივი მენეჯმენტი ხელმძღვანელობს[155]. კომპანია აპლიკაციის მეშვეობით, დისტანციურად სასურველი კერძების საკურიერო მომსახურებას სთავაზობს მომხმარებლებს. კომპანიაში კურიერად მუშაობის დაწყება ნებისმიერს შეუძლია, ვინც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: ჰყავს მანქანა, ველოსიპედი ან მოპედი/მოტოციკლი; აქვს აქტიური მართვის მოწმობა, სმარტფონი და საიტზე რეგისტრაციის შემდეგ კომპანიისგან აქვს მუშაობის უფლება. ამ ტიპის თანამშრომლობას „ვოლტი“ პარტნიორობას უწოდებს[156] და დასაქმებულ კურიერთან მომსახურების ხელშეკრულებას აფორმებს, რაც კომპანიას ათავისუფლებს მთელი რიგი პასუხისმგებლობებისგან, როგორიც არის დასაქმებულებისთვის სამუშაო პირობების უზრუნველყოფა, ფასიანი შვებულება, დეკრეტი, ბიულეტენი, დაზღვევა, ზეგანაკვეთური ანაზღაურება და სხვა. Wolt-ში დასაქმებულ კურიერებს სამუშაოს გაწევა ნებისმიერ პირობებში უწევთ: ამინდის პირობებისა და საგზაო მოძრაობის გადატვირთულობის მიუხედავად, რაც სამუშაოს შესრულების დროსა და რისკებს ზრდის, თუმცა დამატებითი დრო ან დაბრკოლებების გადალახვა კურიერებს არ უნაზღაურდებათ.[157]

2023 წლის თებერვალში გაფიცული კურიერები კომპანიის წარმომადგენლებთან ერთობლივ შეხვედრას ითხოვდნენ, თუმცა კომპანია ამ შეხვედრას არ დათანხმდა. კურიერების გაფიცვასთან დაკავშირებით კომპანიის ოფიციალურ პასუხში ნათქვამია, რომ ისინი მზად იყვნენ კურიერების მცირე ჯგუფთან შეხვედრაზე, თუნდაც, მათი იურისტების თანდასწრებით, თუმცა უარს ამბობდნენ ერთობლივ შეხვედრაზე, რადგან, მათი თქმით, პარტნიორი კურიერები არ იყვნენ „ვოლტთან“ კოლექტიურ შრომით ხელშეკრულებაში[158], არამედ, მათთან მომსახურების ხელშეკრულების პირობებით თანამშრომლობდნენ. აქედან ჩანს, რომ კომპანია ცდილობდა თავიდან აეცილებინა კურიერების სამუშაო პირობებსა და შრომით უფლებებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა. კომპანიის პასუხი ასევე მიუთითებს იმაზე, რომ კურიერებს შეექმნათ გამოწვევა საკუთარი თავის კოლექტივად ორგანიზებასა და წარმოდგენაში, მათი სამუშაოსა და კონტრაქტის ხასიათიდან გამომდინარე. მაშასადამე, შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა უფრო მეტი სამართლებრივი და სოციალური დაცვა და აღიარება გიგ ეკონომიკის მუშაკებისთვის.

საკუთარი შრომითი უფლებების დასაცავად, კურიერებმა საქართველოს სახალხო დამცველს 13 თებერვალს მიმართეს. სახალხო დამცველის ოფისთან შეკრებილი

---

[155] „ვოლტი“ საქართველოშია. გვანცა იჩქიტიძე, 2018. https://blog.wolt.com/geo/2018/05/09/wolt-in-tbilisi/

[156] კომპანია „ვოლტი“ https://explore.wolt.com/ka/geo/couriers

[157] არაფორმალური და არასტანდარტული შრომა საქართველოში გამოწვევები და სარეფორმო ხედვა სოციალური სამართლიანობის ცენტრი 2021. გვ. 34. https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/Shroma_170x240_GEO_WEB_1642771763.pdf

[158] მეგუთნიშვილი ლიკა, „ვოლტის“ კურიერების პროტესტი გრძელდება - კომპანიის პასუხი. 19 თებერვალი, 2023. Bm.ge https://bm.ge/news/voltis-kurierebis-protesti-grdzeldeba---kompaniis-pasuxi/127335

კურიერების განცხადების მიხედვით, კომპანიამ პროტესტის შემდეგ 3 კურიერთან შეწყვიტა შრომითი ხელშეკრულება.[159] 19 თებერვლის დემონსტრაციაზე, ხელფასის ზრდის, შრომის პირობების გაუმჯობესებისა და კომპანიასთან კოლექტიური შეხვედრის მოთხოვნებს ახალი მოთხოვნა დაემატა. კურიერები აცხადებდნენ კომპანიის ქართული მენეჯმენტის მხრიდან კონკრეტული კურიერების დევნის შესახებ და მათ გადადგომასაც მოითხოვდნენ.

ვოლტის კურიერების ნახევარწლიანი საპროტესტო გამოსვლები თებერვლიდან ივლისამდე გაგრძელდა. კურიერების მოთხოვნები საბოლოოდ, შემდეგნაირად ჩამოყალიბდა. ისინი ითხოვდნენ: კილომეტრაჟზე 20 თეთრის დამატებას და საბაზისო თანხის 3.50 ლარამდე გაზრდას; კომპანიის მენეჯმენტთან კოლექტიურ შეხვედრას და ქართული მენეჯმენტის წარმომადგენლის სამსახურიდან გათავისუფლებას[160], ვინაიდან, კურიერების მტკიცებით აპლიკაციაზე წვდომის შეზღუდვა საპროტესტო აქციებში მონაწილეობამ გამოიწვია,[161] თუმცა კომპანია აცხადებდა, რომ აპლიკაციაზე წვდომის შეზღუდვის მიზეზი სხვა კურირებისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლა იყო.

საბოლოოდ, კომპანიამ კურიერების მოთხოვნებს შრომის ანაზღაურების ტარიფის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მიწოდების პირობით უპასუხა[162] და ასევე, განაცხადა, რომ აწარმოებენ მოლაპარაკებებს სადაზღვევო კომპანიებთან კურიერების დაზღვევის პირობების გაუმჯობესებისთვის.[163]

კურიერების დაზღვევა მათი სამუშაოს რისკებიდან გამომდინარე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შრომითი ბენეფიტია. გამოცდილება აჩვენებს, რომ კურიერების სამუშაოს შესრულების შეფასების სისტემის ერთ-ერთი მახასიათებელი სწრაფი მომსახურებაა, რაც მათ ქალაქის გადატვირთულ გზებზე სწრაფი მოძრაობისკენ უბიძგებთ. შესაბამისად, მაღალია ავტოსაგზაო შემთხვევების რისკი. 2022 წლის 31 მარტს ვოლტის კურიერი ლევან მძევაშვილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ავარიაში მოყვა, მძიმე დაზიანებები მიიღო და თითქმის წელიწადი კომაში იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, სადაზღვევო კომპანია და „ვოლტი“ ბიუროკრატიული სირთულეების მიზეზით კურიერის

---

[159] აფრიამაშვილი სოფო, „ეს მუქარად აღვიქვით“ — „ვოლტის“ კურიერებმა ომბუდსმენს მიმართეს. 13 თებერვალი, 2023. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/life/654716/

[160] მღებრიშვილი ვიქტორია, Wolt-ის კურიერებმა საპროტესტო აქცია გამართეს - ორი მოთხოვნა. 13 თებერვალი, 2023. Bm.ge https://bm.ge/news/wolt-is-kurierebma-saprotesto-aqcia-gamartes---ori-motxovna/127047

[161] ბულია ლიზა, ვოლტმა რამდენიმე გაფიცულ კურიერთან პარტნიორობა შეაჩერა, აპრილი, 2023. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/news/664064/

[162] სახალხო დამცველმა ვოლტის კურიერების მიმართ დისკრიმინაცია დაადგინა. 6 ივლისი, 2023. On.ge https://on.ge/story/120903-სახალხო-დამცველმა-ვოლტის-კურიერების-მიმართ-დისკრიმინაცია-დაადგინა

[163] "ვოლტი" კურიერებს კიდევ ერთხელ სთავაზობს, რომ მოლაპარაკებების მაგიდასთან გადაინაცვლონ, 15 თებერვალი, 2023. Bm.ge https://bm.ge/news/quotvoltiquot-kurierebs-kidev-ertxel-stavazobs-rom-molaparakebebis-magidastan-gadainacvlon/127038

მკურნალობის ხარჯებს არ ანაზღაურებდნენ და ამბობდნენ, რომ მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად ოჯახის მხრიდან დოკუმენტაცია სრულად არ იყო წარმოდგენილი. შემთხვევიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ, სადაზღვევო კომპანიამ ოჯახს კურიერის მკურნალობის თანხის ნაწილი გადასცა გამონაკლისის სახით, დოკუმენტაციის სრულად წარდგენის გარეშე, თუმცა, ოჯახის მტკიცებით, ეს თანხა კომაში მყოფი კურიერის გამოჯანმრთელებისთვის არასაკმარისი იყო.[164]

2022 წლის ეს საგზაო შემთხვევა აჩვენებს, რომ დაზღვევის ქონის შემთხვევაშიც კი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანების ხარჯების დაფარვა სრულად გარანტირებული არ არის, რაც კომპანიისა და სადაზღვევო სისტემის გაუმართაობაზე, მის ფორმალურ ხასიათზე მიუთითებს.

„ვოლტის“ კურიერების გაფიცვას საქართველოს სახალხო დამცველმა 2023 წლის 4 ივლისს უპასუხა[165] და შპს „ვოლტ ჯორჯიას“ რეგიონული მენეჯერის, ნატალია ხიზანიშვილის სახელზე გამოაქვეყნა რეკომენდაცია, სადაც საუბარია შრომით ურთიერთობაში განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ.[166] მიუხედავად სახალხო დამცველის მიერ დადგენილი დისკრიმინაციისა, კომპანიამ უარი თქვა ორი თანამშრომლისთვის (პარტნიორი კურიერის) აპლიკაციის ჩართვაზე და არ დაეთანხმა სახალხო დამცველს, რადგან მიიჩნია, რომ კურიერები კომპანიასთან არა შრომით ურთიერთობაში მყოფი პირები, არამედ ინდივიდუალური მეწარმეები იყვნენ.[167]

ამდენად, „ვოლტის“ კურიერების მიერ გაფიცვებისას წამოჭრილი მოთხოვნების ნაწილის დაკმაყოფილებაზე უარის მიზეზად კომპანია მომსახურების/პარტნიორობის ხელშეკრულებას ასახელებდა, რაც საშუალებას აძლევდა კომპანიას, თავი აერიდებინა იმ პასუხისმგებლობებისგან, რაც მას, როგორც დამსაქმებელს აკისრია.

2023 წელს ვოლტის კურიერების ნახევარწლიანმა გაფიცვამ გამოავლინა არა მხოლოდ დასაქმებულთა მოთხოვნა ხელფასის ზრდის შესახებ, არამედ აჩვენა, რომ გიგ ეკონომიკაში დასაქმებულთა პრობლემები შრომით უფლებებს უკავშირდება და სახელმწიფოს, მედიატორისა და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობის გარეშე მათი მოგვარება კურიერებს უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს.

---

[164] ავარიის გამო კომაში მყოფი "ვოლტის" კურიერის ცოლი მკურნალობის სრულ ანაზღაურებას ითხოვს; 15 მარტი, 2023. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/life/660425/

[165] საქართველოს სახალხო დამცველი, სახალხო დამცველმა „ვოლტის“ კურიერების მიმართ, შრომით ურთიერთობაში, განსხვავებული მოსაზრების ნიშნით დისკრიმინაცია დაადგინა. 6 ივლისი, 2023. https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelma-voltis-kurierebi-mimart-shromit-urtiertobashi-ganskhvavebuli-mosazrebis-nishnit-diskriminatsia-daadgina

[166] საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია შრომით ურთიერთობაში განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ. 2023. https://www.ombudsman.ge/res/docs/2023070614524841873.pdf

[167] სახალხო დამცველის მიმართვის მიუხედავად, „ვოლტი“ კურიერებისთვის აპლიკაციაზე წვდომის აღდგენას არ აპირებს. 8 ივლისი, 2023. რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/32494448.html

5.4. Bolt-ის მძღოლების გაფიცვა

2022 წლის გაზაფხულზე კომპანია „ბოლტმა“, რომელიც მგზავრებს კერძო ავტომობილებით გადაადგილებასა და საკურიერო მომსახურებას სთავაზობს, მგზავრობის საფასური დაახლოებით 10%-ით გაზარდა. თუმცა, მძღოლები ამბობდნენ, რომ კონკურენციის გამო, 2023 წლიდან კომპანიამ ისევ ძველი, იაფი ტარიფი დააბრუნა, მძღოლებისთვის საკომისიო კი გაზარდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მძღოლების მიერ გამომუშავებული კომპანიისთვის გადასახდელი თანხის 20% 23,6%-მდე გაიზარდა.[168]

2023 წლის 5 თებერვალს „ბოლტ“-ის მძღოლებმა მესამე გაფიცვა მოაწყვეს, სადაც ისინი ითხოვდნენ 2023 წლამდე არსებული ტარიფების დაბრუნებას; საკომისიოს შემცირებას; საქართველოში ოფისის გახსნას; 24-საათიანი ქოლცენტრის ამოქმედებას; შორ მანძილზე ფასის კომპენსაციასა და ლოდინის ღილაკის დამატებას.[169] მძღოლების თანახმად, სამგზავრო ტარიფები ცვალებადია, თუმცა საკომისიოს ზრდა მძღოლების შემოსავლის შემცირებას ნიშნავს, რაც დასაქმებულების ისედაც მერყევ შემოსავალს საგრძნობლად ამცირებს. კომპანია „ბოლტის“ მიერ მძღოლების საკომისიო ტარიფები მას შემდეგ გაზარდა, რაც სახელმწიფომ ტაქსის საკომისიო მომსახურებისთვის დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) დააწესა. ფასის ზრდას არ მოჰყოლია მძღოლების შემოსავლის ზრდა ან მათ მიერ კომპანიისთვის გადასახდელი თანხის რაოდენობის შემცირება. ამასთან, ქალაქში შექმნილი საცობების გამო, მძღოლებს კონკრეტული გამოძახების შესასრულებლად მეტი დროის დახარჯვა უწევთ, თუმცა დამატებითი დროის დახარჯვა გამომუშავებული თანხის ზრდას არ ნიშნავს, შესაბამისად, ისინი გაზრდილი გადასახადის გამომუშავებას ვერ ასწრებენ, რაც მათი შემოსავლის შემცირებას, სამუშაო დროის ზრდასა და მანქანის ტექნიკურ ცვეთას, შესაბამისად, სხვა ხარჯების ზრდასაც იწვევს. „ბოლტის“ მძღოლებმა კომპანიას წერილით 2023 წლის იანვარში მიმართეს. მას ხელს 260 ბოლტის პარტნიორი მძღოლი აწერდა.[170]

ისევე როგორც „ვოლტის“ კურიერების შემთხვევაში, „ბოლტის“ მძღოლებსაც კომპანია პარტნიორულ ან მომსახურების ხელშეკრულებას უფორმებს, რაც შრომის ხელშეკრულებასთან შედარებით, შრომითი კანონმდებლობით ნაკლებად რეგულირდება. მომსახურების ხელშეკრულება კომპანიას საშუალებას აძლევს დაზოგოს ხარჯები და გვერდი აუაროს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ისეთ გარანტიებს, როგორიც არის შვებულება, ბიულეტენი, დეკრეტი, ზეგანაკვეთური სამუშაო და სხვა. სანაცვლოდ,

---

[168] კომპანია „ბოლტის“ მძღოლების აქცია, 5 თებერვალი, 2023. საზოგადოებრივი მაუწყებელი. https://1tv.ge/video/kompania-boltis-mdzgholebis-aqcia/

[169] კოკაია ლანა, ნაკლები შემოსავალი, მეტი გადასახადი, გაუმართავი აპლიკაცია - კიდევ რას და რატომ აპროტესტებენ "ბოლტის" მძღოლები. 2023 წლის 2 თებერვალი. რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/ნაკლები-შემოსავალი-მეტი-გადასახადი-გაუმართავი-აპლიკაცია-კიდევ-რას-და-რატომ-აპროტესტებენ-ბოლტის-მძღოლები/32252896.html

[170] ბოლტის მძღოლების აქცია. 2023 წლის 30 იანვარი. საზოგადოებრივი მაუწყებელი. https://1tv.ge/video/boltis-mdzgholebis-aqcia/

მომსახურების ხელშეკრულების უპირატესობად მიიჩნევა დასაქმებულის მიერ სამუშაო განრიგის თავისუფალი შერჩევა, შრომის მოცულობის განსაზღვრა და ხელსაყრელი სამუშაო საათების შერჩევა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შრომითი ურთიერთობა მხარეებს, კომპანიასა და მძღოლს თანასწორ მხარეებად განიხილავს, არსებობს უთანასწორო ურთიერთმიმართება, რაც გამოიხატება კომპანიის მხრიდან სამუშაო პირობების განსაზღვრაში, როგორიც არის ანაზღაურება, პარტნიორ მძღოლებთან შეუთანხმებლად ტარიფების ცვლილება, ბონუსების სისტემა, სანქციები და სხვ.

კომპანია „ბოლტის“ პარტნიორი მძღოლების მოთხოვნებში ერთ-ერთი საკითხი, სწორედ კომპანიასთან კომუნიკაციას შეეხებოდა. „ბოლტი“ ესტონური კომპანიაა, რომელიც საკვების მიწოდებას, გადაადგილებას და სხვა სერვისების მიწოდებას უზრუნველყოფს. კომპანიასთან ადგილობრივი მძღოლების კომუნიკაციის პრობლემას, მათი ოფისის ადგილზე არარსებობაც წარმოადგენს, რადგან გაფიცული მძღოლების თქმით, მათ ურთიერთობა კომპანიის წარმომადგენლების ნაცვლად ჩეტბოტებთან უწევთ. გარდა ამისა, კომპანიაში მომუშავე მძღოლები საუბრობდნენ ფეისბუქის ჯგუფებში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაზე, რადგან მძღოლები, რომლებიც პროტესტს გამოთქვამდნენ სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებში, იბლოკებოდნენ.

„ბოლტის“ მძღოლების გაფიცვას 2023 წლის 15 ივნისს გამოეხმაურა საქართველოს სახალხო დამცველი, რომელმაც მძღოლების მიმართვის საფუძველზე, დაადგინა, რომ კომპანია გაფიცულებს დისკრიმინაციულად ეპყრობოდა განსხვავებული აზრის გამოთქმის გამო.[171] კომპანია Bolt Food-მა რამდენიმე თანამშრომელი საპროტესტო გამოსვლის შემდეგ აპლიკაციიდან დაბლოკა. სახალხო დამცველმა კომპანიის ეს ნაბიჯი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტად შეაფასა. კომპანიის თქმით, ბოლტის მძღოლებსა და კომპანიას შორის ურთიერთობები არა შრომითი, არამედ საპარტნიორო ხელშეკრულებით რეგულირდებოდა, ხოლო მძღოლების პლატფორმიდან დაიბლოკნენ არა პროტესტის გამოხატვის, არამედ Bolt Food-ის პარტნიორმა რესტორნებში საქმიანობისთვის ხელის შეშლისა და ორგანიზებულ აქტივობებში მონაწილეობის გამო. ასეთი შემთხვევა კიდევ ერთხელ ადასტურებს მძღოლებისა და კომპანიის დაქვემდებარებულ ურთიერთობას, სადაც „პარტნიორ მძღოლებს“ კომპანიის წესებისა და სპონტანური გადაწყვეტილებებზე მორგება უწევთ.[172]

საქართველოს სახალხო დამცველმა კომპანიის სახელზე რეკომენდაციები გასცა, რომ დაუყოვნებლივ აღედგინათ მძღოლებისთვის აპლიკაციაზე წვდომა და მომავალში პროტესტის გამოხატვის გამო არ დაეშვათ დისკრიმინაციული მოპყრობა შრომით ურთიერთობაში მყოფი მძღოლების მიმართ.

---

[171] ომბუდსმენმა დაადგინა, რომ გაფიცვის გამო "ბოლტი" კურიერებს დისკრიმინაციულად ექცეოდა. 2023 წლის 15 ივნისი. რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/31309228.html

[172] სოციალური სამართლიანობის ცენტრი. არაფორმალური და არასტანდარტული შრომა საქართველოში გამოწვევები და სარეფორმო ხედვა. გვ. 20. 2021. https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/Shroma_170x240_GEO_WEB_1642771763.pdf

მოცემული გაფიცვის შემთხვევაც აჩვენებს, რომ პლატფორმულ შრომაში ჩართული დასაქმებულები საკუთარი შრომითი სტატუსის ბუნდოვანების გამო შრომითი რეგულაციებისა და შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული ბენეფიტების მიღმა რჩებიან. მიუხედავად იმისა, რომ გაფიცვა შრომის ანაზღაურების მატებითა და შრომის პირობების გაუმჯობესებით დაიწყო, საბოლოოდ, გაფიცვა კურიერების გამოხატვის თავისუფლების, დისკრიმინაციის დადგენისა და სხვა, შრომით პირობებთან არაპირდაპირ დაკავშირებულ საკითხებზე მედიაციით გაგრძელდა. სახალხო დამცველის შეზღუდული როლი დისკრიმინაციის დარღვევის დადგენითა და კომპანიების მიმართ რეკომენდაციებით გამოიხატება. ამასთან, პროფკავშირული გაერთიანების როლიც შეზღუდულია, რაც გაფიცულთა სიტყვიერ და სამართლებრივ მხარდაჭერაში გამოიხატება.

5.5. ტ/კ ფორმულას ოპერატორების გაფიცვა

2023 წლის 31 იანვარს ტელეკომპანია ფორმულას ოპერატორები ხელფასების მომატების მოთხოვნით გაიფიცნენ[173]. სამსახურიდან გათავისუფლებული ოპერატორები აპირებდნენ სამართლებრივი დავის დაწყებას და გეგმავდნენ, საკუთარი შრომითი უფლებების დასაცავად საქართველოს სახალხო დამცველისთვის მიმართვას.[174]

ტელეკომპანიის გაფიცული ოპერატორების განცხადებაში ნათქვამია[175], რომ მათ სურდათ შრომის ანაზღაურების მომატება, რის შესახებაც მიმართეს კომპანიის დირექტორს, თუმცა საპასუხოდ დამამცირებელი დამოკიდებულება და მოთხოვნის შესრულებაზე უარი მიიღეს. ოპერატორებმა კომპანია გაფიცვის დაწყების შესახებ გააფრთხილეს. შედეგად, მათ კომპანიისგან გაფიცული ოპერატორების გათავისუფლების ცნობა მიიღეს.[176]

ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის თქმით, ოპერატორებმა ხელფასების მომატების მოთხოვნით 31 იანვარს მიმართეს "ფორმულას" გენერალურ დირექტორს, ზუკა გუმბერიძეს, ამის შემდეგ კი საინფორმაციო გამოშვებაზე მომუშავე 28 ოპერატორმა გადაღებებზე წასვლაზე უარი განაცხადა, რაც მათთვის მოულოდნელი იყო. კომპანიაში აცხადებდნენ, რომ პროტესტის მონაწილეების ხელფასები, საშუალოდ, 2 500 ლარს შეადგენდა და არ ყოფილა სახელფასო თვე, როდესაც თანამშრომლებს ანაზღაურება სრულად არ ჩარიცხვიათ. "ფორმულას" იურისტის თქმით, კომპანია მიიჩნევდა, რომ ოპერატორების პროტესტი გაფიცვის სამართლებრივ რეგულირებაში არ ჯდებოდა, რადგან

---

[173] გაფიცული ოპერატორების გათავისუფლების შემდეგ „ფორმულა" ორმა ჟურნალისტმა დატოვა. 2023 წლის 3 თებერვალი. სამოქალაქო საქართველო. https://civil.ge/ka/archives/524071

[174] გაფიცული ოპერატორები „ფორმულასთან" პროტესტს აგრძელებენ. 2023 წლის 4 თებერვალი. პუბლიკა. https://publika.ge/gaficuli-operatorebi-formulastan-protests-agrdzeleben/

[175] "ფორმულას" სამსახურიდან გათავისუფლებულმა ოპერატორებმა განცხადება გაავრცელეს. 2023 წლის 4 თებერვალი. რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/32255649.html

[176] "ფორმულა" გაფიცულ ოპერატორებს ათავისუფლებს. 2023 წლის 3 თებერვალი. მედიაჩეკერი. https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/93805-qformulaq-gaficul-operatorebs-athavisuflebs

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება გაფიცვის შესახებ ოფიციალურ მიმართვამდე შეწყვიტეს.[177]

„ფორმულას“ ოპერატორების მიერ 4 თებერვალს გავრცელებულ განცხადებაში, ხელფასების მომატებისა და გაფიცული თანამშრომლების სამსახურიდან გათავისუფლების გარდა, საკითხი შეეხო კომპანიის მენეჯმენტის მხრიდან ღირსების შემლახველ და შეურაცხმყოფელ განცხადებებს. გაფიცულები კომპანიასთან მოლაპარაკებების განახლებას იმ შემთხვევაში დათანხმდებოდნენ, თუ მოლაპარაკებები გაფიცულთა „ღირსების პატივისცემითა“ და შრომით საკითხებს სამართლიან და საქმიან გარემოში განიხილავდნენ.[178]

ტ/კ „ფორმულას“ ოპერატორების შრომითი უფლებების დასაცავად პროცესში არასამთავრობო ორგანიზაცია „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“, პროფესიული გაერთიანებები და სხვა ორგანიზაციები ჩაერთნენ[179]. საბოლოოდ, „ფორმულას“ გაფიცული ოპერატორების უმეტესობა სამუშაოს დაუბრუნდა, თუმცა მოლაპარაკების პირობები და გაფიცვის შედეგები საჯაროდ არ გაშუქებულა. შრომითი კანონმდებლობის აღსრულების მექანიზმზე სუსტი მონიტორინგის გარდა, ეს გაფიცვა აჩვენებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის კომუნიკაციის ხარვეზებს. შრომით ურთიერთობებში დასაქმებულისა და დამსაქმებლის გამჭვირვალე, ურთიერთპატივისცემასა და ღირსებაზე დაფუძნებული კომუნიკაცია, შესაძლოა, დავის მოგვარების ერთ-ერთი ეფექტიანი მექანიზმი იყოს.

5.6. კომპანია „საირმე მინერალ ვოთერსის“ თანამშრომლების გაფიცვა

კომპანია „საირმე მინერალ ვოთერსის“ 30-მდე თანამშრომელი 13 თებერვალს ხელფასის 30%-იანი ზრდის, ანაზღაურების ინდექსაციის, საპენსიო ფონდში დასაქმებულთა შენატანების კომპანიის მიერ გაღებისა და დასაქმების ადგილზე სანიტარული მოწესრიგების მოთხოვნით გაიფიცნენ. ამასთან, გაფიცვის პერიოდში, თანამშრომლებს არ ჰქონდათ იანვრის თვის ხელფასი მიღებული, რასაც გაფიცვას უკავშირებდნენ.[180] კომპანიის წარმომადგენლების განცხადებით იანვრის თვის ხელფასების დარიცხვა გაფიცვის დასრულების შემდეგ მოხდებოდა, ან თუ გაფიცულები კომპანიას უკვე ჩამოსხმული პროდუქციის საწყობიდან გამოტანის საშუალებას მისცემდნენ.

---

[177] ქოქოშვილი დათო, “ფორმულამ” ოპერატორები სამსახურიდან გაუშვა, ისინი სამართლებრივ დავას აპირებენ. 3 თებერვალი, 2023. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/life/653271/

[178] "ფორმულას" სამსახურიდან გათავისუფლებულმა ოპერატორებმა განცხადება გაავრცელეს. 2023 წლის 4 თებერვალი. რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/32255649.html

[179] პროტესტის მე-15 დღე | „ფორმულას“ ოპერატორები სამართლებრივ დავას იწყებენ. 2023 წლის 15 თებერვალი. პუბლიკა. https://publika.ge/article/protestis-me-15-dghe-formulas-operatorebi-samartlebriv-davas/

[180] გვაძაბია მიხეილ, ხელფასები გაიზრდება — გაფიცულებსა და „საირმეს“ შორის შეთანხმება შედგა. 23 მარტი, 2023. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/life/661195/

საირმეში სამკურნალო მინერალური წყლების არსებობა მე-19 საუკუნის 90-იან წლებში აღმოაჩინეს და მას შემდეგ, მრავალჯერ დადასტურდა წყლების სამკურნალო თვისებების შესახებ. წყლის ჩამომსხმელი ქარხანა კი 1944 წელს, საბჭოთა პერიოდში გაიხსნა და მისი პროდუქცია მთელს საბჭოთა კავშირში ვრცელდებოდა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 2006 წელს კომპანია „საირმე მინერალ ვოთერსმა“ სახელმწიფოსგან ოფიციალური ლიცენზია მიიღო და საირმის კურორტზე გახდა მინერალური წყლის ერთადერთი ავტორიზებული მაწარმოებელი.[181] კურორტის ეს რესურსი ადგილობრივებისთვის დასაქმების კარგი შესაძლებლობა და ეკონომიკური უზრუნველყოფის საწინდარი უნდა გამხდარიყო, თუმცა კერძო კომპანიასა და ადგილზე დასაქმებულებს შორის შრომითი უფლებები, სამუშაო პირობები და შრომის ანაზღაურება დავის საგანი გახდა.

კომპანია „საირმე მინერალ ვოთერსის“ ერთ-ერთი თანამშრომლის თქმით, დასაქმებულების დღიური სამუშაო ანაზღაურება 43 ლარს არ აღემატებოდა. ამ თანხას კიდევ აკლდება საპენსიო სააგენტოში გადასარიცხი 2%. შესაბამისად, 24-დღიანი სამუშაო თვის განმავლობაში დასაქმებულთა სახელფასო ანაზღაურება 1050 ლარს არ აჭარბებდა, თუმცა იყვნენ ისეთი თანამშრომლებიც, რომელთა თვიური ხელფასი მხოლოდ 300-350 ლარს შეადგენდა.[182] ამასთან, დასაქმებულები მიუთითებდნენ, რომ კომპანია ავრცელებდა მცდარ ინფორმაციას, რომ თითქოს დასაქმებულთა ხელფასი 1500 ლარი იყო, თუმცა, თანამშრომლები ამბობდნენ, რომ დასაქმებულთა მაქსიმალური ყოველთვიური ხელფასი 1050 ლარს შეადგენდა.

კომპანია „საირმეში“ დასაქმებულთა გაფიცვას წინ უძღოდა 21-დღიანი მედიაციის ინტენსიური პროცესი. 13 თებერვალს კი, კომპანიის თქმით, თანამშრომლებმა გაფიცვა მედიაციის პროცესის დასრულებამდე დაიწყეს. შპს „საირმე მინერალ ვოთერსის“ დირექტორის მოადგილის, ლევან კასრაძის თანახმად, გაფიცული თანამშრომლების მოთხოვნები პროტესტის განმავლობაში იმდენად გაიზარდა, რომ კომპანიასთან მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. ამასთან, კომპანიის უკმაყოფილებას იწვევდა აგრომეურნეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის პროფკავშირ „ლაბორთან“[183] კომუნიკაცია, რომელიც გაფიცულებს უწევდა დახმარებას. კომპანია აცხადებდა, რომ პროფკავშირის თავმჯდომარის მხრიდან „ადგილი აქვს პროვოკაციას, დეზინფორმაციის გავრცელებას და კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს. პრობლემად რჩება გაფიცულების დამოკიდებულება იმ თანამშრომლების მიმართ, ვინც აგრძელებენ მუშაობას. არის მუქარის, დაშინების, შანტაჟის ფაქტები. ასევე კეტავენ გზებს, რაც ხელს უშლის პროდუქციის

[181] კომპანია „საირმე მინერალ ვოთერსი“. https://sairmewater.com/ka/about_us

[182] ბოგვერაძე მარიამი, რას ითხოვენ „საირმეში“ დასაქმებულები — გაფიცვის მე-11 დღე. 2023 წლის 23 თებერვალი. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/news/656531/

[183] ლაბორი საქართველოს აგრარულ მეურნეობაში, ვაჭრობასა და მრეწველობაში დასაქმებულთა პროფესიული კავშირია, რომლის უმთავრეს საწესდებო ვალდებულებას წარმოადგენს პროფკავშირის წევრთა და დასაქმებულთა შრომით-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური უფლება-ინტერესების დაცვა და წარმოდგენა. http://www.lbr.ge/about-us.html

ტრანსპორტირებას.“[184] ამ ურთიერთბრალდებების ფონზე, გაფიცულების მოთხოვნების განხილვა სხვა საკითხებმა ჩაანაცვლა. გაფიცულები კი უკვე პროცესში სახელმწიფოს ჩართვას ითხოვდნენ, ყურადღების მისაპყრობად კი საირმე-ქუთაისის გზის გადაკეტვას აპირებდნენ.

„საირმის“ გაფიცული თანამშრომლების მოთხოვნების ათპუნქტიანი სია შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ხელფასების 30%-იან ზრდა; საქსტატის მონაცემების შესაბამისად ხელფასების ყოველწლიურ ინდექსაცია; საპენსიო გადასახადის დამსაქმებლის მიერ დაფარვა; ღირსეული და უსაფრთხო შრომით პირობები; ქარხანაში ანტისანიტარიის მოწესრიგება; დამსაქმებლის მხრიდან შანტაჟისა და მუქარის აკრძალვა; კოლექტიური შეთანხმების გაფორმება; მენეჯმენტის ბრალეულობის გამო არ მოხდეს დასაქმებულთა იძულებითი მოცდენა; დამფუძნებლებთან შეხვედრა, რადგან დასაქმებულებს მიაჩნიათ, რომ ადგილობრივი მენეჯმენტი განზრახ აზიანებს და აკოტრებს ქარხანას; გაფიცვის პერიოდში არ მოხდეს გაფიცული თანამშრომლების სხვა კადრებით ჩანაცვლება.[185]

საბოლოოდ, გაფიცვის 36-ე დღეს კომპანიასა და გაფიცულ თანამშრომლებს შორის კომპრომისების გზით შეთანხმება შედგა. სამსახურიდან გაათავისუფლეს ადმინისტრაციის ის სამი წარმომადგენელი, რომლებიც გამოირჩეოდნენ პროვოკაციული ქმედებებით გაფიცულთა მიმართ. შედეგად, გაფიცულებმა გზა გაუხსნეს საექსპორტოდ გამზადებულ წყლით დატვირთულ ტრაილერს. ამის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკებები და ორივე მხარე შეთანხმდა შემდეგ პირობებზე: ხელფასის ზრდა 22.5 %-ით; ხელფასის ზრდა 34%-ით ღამის საათებში მუშაობის შემთხვევაში; ცვლის უფროსის დანამატი განისაზღვრა 150 ლარის ოდენობით; დამლაგებლის ხელფასის ზრდა 30%-ით და ასევე კადრის დამატება; მეწარმე სუბიექტის (მძღოლი) მომსახურების ანაზღაურების ზრდა 22.5%-ით; ზეგანაკვეთური შრომის და უქმე დღეების მუშაობის ანაზღაურების განსაზღვრა დამატებით 25%-ით; გაფიცვის დღეების ანაზღაურება 800 ლარის ოდენობით; ხელფასის ყოველწლიური ინდექსაცია; გაუქმდება თანამშრომლებზე 2023 წლის 1 თებერვალს გაცემული წერილობითი გაფრთხილებები; დასაქმებულ ოპერატორებს მოეხსნათ ვალდებულება, ასწავლონ ახალ ოპერატორს ოპერატორის ფუნქცია-მოვალეობები; კოლექტიური შეთანხმების გაფორმება 2024 წლამდე.“[186]

კომპანია „საირმე მინერალ ვოთერსის“ თანამშრომლების 36 დღიანი გაფიცვა მნიშვნელოვანი შედგებით დასრულდა დასაქმებულებისთვის, ვინაიდან დაკმაყოფილდა მათი მოთხოვნების ნაწილი, ხოლო დანარჩენზე მიიღეს დაპირება დროთა განმავლობაში მათი თანდათანობით შესრულების შესახებ.

---

[184] კუპრეიშვილი თაზო, გაფიცვის მე-14 დღე საირმეში. 2023 წლის 26 თებერვალი. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/news/656971/

[185] გვაძაბია მიხეილ, ხელფასები გაიზრდება — გაფიცულებსა და „საირმეს“ შორის შეთანხმება შედგა. 2023 წლის 23 მარტი. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/life/661195/

[186] საირმეში გაფიცვის 36-ე დღეს შეთანხმება შედგა | რაზე შეთანხმდნენ დასაქმებულები და დამსაქმებელი. 2023 წლის 21 მარტი. პუბლიკა. https://publika.ge/sairmeshi-gaficvis-36-e-dghes-shetankhmeba-shedga-raze-shetankhmdnen-dasaqmebulebi-da-damsaqmebeli/

5.7. ჭიათურის მაღაროელების გაფიცვა

ჭიათურა ისტორიულად მანგანუმის საბადოებით მდიდარ რეგიონად ითვლებოდა. ჭიათურის საბადოს ექსპლუატაციის ისტორია 1879 წლიდან, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის პერიოდიდან იწყება და მსოფლიო ბაზარზე მანგანუმზე მოთხოვნის ზრდის შესაბამისად რეგიონის რესურსის მიმართ ინტერესი ძლიერდებოდა. მე-19 საუკუნის ბოლოდან ჭიათურის მანგანუმის მიმართ ინტერესს იჩენდა რუსული, ფრანგული, ინგლისური და გერმანული კაპიტალი. საბჭოთა პერიოდში ჭიათურა მანგანუმით საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ფოლადის მწარმოებელ ქარხნებს ამარაგებდა,[187] რაც ამ რეგიონში მანგანუმის დამუშავებისა და ადგილობრივი მაღაროელების შრომის ხანგრძლივ გამოცდილებასა და კულტურაზე მიუთითებს.

1990 წლიდან მანგანუმის მოპოვება შემცირდა. 2006 წლის 11 ნოემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ჩატარებული აუქციონის შედეგად, ჭიათურის მანგანუმის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლებასთან ერთად სს "ჭიათურმანგანუმის" აქტივებიც გაიყიდა. აუქციონში გაიმარჯვა ვაჭრობის ერთადერთმა მონაწილემ – „ჯორჯიან მანგანეზ ჰოლდინგ ლიმითედმა". კომპანიაში მოგვიანებით ჩატარებული ცვლილებები საზოგადოებისთვის ნაკლებად იყო ცნობილი.[188] კომპანიის სხვადასხვა მენეჯმენტის პირობებში მაღაროში დასაქმებული მუშები შრომით პირობებთან და შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით სხვადასხვა გამოწვევის წინაშე იდგნენ. ამას მოწმობს წლების მანძილზე მაღაროელების გაფიცვები და პროტესტის სხვადასხვა ფორმა[189]. ისტორიულად, რესურსებით მდიდარი ქალაქის მაცხოვრებლებისთვის ადგილობრივი ბუნებრივი რესურსი მდგრადი კეთილდღეობის წინაპირობა უნდა ყოფილიყო, თუმცა მაღაროში დასაქმებულები დღემდე მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და შრომით პირობებს უჩივიან.

2023 წლის 5 ივნისს ჭიათურაში 3300-მდე მაღაროელი გაიფიცა.[190] გაფიცულების მოთხოვნები იყო სამუშაო პირობების გაუმჯობესება, უსაფრთხოების ნორმების დაცვა, დასაქმებულთა ხელფასების ზრდა და ქალაქისთვის ეკოლოგიური ზიანის შემცირება.[191] ჭიათურელი მაღაროელებისთვის ეს პირველი პროტესტი არ ყოფილა. მათი გაფიცვები ათწლეულზე მეტია მიმდინარეობს, თუმცა მაღაროელების მოთხოვნები სრულად

---

[187] მწვანე ალტერნატივა, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. საჯარო პოლიტიკის ნარკვევი. 2016 წლის აგვისტო. გვ.1-2. https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/ჭიათურის-მანგანუმის-გამამდირებელი-საწარმო-და-გარემოსდაცვითი-პრობლემები.pdf

[188] იქვე. გვ.2.

[189] Human Rights Watch, „არც ერთი წელი სიკვდილის შემთხვევათა გარეშე" საქართველოში წლების განმავლობაში შრომის ბაზრის დერეგულირება საფრთხეს უქმნის მაღაროელებს. 2019. https://www.hrw.org/sites/default/files/report_pdf/georgia0819ka_web.pdf

[190] წულაძე ზაზა, გაფიცვის მე-15 დღე: ჭიათურელი მაღაროელების ხმა ისევ არ ესმით. 2023 წლის 21 ივნისი. ამერიკის ხმა. https://www.amerikiskhma.com/a/7145472.html

[191] ბიძინაშვილი ნინო, „ჩათვალეთ, მაღაროელებს სიკვდილზე გვაქვს ხელი მოწერილი" — რეპორტაჟი ჭიათურიდან. 2023 წლის 13 ივნისი. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/life/674609/

არასდროს დაუკმაყოფილებიათ. 2023 წლის ივნისში გაფიცვა რამდენიმე მიზეზმა გამოიწვია, მათ შორის იყო ინფლაცია, სამუშაო პირობების გაუარესება, მაღაროში დასაქმებულების სოციალური და ეკონომიკური პირობების, უსაფრთხოების მდგომარეობისა და გარემოს ზემოქმედების გაუარესება. საზოგადოებრივი უყურადღებობის ფონზე გაფიცვიდან მე-7 დღეს, 12 ივნისს ათამდე პროტესტის მონაწილემ შიმშილობა დაიწყო. 13 ივნისს, მაღაროელებმა მოთხოვნების თოთხმეტი პუნქტი წარმოადგინეს:

1. 40%-იანი ხელფასის მატება (არ ეხება მენეჯმენტს);
2. 2023 წლის 01 თებერვლამდე არსებული გრაფიკის /გეგმის დაბრუნება (გარდა იმ გამონაკლისისა, რაც შეთანხმდა ვახტებზე დარჩეს 4 დღიანი გრაფიკი);
3. ყველა ბანკში სესხის პროცენტის დარიცხვის შეჩერება და გადახდის გადავადება, აქამდე დარიცხულის გასტუმრება);
4. დაზღვევის შეცვლა და პირობების გაუმჯობესება;
5. მიეცეთ დასაქმებულებს შვებულებით სარგებლობის საშუალება;
6. მიეცეთ დასაქმებულებს მუშაობის მალე დაწყების საშუალება;
7. ტექნიკის განახლება/გაუმჯობესება/შეცვლა;
8. ულუფის გაუმჯობესება (მაგ. მოხდეს კონსერვის ამოღება და მოხდეს მისი ჩანაცვლება);
9. დასაქმებულებს მიეცეთ სანატორიუმის გამოყენების საშუალება, როგორც ეს ხდებოდა პირველ თებერვლამდე;
10. ბიულეტენით სარგებლობის შემთხვევაში ანაზღაურება მოხდეს 100%-ით;
11. ანაზღაურდეს ამა წლის 7 ივნისიდან საწარმოში სამუშაო პროცესის აღდგენამდე გაცდენილი დღეები 100%-ით;
12. გაკონტროლდეს უსაფრთხოება უმაღლეს დონეზე;
13. გაუქმდეს ყველა შ.პ.ს და მოხდეს მათი გაერთიანება კვლავ ერთ კომპანიად;
14. კომპანიის მიერ ღია კარიერული მოპოვების წესით ახალი ტერიტორიების ათვისებისას ეს საკითხის შეთანხმდეს კონკრეტულ სოფლის მოსახლეობასთან; ადგილობრივების პოზიცია გათვალისწინებულ იქნას, როგორც ამას ადამიანების უფლებების საერთაშორისო ნორმები და საქართველოს კონსტიტუცია მოითხოვს; კანონის სრული დაცვით მოხდეს მანგანუმის ღია კარიერული წესით მოპოვება, ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა ჯანსაღ გარემოში ცხოვრება, შესაბამისად გაკონტროლდეს ჰაერის დაბინძურების ხარისხი, გეოლოგიური, ეკოლოგიური რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით და თუ ყველაფერი იქნება ნორმის ფარგლებში, შემდგომ მოხდეს ჰუმსოვანი ფენის მოხსნა-დასაწყობება, ბიოლოგიური რეკულტივაცია და იმ ხე-მცენარეების დარგვა გახარება, რაც ადგილობრივი კულტურისთვის არის ავთენტური.[192]

გაფიცვა ცხადყოფს ჭიათურაში სხვადასხვა სფეროში დაგროვებულ მრავალწლიან უკმაყოფილებას, როგორიცაა სოციალური, ჯანდაცვის, ეკონომიკური და

[192] მაღაროელების მოთხოვნები. 2023 წლის 13 ივნისი. https://www.facebook.com/photo.php?fbid=114670294986868&set=a.114670324986865&type=3&ref=embed_post

გარემოსდაცვითი სფეროები. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ძირეული პრობლემები რთული და სისტემურია და საჭიროებს არა მხოლოდ შრომითი კანონმდებლობითა და პირობების მიმართულებით მუშაობას, არამედ, უფრო მასშტაბურ და ყოვლისმომცველ გადაწყვეტას.

16 ივნისს, გაფიცვის მე-11 დღეს პროტესტის რადიკალურ ფორმას მიმართა გვირაბგამყვანმა მალხაზ სარალიძემ, რომელმაც პირი ამოიკერა და მუნიციპალიტეტის მერიის წინ გაშლილ კარავში მოშიმშილე 10 მაღაროელს შეუერთდა[193]. ჭიათურაში მაღაროელების პროტესტის მე-13 დღე განსაკუთრებით მძიმე იყო, რადგან ერთ-ერთმა მაღაროელმა თვალები ამოიკერა. მან პროტესტის ამ ფორმას მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო მიმართა. მაღაროელები კომპანიისგან ხელფასის გაზრდას და ახალი გრაფიკის გადახედვას მოითხოვდნენ[194]. გაფიცვის მონაწილეთა შიმშილობისა და მოთხოვნების ჩამოყალიბების მიუხედავად, გაფიცულმა მაღაროელებმა ვერ მიიღეს პასუხი ვერც კომპანიისა და ვერც ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობისგან. შედეგად, 20 ივნისს მაღაროელების ნაწილი თბილისში ჩამოვიდა და პროტესტის გაგრძელება პარლამენტის შენობის წინ განაგრძო.[195] მაღაროელების ნაწილი და მათი მხარდამჭერები ჭიათურაში დარჩნენ მოშიმშილეებთან ერთად და პროტესტი ადგილზე განაგრძეს.

21 ივნისს მაღაროელების ნაწილმა, თბილისში საპროტესტო მსვლელობა პარლამენტიდან "ჯორჯიან მანგანეზის" ოფისისკენ მოაწყვეს. მათი მოთხოვნა ხელფასის 40%-იანი ზრდიდან 20%-მდე შემცირდა, თუმცა, კომპანია ისევ უარს აცხადებდა მოლაპარაკებაზე.

„ჯორჯიან მანგანეზი" 2007 წლიდან უკრაინელი მილიარდერის იჰორ კოლომოისკის ეკუთვნის. ის ჭიათურაში და ნაწილობრივ საჩხერეში ოპერირებს და სილიკომანგანუმს ერთ ციკლში აწარმოებს. კომპანია გარემოსდაცვითი ზიანისთვის დაახლოებით 417 მილიონი ლარით დაჯარიმდა, თუმცა სახელმწიფოს კომპანიისთვის ლიცენზია და ნებართვა არ გაუუქმებია. სამაგიეროდ, სახელმწიფომ 2017 წელს სპეციალური მენეჯერი დანიშნა, რომელსაც ჭიათურაში ეკოლოგიური და შრომითი პრობლემები არ მოუგვარებია. ბოლო ხუთი წელია, კომპანია ჭიათურაში მუშაობას სახელმწიფოსთვის მილიონობით ზიანის აუნაზღაურებლად განაგრძობს. ექსპერტების აზრით, მაღაროელთა ბოლო წლების გაფიცვები (2019, 2021, 2023), ასევე, გარემოსდაცვითი ორგანიზაციების კვლევები თუ ჟურნალისტური გამოძიებებიც მოწმობს, რომ სახელმწიფო მმართველი კომპანიაში რეალურად ბიზნეს გავლენების გადასანაწილებლად დაინიშნა. ჭიათურის ეკოლოგიური თუ შრომითი პრობლემების უდიდესი ნაწილი კი ისევ მოუგვარებელია.[196]

---

[193] ჭიათურაში მაღაროელმა პროტესტის ნიშნად პირი ამოიკერა. 2023 წლის 16 ივნისი. რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/32462225.html

[194] ჭიათურაში მაღაროელმა პროტესტის ნიშნად თვალები ამოიკერა. 2023 წლის 19 ივნისი. რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/32464751.html

[195] ჭიათურელი მაღაროელები თბილისში ჩამოვიდნენ და პარლამენტის წინ აქციას მართავენ. 2023 წლის 19 ივნისი. რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/32465956.html

[196] მგელაძე გიორგი, მანგანეზის მმართველის გადაწყვეტილებით შესაძლოა სახელმწიფომ მილიონები დაკარგოს. 2021 წლის 20 აპრილი. რადიო თავისუფლება.

კომპანია თანამშრომლებს ხელფასის 60%-ს 2023 წლის თებერვლიდან უხდიდა, რასაც მსოფლიო კრიზისით ხსნიდა. მეშახტეები ხელფასის 20%-ით გაზრდას ითხოვდნენ, რასაც კომპანია ძვირადღირებულ მოთხოვნას უწოდებდა.

გაფიცვა აჩვენებს, რომ „ჯორჯიან მანგანეზი“ ჭიათურის ბუნებრივ და ადამიანურ რესურსებს იყენებს, სახელმწიფო კი წლების განმავლობაში ვერ იცავდა გარემოსა და მშრომელთა უფლებებს. კომპანიისა და სახელმწიფოს ურთიერთობიდან შეიძლება ჩანდეს, რომ კომპანია არ მიიჩნევს თავს ანგარიშვალდებულად სახელმწიფოს წინაშე, მეშახტეები კი დაბალი ხელფასისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით გაფიცვებს აწყობენ.

მასობრივი გაფიცვა "ჯორჯიან მანგანეზში" ე.წ ვახტური რეჟიმის, 12 საათიანი სამუშაო გრაფიკიდან (ვახტური რეჟიმი გულისხმობს თვეში 15 დღით მუშაობას და მომდევნო 15 დღით დასვენებას, სახლში წაუსვლელად, "ჯორჯიამ მანგანეზის" სანატორიუმში - ზ.წ.), გაზრდილი გეგმით, 8 საათიან სამუშაო გრაფიკზე გადასვლას მოჰყვა. გაფიცულების აზრით, "ჯორჯიამ მანგანეზი" 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით და გაზრდილი გეგმით მოპოვებული მადნის თვითღირებულების შემცირებას მაღაროელების შრომისა და ანაზღაურების ფასად შეეცადა.

„ჯორჯიან მანგანეზს,“ რომელსაც 2017 წლიდან სახელმწიფოს სპეციალური მმართველი მართავს, წიაღით სარგებლობის ლიცენზია საქართველოში 2046 წლამდე აქვს. ლიცენზიის არეალშია 16 430 ჰექტარი, საიდანაც ჭიათურის რაიონშია 13 068 (ჭიათურის მთლიანი ფართობის 24%), ხოლო საჩხერის რაიონში – 3 362 ჰექტარი.[197]

ჭიათურელი მაღაროების გაფიცვა საბოლოოდ 2023 წლის 24 ივნისს შეწყდა. მაღაროელების მიერ მედიასთან გაკეთებული განცხადებების მიხედვით, კომპანია ჯორჯიან მანგანეზთან ხელფასის 11.9%-იან მატებაზე დათანხმდა და ასევე მიიღეს პირობა, რომ მოთხოვნების 14 პუნქტს შეასრულებენ. თუმცა, „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ შეფასებით, დაუყოვნებლივ და უპირობოდ დაკმაყოფილებას მაღაროელთა მოთხოვნების მხოლოდ მცირე ნაწილი დაექვემდებარა, ხოლო მოთხოვნების უმრავლესობა კომისიური წესით მუშაობის შემდეგ უნდა გადაწყდეს.[198]

---

https://www.radiotavisupleba.ge/a/მანგანეზის-მმართველის-გადაწყვეტილებით-შესაძლოა-სახელმწიფომ-მილიონები-დაკარგოს-/31213388.html

[197] ქებურია თამარ, ერისთავი კონსტანტინე; ექსტრაქტივისტული გადაკვეთები პოლიტიკა, ეკოლოგია და სოციალური ველი (კვლევითი სტატიების კრებული).სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2020, გვ. 38. https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/ექსტრაქტივისტული_გადაკვეთები_1607776840.pdf

[198] სოციალური სამართლიანობის ცენტრი. სოციალური სამართლიანობის ცენტრი მაღაროელებსა და „ჯორჯიან მანგანეზს“ შორის გაფორმებულ შეთანხმებას აფასებს. 2023 წლის 25 ივნისი. https://socialjustice.org.ge/ka/products/sotsialuri-samartlianobis-tsentri-magharoelebsa-da-jorjian-manganezs-shoris-gaformebul-shetankhmebas-afasebs

მაღაროელები 18 დღის განმავლობაში გაფიცულები იყვნენ. მათი ნაწილი 12 დღე შიმშილობდა. გაფიცული მაღაროელების ნაწილი ჭიათურიდან თბილისში 19 ივნისს ჩამოვიდა – ისინი პარლამენტის შენობასთან აქციებს მართავდნენ და ღამეს ათევდნენ. აქციაზე გაფიცულებს მოქალაქეებიც შეუერთდნენ და სოლიდარობა გამოხატეს. მაღაროელები ღირსეულ ანაზღაურებას, სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და შრომითი უსაფრთხოების ნორმების დაცვას ითხოვდნენ. ამ დრომდე ყველა მაღარო გაჩერებული და პარალიზებული იყო. 15 ივნისს კომპანია „ჯორჯიან მანგანეზსა“ და გაფიცულ თანამშრომლებს შორის მედიატორის მონაწილეობით მოლაპარაკების მორიგი შეხვედრა გაიმართა.[199] კომპანიამ თანამშრომლებს პროტესტის შეწყვეტა, მუშაობის განახლება და მუშაობის შედეგად ეკონომიკური ეფექტიანობის მიხედვით ბონუსების განსაზღვრა შესთავაზა. თუმცა, როგორც სხვა გაფიცვების შემთხვევაში, ჭიათურელ მაღაროელებსა და კომპანიას შორის დადებული შეთანხმების, მათი მოთხოვნების რეალური შესრულების მონიტორინგის შესახებ საჯარო ინფორმაცია ფრაგმენტული და ბუნდოვანია.

5.8. რიკოთის მუშების გაფიცვა

2023 წლის 19 აპრილს რიკოთზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებულთა ნაწილი გაიფიცა. დასაქმებულები შრომითი პირობების გაუმჯობესებასა და ადეკვატურ ანაზღაურებას ითხოვდნენ ჩინური კომპანიისგან, რომელიც რიკოთზე სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებდა.[200]

დასაქმებულთა ინფორმაციით რიკოთზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებზე მუშები დღეში 9 საათის განმავლობაში მუშაობდნენ და მათი დღიური ანაზღაურება 33 ლარს შეადგენდა. გაფიცულები სამუშაო დროის 8 საათამდე შემცირებასა და დღიური ანაზღაურების 50 ლარამდე გაზრდას ითხოვდნენ. „ჩინეთის სამშენებლო კორპორაციის“ მძღოლებმა ხელმძღვანელობას მათი მოთხოვნები გააცნეს, თუმცა საპასუხო შეთავაზება მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

გარდა შრომის ანაზღაურებისა, გაფიცული მუშები არასათანადო სამუშაო პირობების გაუმჯობესებასაც მოითხოვდნენ, რაც უმეტესად საფრთხის შემცველ სამუშაო გარემოსა და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის გაზრდილ რისკებთან იყო დაკავშირებული.

გაფიცული მძღოლები ჩინეთის სახელმწიფო სამშენებლო კორპორაციაში არიან დასაქმებული. კომპანია რიკოთზე ერთ-ერთ ყველაზე რთულ, ხევი-ჩუმათელეთის

---

[199] ჯანდაცვის სამინისტრო გაფიცულ მაღაროელებზე: ორივე მხარის ინტერესები სრულად იქნება გათვალისწინებული. 2023 წლის 13 ივნისი. რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/32457888.html?nocache=1

[200] გაფიცული მუშები რიკოთზე | ჩინური კომპანიის მძღოლები ადეკვატურ ანაზღაურებასა და შრომის უსაფრთხო პირობებს ითხოვენ. 2023 წლის 20 აპრილი. ტელეკომპანია მთავარი. https://mtavari.tv/news/120266-gapitsuli-mushebi-rikotze-chinuri-kompaniis

მონაკვეთს 2019 წლიდან აშენებდა.[201] მონაკვეთზე განვითარებული მეწყრული პროცესების და ქვათაცვენის გამო რამდენიმე დღე რიკოთის უღელტეხილზე საავტომობილო მიმოსვლა აკრძალული იყო.[202]

20 აპრილს მოლაპარაკება გაიმართა ჩინეთის სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებსა და გაფიცულებს შორის. მოლაპარაკების შემდეგ გაფიცულებმა განაცხადეს, რომ მოთხოვნების შესრულებას დაჰპირდნენ, თუმცა დამსაქმებლისგან კონკრეტულ ნაბიჯებს ელოდნენ.[203] თავის მხრივ, ჩინეთის სახელმწიფო სამშენებლო საინჟინრო კორპორაციამ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ამბობდა, რომ კომპანიასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება „შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.“[204]

რიკოთის მშენებლობაზე დასაქმებული მუშების გაფიცვის დასრულება მედიას არ გაუშუქებია. მიუხედავად ამისა, გაფიცულებსა და კომპანიას შორის მოლაპარაკებებს დამაკმაყოფილებელი შეთანხმების მიღწევა რთული პროცესის ნაწილი უნდა ყოფილიყო, რადგან კომპანია ამტკიცებდა, რომ კომპანიასა და დასაქმებულებს შორის დადებული ხელშეკრულება საქართველოს შრომის კოდექსს შეესაბამებოდა.

გაფიცვიდან ჩანს, რომ მუშებსა და კომპანიას შორის არსებობდა ნდობის ნაკლებობა. თუმცა, გაფიცვა ასევე აჩენს შეკითხვებს სახელმწიფოს როლზე შრომითი უფლებების რეგულირების, მონიტორინგის პროცესსა და სამშენებლო პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისას.

5.10. დარკვეთის მაღაროელების გაფიცვა

2023 წლის 1-ლ დეკემბერს ჭიათურაში მდებარე დარკვეთის მაღაროში დასაქმებულები ვახტურ რეჟიმზე[205] გადასვლისა და ანაზღაურების გაზრდის მოთხოვნით გაიფიცნენ. გაფიცულების მიერ მედიისთვის მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, კომპანია

---

[201] სოციალური სამართლიანობის ცენტრი. რიკოთის გზის მშენებლობაზე დასაქმებული მუშები 20219 წელსაც ხელფასის მატებასა და შრომის პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით გაიფიცნენ. 2019 წლის 19 აგვისტო. https://socialjustice.org.ge/ka/products/emc-rikotis-gzis-msheneblobaze-dasakmebuli-mushebis-shromiti-uflebebis-darghvevas-ekhmianeba

[202] გაფიცვა რიკოთზე – რას ითხოვენ რიკოთზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებული მძღოლები. 2023 წლის 20 აპრილი. ტელეკომპანია კავკასია. https://kavkasiatv.ge/2023/04/20/გაფიცვა-რიკოთზე-რას-ითხო/

[203] რიკოთის მშენებლობაზე დასაქმებული მძღოლების გაფიცვა. 2023 წლის 20 აპრილი. საზოგადოებრივი მაუწყებელი. https://1tv.ge/video/rikotis-msheneblobaze-dasaqmebuli-mdzgholebis-gaficva/

[204] ჩინური კომპანია რიკოთზე მძღოლების გაფიცვას ეხმაურება. 2023 წლის 20 აპრილი. Bm.ge. https://bm.ge/news/chinuri-kompania-rikotze-mdzgolebis-gaficvas-exmaureba/132128

[205] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ვახტური რეჟიმი გულისხმობს ზედიზედ 15 დღის (ან ღამის) განმავლობაში 12 საათიან ცვლაში, ოფიციალური შესვენების გარეშე მუშაობას. https://www.gyla.ge/ge/post/print/emc-da-saia-tchiaturashi-shps-jorjian-manganezis-dasaqmebulebis-gaficvas-ekhmianebian

„ჯორჯიან მანგანეზი“ თანახმა იყო დასაქმებულები არსებული 8 საათიანი სამუშაო გრაფიკის ნაცვლად 12 საათიან რეჟიმზე გადასულიყვნენ, თუმცა სამუშაო დროის ზრდის მიუხედავად, კომპანია ხელფასის ზრდასთან დაკავშირებულ მოთხოვნას არ აკმაყოფილებდა.[206]

მაღაროში დასაქმებულები ორი მიზეზით ითხოვდნენ სამუშაო საათების რაოდენობის ზრდას. პირველი უკავშირდებოდა ჯანმრთელობის დაცვის საკითხსა. ერთ-ერთი მაღაროელის, მერაბ სარალიძის თქმით, 8 საათიანი სამუშაო რეჟიმის დროს მათ დიზელის მზიდავებთან ერთად უწევდათ მუშაობა, რა დროსაც გამონაბოლქვის სუნთქავდნენ, ხოლო 12 საათიანი რეჟიმის დროს თავს აარიდებდნენ დიზელის გამონაბოლქვს. მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ კომპანიის მიერ მაღაროელებისთვის დასახული გეგმების 8 საათიან სამუშაო დღეში შესრულება შეუძლებელი იყო და საჭიროებდა 12 საათიან გრაფიკს.[207]

ამ საკითხზე ხუთთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ, როდესაც საქმე შეთანხმებამდე მივიდა, აღმოჩნდა, რომ გაზრდილი სამუშაო დროის მიუხედავად დარკვეთის მაღაროელებს 9 ლარით ნაკლებს სთავაზობდნენ, ვიდრე ვახტურ რეჟიმზე მომუშავე სხვა მაღაროელებს.[208]

დარკვეთის მაღაროელები სამუშაო პირობების გაუმჯობესებასა და შრომის ანაზღაურების მატებას 2023 წლის ივნისის გაფიცვის შემდეგ ელოდნენ. კომპანია „ჯორჯიან მანგანეზთან“ ხუთთვიანი მოლაპარაკებების უშედეგოდ დასრულებამ დარკვეთის მაღაროელების განმეორებითი გაფიცვა გამოიწვია. განსხვავებით ივნისის თვის გაფიცვისგან, დეკემბრის გაფიცვა 5 დღეში დასრულდა.

დარკვეთის მაღაროელების მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებების მიხედვით, კომპანიასთან შედგა მოლაპარაკება, სადაც მათ დაპირებები მიიღეს. კერძოდ, დარკვეთის მაღარო 2024 წლის 3 იანვრიდან 12-საათიან რეჟიმზე უნდა გადავიდეს, ხოლო 1 თებერვლიდან მათი ხელფასი სხვა მაღაროებში 12-საათიან რეჟიმზე მომუშავეთა ხელფასებს უნდა გაუთანაბრდეს. ასევე, იმ მაღაროელების საათობრივი ანაზღაურების ტარიფი, რომლებიც 8-საათიან გრაფიკზე აგრძელებენ მუშაობას, 2024 წლის 1 ივნისიდან უნდა გაუთანაბრდეს 12-საათიანზე მომუშავეთა ანაზღაურების ტარიფს.[209]

---

[206] ჭიათურაში დარკვეთის მაღაროს თანამშრომლები გაიფიცნენ - მაღაროელები. 2023 წლის 1-ლი დეკემბერი. პუბლიკა. https://publika.ge/chiaturashi-darkvetis-magharos-tanamshromlebi-gaificnen-magharoelebi/

[207] ბოგვერაძე, მარიამ, ჭიათურელმა მაღაროელებმა პროტესტის ნიშნად მუშაობა შეაჩერეს. 2023 წლის 1-ლი დეკემბერი. ნეტგაზეთი. https://netgazeti.ge/life/699871/

[208] „ველოდებით სამშაბათამდე" - ჭიათურაში მაღაროელთა პროტესტი გრძელდება. 2023 წლის 3 დეკემბერი. პუბლიკა. https://publika.ge/velodebit-samshabatamde-chiaturashi-magharoelta-protesti-grdzeldeba/

[209] მაღაროელები ამბობენ, რომ მათ მოთხოვნებთან დაკავშირებით შეთანხმება შედგა. 2023 წლის 5 დეკემბერი. პუბლიკა. https://publika.ge/magharoelebi-ambobenmat-motkhovnebtan-dakavshirebit-shetankhmeba-shedga/

დარკვეთის მაღაროელების გაფიცვამ კიდევ ერთხელ შექმნა შთაბეჭდილება, რომ კომპანიასა და გაფიცულ თანამშრომლებს შორის მოლაპარაკება შედგა და მათ კონკრეტულ შეთანხმებებს მიაღწიეს. თუმცა, კომპანიის მიერ გაიცა დაპირებები, რომელიც 2024 წლის იანვარ-თებერვალსა და ივნისში უნდა შესრულდეს. მხოლოდ ამ დაპირებების შესრულებისა და მისი შეფასების შემდეგ გახდება შესაძლებელი, შეასრულა თუ არა კომპანიამ საკუთარი თანამშრომლებისთვის მიცემული პირობა.

6. შეჯამება

2021-2023 წლებში, საქართველოში, დასაქმებულთა გაფიცვების მთავარი მოტივი ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ფონი, მზარდი ინფლაცია, 2020 წლის გლობალური პანდემიისა და 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გაძვირებული საყოფაცხოვრებო ხარჯები იყო.

2021-2023 წლებში საქართველოში დასაქმებულთა გაფიცვები, ძირითადად, სამუშაო პირობების გაუმჯობესებით, ხელფასების ზრდით და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებითთ იყო მოტივირებული. გაფიცვები ასევე ასახავდა დასაქმებულთა უკმაყოფილებასა და იმედგაცრუებას დამსაქმებლებისა და იმ სახელმწიფო უწყებების მიმართ, ვისაც კანონმდებლობით ევალება დასაქმებულთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

2021-2023 წლებში გაფიცვებს საქართველოში არაერთგვაროვანი შედეგები მოჰყვა. ზოგიერთი გაფიცვის შემთხვევაში დასაქმებულებმა მიაღწიეს გარკვეულ ზეპირსიტყვიერ დათმობებს დამსაქმებლებისგან ან წამოიწყეს მედიაციის პროცესი, თუმცა რა შედეგით დასრულდა გაფიცვების უმეტესობა, ბუნდოვანია. გაფიცვის შედეგები დამოკიდებული იყო სხვადასხვა ფაქტორზე, როგორიცაა გაფიცვის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, გაფიცულთა რაოდენობა და სოლიდარობის მობილიზება, დამსაქმებლისა და სახელმწიფოს რეაქცია და დამოკიდებულება, სხვა აქტორების მხარდაჭერა და ჩართულობა. საბოლოოდ, 2021-2023 წლების გაფიცვების დინამიკაზე დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ გაფიცვების უარყოფითი შედეგია გაფიცული თანამშრომლების დასჯა – მათი სამსახურიდან გათავისუფლება, სამუშაო აპლიკაციიდან დაბლოკვა, გათავისუფლებული თანამშრომლების სამსახურში აღდგენაზე უარი და სხვა, რაც შრომითი პირობებით უკმაყოფილო თანამშრომლებისთვის შეიძლება, მომავალში, გაფიცვაში მონაწილეობისგან ან პროტესტის გამოხატვისგან თავის არიდების მიზეზად იქცეს. მიუხედავად ამისა, გაფიცვებს დადებითი შედეგიც აქვს, რაც შრომითი უფლებებისა შესახებ ცნობიერების ამაღლებაში გამოიხატება, თუმცა, ეს პროცესი იშვიათად გადაიზრდება დასაქმებულების რეალური სამუშაო პირობებისა და ანაზღაურების გაუმჯობესებაში.

გაფიცვა ქართული შრომის კანონმდებლობით დაშვებული ქცევაა და ის შრომასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში, უკანასკნელ, თუმცა, სხვა არსებულ მექანიზმებთან

შედარებით ეფექტიან საშუალებად ითვლება. უკმაყოფილო დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის საკითხის მოგვარებას წინ მოლაპარაკებები და ზოგ შემთხვევაში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მედიაციის პროცესის უზრუნველყოფა უძღვის. თუმცა, გამოცდილება აჩვენებს, რომ მედიაციამ უმეტეს შემთხვევაში ვერ მოახერხა დავების გადაწყვეტის მნიშვნელოვანი მექანიზმი გამხდარიყო.[210] ამასთან, მიუხედავად საერთაშორისო[211] თუ ადგილობრივი კრიტიკული ანგარიშებისა, დასაქმებულების გაფიცვები სახელმწიფოსთვის იზოლირებულ მოვლენებად განიხილება და არა ერთიან პროცესად, რომელიც დასაქმების სფეროში არსებულ სისტემურ პრობლემებს ავლენს.

მოცემულ ანგარიშში მოყვანილი 26 გაფიცვის შემთხვევის ანალიზი აჩვენებს, რომ გაფიცვა საქართველოში შრომის ანაზღაურების გაზრდის მოთხოვნით იწყება და ყველა შემთხვევაში ის ინფლაციის მზარდ მაჩვენებელს, ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებს უკავშირდება. ხელფასის მატების თანმხლები მოთხოვნაა შრომის პირობების გაუმჯობესება, მათ შორის არის სამუშაო დროის განსაზღვრა, ზეგანაკვეთური სამუშაო დროის ანაზღაურება, ბონუსებისა და დანამატების გამჭვირვალე სისტემის დანერგვა და შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული ბენეფიტებით (შვებულება, დეკრეტი, ბიულეტენი) სარგებლობის გარანტიების შექმნა. მესამე მოთხოვნა, რომელიც გაფიცვის პროცესს მოჰყვება, არის პროტესტში მონაწილეობის გამო გაფიცულთა სამსახურიდან გათავისუფლების, მათი დასჯისა და მუქარის პრაქტიკის აღმოფხვრა. გაფიცული დასაქმებულების გაფიცვისა და პროტესტის გამოცდილება აჩვენებს, რომ მათ მოთხოვნებს ემატება დამსაქმებლის მხრიდან ღირსეული მოპყრობის მოთხოვნა.

საქართველოში არსებული ზოგადი ეკონომიკური მაჩვენებლებისა (უმუშევრობა, რეალურად განუსაზღვრელი საშუალო ხელფასი) და შრომითი კანონმდებლობის სუსტი რეგულირების გათვალისწინებით, დამსაქმებელი კომპანიები და ხშირად, სახელმწიფო უწყებებიც სარგებლობენ დასაქმებულების მდგომარეობით. არასათანადო მონიტორინგის მექანიზმებისა და სახელმწიფოს სუსტი რეაგირების შედეგად, დამსაქმებლებს აქვთ საშუალება თავი აარიდონ გარკვეულ ვალდებულებებს, რაც გაფიცული თანამშრომლების მიერ დაყენებული პირობების მინიმალური დაკმაყოფილებით ან დროში გაჭიანურებული დაპირებების გაცემაში გამოიხატება. ვინაიდან დამსაქმებლების მიერ გაცემული პირობების მონიტორინგისა და აღსრულების მექანიზმი სუსტია, ხოლო მედია-გაშუქება ფრაგმენტულია, ხშირად, გაურკვეველია გაფიცვების შედეგები. მეტიც, მედიის მიერ გაფიცვების გაშუქება ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ დამსაქმებელი კომპანიები კომპრომისზე მიდიან და დასაქმებულებს უკეთეს სამუშაო პირობებს ჰპირდებიან. რეალურად სრულდება თუ არა ეს პირობები, ამის შესახებ, მედია არაფერს ამბობს.

---

[210] ბელთაძე პაატა. შრომა და სოციალური სამართლიანობა სოციალური დიალოგი საქართველოში გვ.8. 2020.https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/16267.pdf

[211] Humans Right Watch, 2019. „არც ერთი წელი სიკვდილის შემთხვევათა გარეშე“ საქართველოში წლების განმავლობაში შრომის ბაზრის დერეგულირება საფრთხეს უქმნის მაღაროელებს. https://www.hrw.org/sites/default/files/report_pdf/georgia0819ka_web.pdf

დასაქმებულების ბოლო სამი წლის გაფიცვების მიმართ საზოგადოების ინტერესი განსხვავებულია. მედიაში გაფიცვების გაშუქება ფრაგმენტულია და ხშირად, გაფიცვის დღეს არსებული ინფორმაციის გაშუქებით შემოიფარგლება. იშვიათია გაფიცულთა მოთხოვნების ფართო კონტექსტში ჩვენება, როგორიცაა შრომითი უფლებები და კანონმდებლობა, ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება, სოციალური მდგომარეობა და გლობალური გავლენები (პანდემია, რუსეთ-უკრაინის ომი). ამასთან, თითქმის არ გვხვდება მედიაში გაფიცვის შემდეგ მოლაპარაკების პირობების პროცესის თანმიმდევრული შეფასება და მონიტორინგი – რეალურად შესრულდა თუ არა კომპანიის ან სახელმწიფოს მიერ გაფიცულებისთვის მიცემული პირობები. შედეგად, გაფიცვების უმეტესობის შემთხვევაში, შეუძლებელია იმის დადგენა, თუ როგორი შედეგით დასრულდა დამსაქმებელსა და დასაქმებულებს შორის შრომითი დავა. მედიის მიერ შრომის საკითხებისა და გაფიცვების ფრაგმენტული გაშუქება მოქალაქეთა დაბალ ინფორმირებულობაზე და დასაქმებულთა მიმართ მხარდაჭერის ნაკლებობაზეც ახდენს გავლენას.

გაფიცულთა მიმართ დამსაქმებლის მიერ გაცემული პირობების შესრულების შესახებ იშვიათია სახალხო დამცველის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ სხვა, შრომით უფლებებზე მომუშავე აქტორების მიერ მონიტორინგი და მათი შედეგების შეფასება. შრომის მდგომარეობით დაინტერესებული ორგანიზაციები, პროფესიული გაერთიანებები, საქართველოს პროფესიული კავშირი თუ დამოუკიდებელი პროფკავშირები გაფიცვის პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებს გასცემენ, გაფიცულების სახელით სამართლებრივ დავას აწარმოებენ, ეხმარებიან გაფიცულებს შრომითი უფლებების შესახებ კამპანიების წარმოებაში ან დამოუკიდებლად ახორციელებენ მათ. მიუხედავად იმისა, რომ 2021-2023 წლების გაფიცვებში სხვადასხვა ორგანიზაციის, პროფესიული გაერთიანებისა და სახელმწიფოს მონაწილეობამ გარკვეული დადებითი შედეგი მოიტანა მშრომელთა უფლებების დაცვის სფეროში, დასაქმებულების მოთხოვნების, დამსაქმებლების მხრიდან საჯაროდ დადებული პირობების რეალური აღსრულების მონიტორინგი არასაკმარისია. შედეგად კი, დასაქმებულები ხელახლა და ხშირად იმავე მოთხოვნებით იფიცებიან.